

შემოქმედი დოკუმენტის თარიღის საქართველოს
სახალხო-სამსახურის მინისტრი

107

გრაფიკი

L X V

ТРУДЫ

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

15637

19 თბილის 65

გ. ბოჭების სახ. საქ. სამ.
სახელმწიფო სამსახური
სახელმწიფო სამსახური

სარედაქციო პოლეგია

მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ფ. სარიშვილი (მთ. რედაქტორი)
 ქ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ლ. ჯაში. მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ.
 ი. ყანჩაველი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. ლ. დეკაპოლე-
 ნი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. პ. კალანდაძე, მეცნ. დამსახ. მოღ-
 ვ. პროფ. კ. ი. ქანთარია, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ხ. კ. ლიჭუ-
 შიანი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ხ. პ. შალამბერიძე, მეცნ. დამსახ.
 მოღვაწე, პროფ. ი. ლ. აბაშიძე, პროფ. ხ. ვ-ზაიჭაძე, პროფ. ლ. ი. ება-
 ნიძე, ღოც. ს. პ. ნიკოლაიშვილი, ღოც. პ. ვ. მიქელაძე, ღოც.
 შ. მ. ხატიაშვილი, დ. ვ. გვარაძაძე, დ. შ. დგებუაძე, კ. შ. ჩიხლა-
 ძე (პ/მგ მდივანი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЕГИЯ

Заслуж. д. н., проф. И. Ф. Саришвили (глав. редактор),
 заслуж. д. н., проф. И. Л. Джashi, заслуж. д. н., проф.
 Г. И. Канчавели, засл. д. н., проф. Л. Л. Декапрелев-
 ич, заслуж. д. н., проф. Л. П. Каландадзе, заслуж. д. н.,
 проф. В. И. Кантария, заслуж. д. н., проф. Н. К. Лачки-
 ани, заслуж. д. н., проф. Х. Б. Шаламберидзе, заслуж.
 д. н., проф. Я. Л. Абашидзе, проф. Н. В. Паичадзе, проф.
 Л. И. Эбаноидзе, доц. С. П. Николаишвили, доц.
 П. В. Микеладзе, доц. Ш. М. Хатиашвили, доц.
 П. С. Гварамадзе, Д. Ш. Дгебуадзе, К. Ш. Чихлад-
 зе (отв. секретарь).


შრომის წითოლი დროშის ორდენის
საქართველოს სასოფლო-სამუშაო 06სტიტუტის შრომები, ტ. LXV. 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, т. LXV. 1965 г.

პროფ. გ. ტალახეძე

გამოჩენილი ჩართველი აგრონომი-ნიაზაზოლენი

ქართულ საბჭოთა აგრონომიულ მეცნიერებაში პროფ. დ. გეღვევანიშვილი მეტად თავისებური მოვლენაა. ინელად მოიტენება სოფლის მეურნეობის ქართველ სწავლულთა შორის სხვა აგრონომი-მეცნიერი, რომლის ცოდნის სფერო ისეთი ფართო იყოს, როგორც დ. გეღვევანიშვილისა. დიდი ცოდნა და გამოცდილება, გულწრფელად ნაცვამი მართალი სიტყვა მისი, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის დამახასიათებელი ნიშნები იყო, ამავე დროს ის იყო დიდი გულისხმიერი, მზრუნველი და გულშემატკიფარი პიროვნება.



დ. გეღვევანიშვილი

დიმიტრი პანტელეიმონის-ძე გეღვევანიშვილი დაიბადა 1884 წლის 2 დეკემბერს (დეკემბერი სტილით) სოფ. კირბალში (გორის რაიონი), მღვდლის ოჯახში. მამამისი სოფ. გოროვანიდან იყო, ხოლო დედა, ანანიაშვილის ქალი, სოფ. კირბალიდან. დიმიტრის გარდა მათ კიდევ ორი შვილი ჰყავდათ — ნინო

და სერგო. ბავშვებს დედა ადრე გარდაეცვალათ და პატარა და-ძმაზე ერთ—
ხანს ზრუნვა დიმიტრის მოუხდა.

ბავშვობა დიმიტრიმ შუა ქართლში გაატარა, ჯერ კირბალში, ხოლო
შემდეგ კავთისხევში.

რეა წლის დიმიტრი (მიტო) 1892 წელს თბილისის სასულიერო სასწავ-
ლებელში შეიყვანეს, რომელიც დაასრულა 1900 წელს და ამავე წელს შევიდა
თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1907 წლის მაისში დ. გედევანიშვილმა
ჭარჩინებით დამთავრა სემინარიის სრული კურსი (6 კლასი) და იმავე წლის
შემოღვიმაზე გაამწესეს სახელმწიფო ხარჯზე სწავლის გასაგრძელებლად სასუ-
ლიერო აკადემიაში, მაგრამ უარი განაცხადა. მას სურდა ცოდნის ისეთი
დარგით შეიარაღებულიყო, რომელსაც ხალხის საკეთილდღეო სამსახურში
გამოიყენებდა. ასეთად კი მიჩნია სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება.

სემინარიის კურსდამთავრებულისათვის საერთო უმაღლეს სასწავლებელში
შესვლა მოიხოვდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან კლასიკური
გიმნაზიის კურსის მოცულობით გამოცდის ჩაბარებას, რის შედეგად მიღებუ-
ლი „სიმწიფის მოწმობა“ უფლებას იძლევდა უნივერსიტეტში ან ინსტიტუტში
შესვლისას. ეს სიძნელე დ. გედევანიშვილმა ჭარმატებით გადალახა და შეიტა-
ნა საბუთები შაშინდელ ნოვოალექსანდრიის (პულვის) სასოფლო-სამეურნეო
და სატექნიკურო ინსტიტუტში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მაშინდელ
რუსეთის იმპერიაში (პოლონეთისა და ფინეთის ჩათვლით) მხოლოდ ორი
უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი არსებობდა—ერთი მოსკოვში
და მეორე ნოვოალექსანდრიაში, სადაც მისაღები კონტინგენტის საერთო რაო-
დენობა 200 კაცს არ აღემატებოდა, მაშინ ცხადი გახდება კონკურსის სიძნე-
ლე, რომელშიაც მონაწილეობის მიღება მოუხდა დ. გედევანიშვილს.

დ. გედევანიშვილი 1907 წ. სექტემბერში ჩაირიცხა აღნიშნული ინსტი-
ტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, ეს ინსტიტუტი იმ დროისათვის თავისი
სასწავლო მეურნეობებით, ფერმით, სატყეო აგრარუსტით, კაბინეტ-ლაბორა-
ტორიებით და სხვა დამხმარე მოწყობილობით ერთ-ერთ კარგად ირკვანიშებულ
უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენდა, სადაც მოღაწეობდნენ ისეთი სა-
ხელგანთქმული მეცნიერები, როგორიც იყვნენ: ა. აბბუზოვი (ქიმია), პროფ.
პ. ბარაკოვი (მიწათმოქმედება), აკად. კ. გლინკა (ნიადაგთმულნეობა), პროფ.
ი. კალუგინი (ზოოტექნიკა), პროფ. გ. სემიონოვი (ქიმია), პროფ. ა. სკორ-
ცოვი (აგროეკონომია), აკად. გ. პალადინი (მცენარეთა ფაზიოლოგია). პროფ.
ი. სამოილოვი (გეოლოგია), პროფ. ა. ფრანტუნატოვი (აგროეკონომია) და
სხვ. აქვთ ამ პერიოდში დოცენტის თანმდებობაზე მუშაობდა, შემდეგში ცნო-
ბილი მეტყევე-მეცნიერი სოლომონ ქურდიანი. ამ ინსტიტუტს ადრე სათავეში
ეყენა გენეზისური ნიადაგთმულნეობის ფურემდებელი პროფ. ვ. დოკუჩევი,
ხოლო შის მიერ მსოფლიოში პირველად დაარსებულ ნიადაგთმულნეობის
კათედრას განავებდა მისივე მოწავე და ახლო შეგობარი, ნაადაგთმულნეო-
ბის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი პროფ. ნ. სიბირცევი.

ის სუთ ინსტიტუტში მოუხდა სწავლა დ. გედევანიშვილს, რომელმაც
დაიმსახურა ნიჭიერი და ღილი შრომისმოყვარე სტუდენტის სახელი.

დ. გედევანიშვილის სტუდენტობის ამხანაგი, ჩვენი თვალსაჩინო აგრო-

ნომი-შეცნიერი, დოკ. დ. სამადაშვილი სიუფარულით იგონებს თავიანთ სტუ-
დენტობის ხანას და ოღნიშნავს: „დ. გედევანიშვილს პროფ. სემიონოვისათვის
1908 წ. ჩაეძარებია არაორგანიზული ქიმია ფრიადზე. ქიმიის ასეთ მაღალ
ნიშანზე ჩაბარება სემიონოვთან ისე ძნელი საქმე იყო, რომ ინსტიტუტში
დიდხანს ისმოდა, როცა სტუდენტი კარგად ჩაბარებდა, მან ჩაბარა ქიმია
ისე, როგორც გედევანოვმა, ანდა თუ ჩაიჭრებოდა—ამ ბატონში (სტუ-
დენტია) მოინდომა გედევანოვთან გატოლება, მაგრამ სემიონოვმა ის კალმ-
ში ჩასვა“.

დ. გედევანიშვილი როდესაც ზოგად მიწათმოქმედებას აბარებდა, მაშინ
მას მონაწილეობა უკვე მიღებული ჰქონდა პ. გლინკას ხელმძღვანელობით მოწ-
ყობილ შორეული აღმოსავლეთის, შუა აზისა და შავი ზღვის სანაპიროს
ნიადაგების გამოკვლევის ექსპედიციაში, რაც ინსტიტუტის მოწინავე სამეც-
ნიერო საზოგადოებისათვის კარგად ყოფილა ცნობილი. ამიტომ იმავე დ. სა-
მადაშვილის ცნობით, როდესაც ისა და დ. გედევანიშვილი 1913 წ. გამოც-
დაზე მისულან მიწათმოქმედების ჩასაბარებლად პროფ. პ. ბარაკოვთან, ეს
უკანასკნელი თურმე მიუბრუნდა ასისტენტ მ. პანკოვს და უთხრა „...გედე-
ვანოვს არც კი უნდა გამოცდა. მან მთელი რუსეთი შემოიარა, ნახა და იცის
იმაზე შეტი, რაც ჩემს სახელმძღვანელოში სწერია. მან გამოცდა ჩაბარა
თვალუწვდენელ რუსეთის სივრცეზე“.

1910 წლის ნოემბერში, დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტიოს გარდა-
ცვალების შემდეგ, რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა
უმაღლესი სკოლის ავტონომიის გაუქმდება. ამას შედეგად მოყვა რუსეთის
სტუდენტთა საბროტესტო გაფიცეა, რომელშიც დ. გედევანიშვილიც
მონაწილეობდა, როგორც აქტიური წევრი, პოლიციაშ მრავალი სტუდენტი
დაბარიმოა, მათ შორის დ. გედევანიშვილიც. ლიუბლინის ციხეში 3 თვის
ჯდომის შემდეგ იგი ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ად-
მინისტრაციული წესით გააძევეს პოლონეთიდან საუნივერსიტეტო ქალაქებზე
ცხოვრების უფლების ჩამონახვით. ამის გამო დ. გედევანიშვილმა დაკარგა
ერთი სასწავლო წელი.

დ. გედევანიშვილი სტუდენტობის პერიოდში მონაწილეობას იღებს
აკად. გლინკასთან ერთად 1910 წელს ამურის, 1911 წელს თურქმენეთის, ხო-
ლო 1912 წელს შავი ზღვის სანაპირო ნიადაგების გამოქვლევ ექსპედიციებ-
ში. იგი 1912 წელს „რუსკაა რივიერას“ გამოფენის კოშიტეტის დავალებით
აგროვებს წითელმიწა და ეწერი ნიადაგის მონოლიტებს და ნიმუშებს.

ამ პერიოდს განეკუთვნება აკად. გლინკას ამდენიმე პირადი წერილი,
რომელიც აღმოჩნდა დ. გედევანიშვილის არქივში და რომელიც ამჟამად სა-
ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგთმულების კათედ-
რის მუზეუმში ინახება. ამ წერილებში მაღალ შეფასებას აძლევს აკად.
კ. გლინკა დ. გედევანიშვილს, როგორც მკვლევარს და დიდ ნდობას უცხა-
დებს მას.

აღნიშნული ექსპედიციების დროს ჩატარებული გამოკვლევის მასალები
(რუსები, ტექსტი) ინახება პროფ. გ. დოკუქაევის სახელმის ნიადაგთმცოდ-
ნების ინსტიტუტის არქივში (შავშეთ-იმერევეისა და კინტრიშის ხეობის

ნიადაგები), ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნიადაგების შესწავლის შედეგები ჯერ კიდევ სტუდენტმა 1912 წ. გამოაქვეყნა თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომების კრებულში.

სტუდენტობის პერიოდში (1908 წ.), დ. გედევანიშვილი არდადეგების დროს მუშაობდა აგრეთვე კახეთის საფილოქსერო პარტიაში. 1912 წ. შემოდგომაზე დ. გედევანიშვილს დართეს ნება ინსტიტუტში დაბრუნებისა, რომელიც დაამთავრა 1914 წელს და გაიგზავნა სადიპლომო შრომის დასამუშავებლად ჩრდილოეთ კავკასიაში ბარონ შტეინგელის მეურნეობაში. მის სადიპლომო თემას წარმოადგენდა „ნიადაგის დამუშავების სისტემა ბარონ შტეინგელის მეურნეობაში“.

1914 წ. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების გამო ნოვოალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტი ევაკუირებულ იქნა ხარკოვში, სადაც გააფორმა და დაიცვა თავისი სადიპლომო თემა დ. გედევანიშვილმა (ამავე დროს დაიცვა დიპლომი დ. სამადაშვილმა). ამის თაობაზე გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ 1914 წ. 19 სექტემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ნოვოალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტი პირველი ხარისხის სწავლული აგრძონმის წოდებით დაამთავრეს დ. გედევანიშვილმა და დ. სამადაშვილმა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დ. გედევანიშვილი იგზავნება დალესტანში ჯერ რაიონის, ხოლო შემდეგ ოლქის აგრძონობად.

1919 წლის აპრილში დ. გედევანიშვილი ბრუნდება საქართველოში. მას ნიშნავენ მიწათმოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განკოფილების გამგედ. იმავე წლის აგვისტოში მას იწვევენ ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ნიადაგთმცოდნეობისა და მიწათმოქმედების კათედრის გამგედ, დოკოდის წოდებით. დ. გედევანიშვილს ამ პერიოდიდან უხდება ზრუნვა ცნობილ ქართველ სხვა მეცნიერებთან—პროფ. პ. მელიქიშვილთან, პროფ. ზ. ჭურდიანთან, კ. ამირაჯითან, ი. ლომოურთან, გ. რცხილაძესთან და სხვ. ჯერ აგრძონმიული ფაქულტეტის, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვევისთანავე, დ. გედევანიშვილი დიდი გატაცებით ებმება ლექციების კითხვისა და კაოედრის მოწყობის საქმეში. ის კითხულობს ლექციებს ნიადაგთმცოდნეობაში, ხოლო ცოტა უფრო გვიან სასქეთმცოდნეობაშიც. ნიადაგთმცოდნეობის კათედრა 1938 წლამდე აერთიანებდა ნიადაგთმცოდნეობის, გეოლოგია-მინერალოგიის, ზოგადი მიწათმოქმედების, აგროქიმიისა და სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის დისკიპლინებს, ამ ვეებერთელა მრავალდარგოვან კათედრას უნარიანად ხელმძღვანელობდა ფართოდ განსწავლული დ. გედევანიშვილი, რომელსაც 1930 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება. დ. გედევანიშვილი ამასთან ერთად შეთავსებით დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში—1921—1924 წწ. განავებდა ნიადაგთმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტი, 1928—1935 წწ. ნიადაგთმცოდნეობის კათედრას თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ ფაკულტეტებზე. ამავე პერიოდში იგი ლექციებს კითხულობდა სუბტროპიკული და სართავი კულტურების ინსტიტუტში, ხოლო 1946—1954 წწ. ნიაღაგვიძის გეოგრაფიისა და სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძვლების კურსს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

პროფ. დ. გელევანიშვილი უცვლელი მაღალკალიფიციური კონსულტანტი იყო იგრონომიულ საკითხებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროებისა და რიგი სასოფლო-სამეურნეო ტრენინგებისა.

დ. გელევანიშვილის მუშაობა ნაყოფიერი და მრავალმხრივი ხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1923 წელს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში დაარსდა სოფლის მეურნეობის წარმოების ყველა დარგის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, რომლის პირველ შპართველად დაინიშნა დ. გელევანიშვილი, ხოლო 1927—1929 წწ. განაგებს სასოფლო-სამეურნეო სამსართველოს. 1930 წ. დ. გელევანიშვილი ობილისის ბოტანიკური ბალის დირექტორია, ხოლო 1931—1933 წწ. ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ნიაღაგურ-ბოტანიკურ ჯგუფს. 1934—1936 წწ. იგი ჯერ საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიაღაგთმცოდნეობის სექტორის, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიაღაგთმცოდნეობის კათედრასთან არსებულ ნიაღაგთმცოდნეობის სექტორის უფროსია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან დაარსებულ ნიაღაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტში დ. გელევანიშვილი მუშაობდა 1946—1951 წწ. ნიაღაგთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელად.

პროფ. დ. გელევანიშვილი 1956 წ. იორჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1957 წ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. დ. გელევანიშვილი საკავშირო ნიაღაგთმცოდნეობის საზოგადოების საქართველოს ფილიალის უცლელი თავმჯდომარე იყო გარდაცვალებამდე.

პროფ. დ. გელევანიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში, მათგან აღსანიშნავია:

1. მევენახეობის აღდგენის ხაზით გაწეული შრომა. მევენახეობა, რომელ-საცხენი ჩვეულების ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში კატასტროფის წინაშე იდგა სოციალური უკუღართობის, ომებისა და ფილოქსერის შედეგად.

1923—1929 წწ. დ. გელევანიშვილის უშუალო მონაწილეობით მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა მევენახეობის აღდგენისა და განვითარების საქმეს საქართველოში. 1924 წ. სოფ. ურიათუბანში (ეხლანდელი ვაზისუბანი) დაარსდა მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგური, რომლის ბაზაზე თელავში შეიქმნა საკავშირო მევენახეობა-მელვინეობის კვლევითი ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი კი შემდეგში გადაკეთდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ინსტიტუტად.

ამავე პერიოდში კახეთსა და იმერეთში, ერთი მხრივ, ეწყობა ახალი, ხოლო მეორე მხრივ, ფართოვდება ორსებული ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედები, იგება სათბურები ვაზის ნერგების გამოსაყვანად კონდოლში, მუჯუზანში, ჩუმლაყში, საქარაში და სხვ. კახეთისა (ურიათუბანში) და იმერეთის (საქარა) მევენახეობა-მელვინეობის საცდელი სადგურები გადაიქცა მუდმივმოქმედ საკონსულტაციო პუნქტებად, ნიადაგებთან დაკავშირებით ვაზის ჯიშების შეჩრჩვისა და სხვა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დარღმი.

დ. გედევანიშვილს საქართველოს მევენახეობის მრავალ რაიონში აქვს ჩატარებული ნიადაგების გამოკვლევა.

2. ჩაის კულტურის დანერგვის ხაზით გაწეული შრომა. 1925 წ. სერგო ორჯონიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით დ. გედევანიშვილმა დამუშავა საკავშირო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ წევრებად შედიოდნენ რსფსრ-ს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მიწასახკომები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს „ჩაის სამმართველო“. ამ საზოგადოების გამგეობის აქტიური წევრი იყო დ. გედევანიშვილი დარსებიდან 1929 წლამდე-1929—1930 წწ. ის გატაცებით ჩაება საკავშირო სამეცნიერო ჩაის ინსტიტუტის ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც შემდეგ გადაქვეთდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად.

1930 წ. საბჭოთა კავშირში კონსულტანტად მოწვეულ იქნა ინგლისელი დოქტორი მანი, რომელმაც უარყოფითი შეფასება მისცა დასავლეთ საქართველოს ეწერ წითელმიწა ნიადაგებზე ჩაის კულტურის გაშენებას. დ. გედევანიშვილმა მისი დებულებები გააბათილა და დაამტკიცა აქაური ნიადაგურკლიმატური პირობების ხელსაყრელობა ჩაის კულტურის წარმოებისათვის. შემდეგში პრაქტიკაში საცხებით დაადასტურა ქართველი მეცნიერის შეხედულებათა სრული ჰეშმარიტება.

დ. გედევანიშვილს თავის თანამშრომლებთან და მოწაფებთან ერთად გამოკვლეული აქვს საქართველოს ჩაის რაიონების ნიადაგები, პირველად ასეთი მუშაობა ჩატარდა 1927 წ. აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზებში ზღვის დონიდან 600 მ სიმაღლემდე. ამ გამოკვლევის საფუძველზე მან შეადგინა ნიადაგური რუკა და ტექსტი, რასაც დიდი მნიშვნელობა პქონდა როგორც ნიადაგთმცოდნების, ისე საწარმოო თვალსაზრისით. მასში გარევულია, ერთი მხრივ, გენეზისის საკითხები ნიადაგთმარმომენელ ფაქტორებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, გადაწყვეტილია დიდი მნიშვნელობის საწარმოო პრობლემა—გამოკვლენილია ჩაის კულტურისათვის ვარგისი 100 ათასი ჰა ფართობი, დასახულია მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო აგრძელიორაციული ღონისძიებები და სხვ. აღნიშნული მასალები დაედო საფუძვლად ჩაის კულტურის გაშენების სახელმწიფო გეგმას.

3. სამელიორაციო ობიექტების ნიადაგების შესწავლა. 1929 წ. დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით (შემსრულებლები გ. კოსტავა და ე. ჩაფიძე) მოეწყო კოლხეთის დაბლობის ნიადაგების გამოკვლევა, რომლის საფუძველზე შეადგინა ნიადაგური რუკა და ტექსტი. ნაშ-

რომში, რომელიც 1930 წელს გამოქვეყნდა კოლხეთის სამელიორაციო საღვრის შრომებში, გენეზისურ პრინციპებზე გარკვეულია კოლხეთის ნიაღაგების დაჭაობების მიზეზები და კლასიფიკაცია, დასახულია დაჭაობებული ნიაღაგების გაუმჯობესებისათვის საჭირო დიფერენციული ღონისძიებანი. გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა კოლხეთის დაბლობის დაშრობის დაგეგმვისას.

1930—1932 წწ. დ. გედევანიშვილი გ. დ. ახვლედიანთან ერთად იქვლევს ქობულეთის, კახაბერის, გონიოსა და ბიჭვინთის სამელიორაციო ნიაღაგებს გამოკვლევის მასალები 1948 წ. საფუძვლად დაედო ამ ობიექტების დაშრობის დაგეგმვარებას.

4. საირიგაციო-სამელიორაციო ობიექტების ნიაღაგების შესწავლა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია სამგორის ველი, რომლის საბოლოო სამელიორაციო პროექტის შესაღენად ნიაღაგების გამოკვლევა ჩატარდა დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით გ. ახვლედიანთან ერთად 1935—1948 წწ. და რომლის საფუძველზეც შედგა ნიაღაგური რუკა და ტექსტი, რაც საფუძვლად დაედო დაგეგმარებას.

შემდეგ მოდის სოლანლულის ველის ნიაღაგური დახასიათება. რომლის გამოკვლევის მასალებში გარკვეულია აქაური ნიაღაგების დამლაშებისა და ბიცობიანობის მიზეზები, გაუმჯობესებისათვის საჭირო მელიორაციული ღონისძიები და სხვა აგროტექნიკური ხასიათის საკითხები, რაც საფუძვლად დაედო ველის ათვისებას. ნაშრომი გამოქვეყნებულია საკავშირო შეკრისტალიზაციის საქართველოს ფილიალის ნიაღაგორმცოდნეობის სექტორის შრომებში (1934 წ.).

5. საქართველოს ნიაღაგური რუკები. დ. გედევანიშვილმა პირველმა 1930 წ. წეადგინა საქართველოს ნიაღაგების რუკა 1 : 500 000 მასშტაბით. იგი დემონსტრირებული იყო ნიაღაგორმცოდნეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე მოსკოვში. მასში პირველად იქნა გენეზისურ პრინციპებზე სისტემატიზებული საქართველოს მთელი ნიაღაგური საფარის ჭრელი სურათი.

1932 წ. დ. გედევანიშვილის თანამონაწილეობით (პროფ. სშირნოვ-ლოგინოვთან და პროფ. გალუსტიანთან ერთად) შედგენილ იქნა ამიერკავკასიის ნიაღაგური რუკა 1 : 500 000 მასშტაბით, რომლის შესახებ მოხსნება ლენინგრადში ნიაღაგორმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე გააკეთა დ. გედევანიშვილმა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს საგამოფენო კომიტეტის დავალებით დ. გედევანიშვილმა 1938 წ. შეადგინა რესპუბლიკის ნიაღაგურ-ლანდშაფტური რუკა 1 : 400 000 მასშტაბით, რომელიც ნიაღაგების სხვა ბუნებრივ ძალებთან დამოკიდებულების სინთეზურ სამეცნიერო ნამუშევაოს წარმოადგენს და თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

6. სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. დ. გედევანიშვილი არის 55-მდე შრომის ავტორი. რომელთა ერთ ნაწილს დამიმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნიაღაგების შესწავლის დამატებით. ასეთებია: „დასავლეთ საქართველოს სუბტრონბიკული რაიონების ნიაღაგები“, „კოლხეთის დაბლობის ნიაღაგები“. „თბილის-ბაკურიანის მარშრუტის ნიაღაგები“, და სხვა. გარდა ამისა, მას გამოქვეყნებული აქვს სახელმძღ-

ვანელო ნიადაგთმცოდნეობაში (გ. ტალახაძესთან ერთად). დ. გედევანიშვილის რედაქტიით და წინასიტყვაობით 1939 წ. გამოიცა აკად. ვილიამსის მიერ შედგენილი ნიადაგთმცოდნეობის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი.

პროფ. დ. გედევანიშვილს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-კვლევითა-მუშაობისათვის 1950 წ. ღისერტაციის დაუცველად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო სიბჭოს წარდგენის საფუძველზე საკავ-შირო საატესტაციო კომისიის დადგენილებით მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა სასოფლო-სამეურნეო მეცნი-ერებისა და პრაქტიკის დარგში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მაღალკალი-ფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმეში დ. გედევანიშვილის ღვაწლი და დააჯილდოვა იგი შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და რამდენი-მე მედლით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1943 წ. ბრძანებუ-ლებით მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრასთან მოეწყო პროფ. დ. გედევანიშვილის სახელობის ნიადაგური მუ-ზეუმი, სადაც დადგმულია ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების სახსრე-ბით ქართული მარმარილოსაგან გამოკვეთილი ღვაწლმოსილი შეცნიერის ბიუსტი.

ვაკომის წილი დროშის ორგანიზაციის
აპარატის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰამახადი, ტ. LXV, 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного института, т. LXV, 1965 г.

ფილოს. მეცნ. კანდ. გ. გიმერა

ვაკტორების თეორიის მარსისტული პრიტიკისათვის

მოწინავე სოციალისტურ და ღრომოჭმულ ბურჯუაზიულ იდეოლოგიას შორის თანამედროვე ეტაპზე ბრძოლის გამწვავება სოციალისტური ბანაკის დიდი წარმატებით აღხსნება. სსრ კავშირში კომუნიზმის. ხოლო სახალხო დემოკრატიის კვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მოპოვებული მიღწევები მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელების ნათელი დადასტურებაა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ყველაზე თანმიმდევრული რევოლუციური მოძღვრების შემდგომ გავრცელებას მოქმედ მსოფლიოში. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წელს მიუთითებდა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ხალხებმა, რომლებიც კაბიტალიზმის ულისისგან თავისუფლდებიან შეიძლება უშუალოდ დაიწყონ სოციალიზმის მშენებლობა სახალხო მეურნეობის განვითარების კაბიტალისტური სტადიის გავლის გარეშე „თუ რევოლუციური ძლევამოსილი პროლეტარიატი მათში გასწევს სისტემატურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები დაეხმარებან მათ თავიანთ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით“. ლენინის ეს გენიალური წინასწარპერეტა, რაც ბურჯუაზიული სოციოლოგების მტკიცებით თითქოსდა ეწინააღმდეგება ისტორიულ მატერიალიზმს ფორმაციათა თანმიმდევრობის შესახებ, დღეს უკვე მრავალი ფაქტით დაადასტურა ისტორიის მსკულელობამ.

პარტიის XXII კრიოლობაზე მიღებულ სკეპ პროგრამაში ნათქვამია, რომ თანამედროვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებით იბრძვის საში ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული იალა: სოციალიზმის შძლავრი მსოფლიო სისტემა, განვითარებული კაბიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი და ერთვნულ-განმათვისუფლებელი მოძრაობა. კომუნისტური და მუშათა პარტიიგბი ამ ბრძოლაში ხელმისაწვდომებენ მოწინავე მარქსისტულ-ლენინური თეორიით და მშრომელ მასებში შეაქვთ სოციალისტური იდეოლოგია.

იდეალიზმის იდეოლოგები, პირებულ რიგში სოციოლოგები, ცდილობენ რა შეაჩერონ ან თუნდაც შეანელონ ისტორიის მსკულელობა, გააფორმებით იბრძვიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ბურჯუაზიული სოციოლოგია ილაშერებს საზოგადოების განვითარების კანონმდებრივების წინააღმდეგ, ცდილობს დაამტკიცოს და წარმოგვიდგინოს ახალი „საბუთები“ კაბიტალიზმის „ურყეობის“ შესახებ, შექმნას ბურჯუაზიული წესილების დამცველი ახალი ორიგინალური თეორიები, მაგრამ თანამედროვე რეაქციულ ბურჯუაზიას არ გააჩნია საამისოდ შემოქმედებითი ძალა. ყოველივე

ახალი, ორიგინალური, დადებითი შეიძლება შექმნას პროგრესულმა და მოწინავე კლასმა. ამიტომაა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია სულ უფრო ხშირად იხედება უკან და ცდილობს ძველი თეორიების ახალ სიტყვიერ სამსახულში წარმოდგენას. ერთ-ერთი ასეთი თეორია, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულმა სოციოლოგიამ კაპიტალიზმის სამსახურში ჩააყენა არის „ფაქტორების თეორია“,

„ფაქტორების თეორიის“ არსი რამდენიმე სიტყვით შემდეგში გამოიხტება. ისტორიის ახსნის მონისტური პრინციპი შეცვლილია პლურალისტური პრინციპით. საზოგადოების ისტორია ახსნილია მრავალი ერთმანეთისაგან და-მოუკიდებელი და თანაბარმნიშვნელოვანი იალების, ფაქტორების მექანიკური ურთიერთობის მედედით.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე, პირობა, პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, ხელოვნება. მორალი, სამართლი და სხვ., რომელიც თანაბარმნიშვნელოვან ძალებს წარმოადგენს, მოქმედებენ ყველა დანარჩენზე და თავის მხრივ განიცდიან მათ გაფლენას. ამ ფაქტორების მექანიკური ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობა.

ფაქტორების თეორია საბოლოოდ იდეალიზმის ჭაობში ეფლობა, ვინაიდან მეტისმეტად აზვიადებს სუბიექტური ფაქტორის როლს ისტორიაში და ამდენადვე ამცირებს, ხოლო ზოგჯერ კიდეც უარყოფს მთლიანად ეკონომიური ფაქტორის როლს ისტორიაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის უცხოა ისტორიული მოვლენების ახსნის პლურალისტური პრინციპი. ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს მონისტურ თეორიას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენათა ურთიერთკავშირს და ურთიერთგანპირობებულობას ერთი საფუძვლის—წარმოების წესის საშუალებით ხსნის. წარმოების წესი ისტორიული ცვალებადობის ერთ-ერთი ფაქტორი ან სხვა ფაქტორების თანაბარმნიშვნელოვანი კი არ არის არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გადამწყვეტი და განმსაზღვრელი ძალა.

ფაქტორების თეორიის წინააღმდეგ ბრძოლის ძეტუალობას აძლიერებს ის მდგომარეობა, რომ ამ თეორიის თავისებური ნაირსახეობით ცდილობს ისტორიული ცვალებადობის ახსნას თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მედროშე ბერტრან რასელი.

იგი ცდილობს მკითხველს თავი ისე მოაჩენოს, თითქოს იზიარებს მარქსიზმის ზოგიერთ დებულებას სინამდვილეში კი ძალზე დაშორებულია მარქსიზმისაგან. მაგალითად, რასელი წერს „ძირითადად მე ვეთანხმები მარქსს, რომ ეკონომიკური მიზეზები ისტორიაში უდიდეს მოძრაობათა საფუძველს წარმოადგენს“ [10] მაგრამ საკმარისია გადავშალოთ იმავე შრომის 230 გვერდი და დავრწმუნდებით, რომ რასელის „თანხმობა“ გამიზნულია გულუბრყვილო მკითხველის მოსატყუებლად. ცნობილია, რომ წარმოების წესი მარქსიზმის მიხედვით თვით თავისივე თავისიაგან აისწენდა და ასეთი ახსნისათვის ის სხვა რაიმეს არ მოითხოვს. რასელი კი წარმოების წესის ცვალებადობის ძირითად მიზეზს ინტელექტში ხდავს. „მარქსი ფიქრობდა, წერს

რასელი, რომ გამოგონებები და აღმოჩენები მაშინ ხდება, როდესაც ეკონომიური მდგომარეობა ამას მოითხოვს. ფაქტიურად კი წერმოების წესი ძირითად ინტელექტუალური მიზეზებით და, ასე ვთქვათ, მეცნიერული აღმოჩენებითა და გამოგონებებით იცვლება“ [10]. მაშასადამე, აյ რასელი მის მიერ კონსტრუირებული „ინტელექტუალური მიზეზობრივობის“ ცნების ნიღაბევეშ ცდილობს შემოგვაპაროს დიდი ხნის წინათ ცნობილი დებულება საზოგადოებრივი ცნობიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ყოფიერების მეორადობის შესახებ. რასელის აზრით, სწორი არ არის მარქსიზმის მტკიცება იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ცვალებადობის ძირითად მიზეზს წარმოების წესი წარმოადგენს. ისტორიაში, ამბობს იგი, მრავალნაირი ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს. კიდევ მეტი. რასელის აზრით, ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე მრეწველობის ახსნა ყოველგვარი ეკონომიური მიზეზების გარეშე. ჩამოთვლის რა სხვადასხვა მიზეზებს, რასელი ცდილობს მათი საშუალებით საზოგადოებრივი პროგრესის ახსნას.

ბევრი თანამედროვე სოციოლოგი ასევე ცდილობს საზოგადოებრივი მოვლენების ახსნას ფაქტორების თეორიის თვალსაზრისით. ცნობილი იმერიკელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ნორტროპი კულტურის საფუძვლად აცხადებს „ძირითადი ცნებების და დებულებების“... კომპლექსს. ინგლისის კულტურა მის მიზედვით განსაზღვრულია: „ბრიტანულ-პროტესტანტული ეპიკორული ფილოსოფიური ტრადიციებით“, კლასიკური განათლებით, ინგლისური კანონებით, სამეცნიერო მუსიკით და ა. შ.

ფაქტორების თეორიის პოზიციებზე დგას თანამედროვე დასაცვლელ გერმანიის ბურჟუაზიული სოციოლოგების ჯგუფი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მეთაურობდა ალფრედ ვებერი. მისი სკოლის წარმომადგენლები ყოველ ცივილიზაციაში აჩქევენ სამი „საზოგადოებრივი პროცესია“ კომბინაციას. ესაა: 1. ტექნიკურ-ცივილისტორული პროცესი, რომელიც მოიცავს წარმოებასაც; 2. სოციალური პროცესი, რომელიც ქმნის საზოგადოების გარევულ სოციალურ სტრუქტურას და 3. კულტურული მოძრაობა. ინდი არ არის დავინახოთ, რომ ა. ვებერის სკოლის მიმდევრები ერთი შეხედვით ეკეკლუცებიან მარქსიზმს, სინამდვილეში კი იყალბებენ მას, მათ მიერ დასახელებული სამი პროცესი ურთიერთზე ზემოქმედებენ, შავრამ ერთი საფუძველი მათ არ გააჩნიათ და თანაბარმიზენელობის არიან.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ფაქტორების თეორია არ არის თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ორიგინალური აზროვნების ნაყოფი. ამ თეორიამ დიდი გავრცელება პირველი ეპოდისა და რესეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს (მაგს ვებერი, პაულ ბარტი, მ. კოვალიოფსკი, ნ. ი. კარევი და სხვ).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფაქტორების თეორიამ გავრცელება პირველი საქართველოშიც. ფაქტორების თეორიას მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა ნ. ხიხანიშვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში. ის ეკონომიკასა და პოლიტიკას ტოლლირებულ ფაქტორებად აცხადებს. მისი აზრით, ეკონომიკის უპირატესობის აღიარება, როგორც ამას მარქსიზმში იქს იდგილი, მცდარი და არაჭეშმარიტია [7]. „ხალხის სხეული მეტად რთულია,

წერს ხიზანიშვილი. ამ სხეულში მეტად ბევრი ფაქტორები მუშაობენ და თვითონ ხალხის მოძრაობა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით და არა მარტო ეკონომიურ გარემოებათა მეონებობით“.

6. ხიზანიშვილი პირველია, რომელმაც ქართულ აზროვნებიში წამოაყენა „ფაქტორების ოქორია“, რითაც ნიადაგი მოუმზადა 90-იანი წლების ცნობილ ხალხოსანს ი. ფანცხავას.

ი. ფანცხავასაც შეცდომად მიაჩნია ერთი რომელიმე მიზეზით საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის ასსნა (მხედველობაში აქვს მარქსიზმი). ის წერს: „სპეცსერი გვეუბნევა, რომ სხვადასხვა ნივთიერი, გინდა ქონებითი ნაწარმოები, რომელიც განუწყვეტლივ იქრიბება და უფრო რთული ხასიათისა ხდება, ფაქტორების ახალ რიგს წარმოადგენს და ცვლილებათა მოსახლეობიდ დიდი გავლენის მიზეზად შეიქმნება ხოლმე“ [8].

ამრიგად, ფაქტორების ოქორის თვალსაზრისი არც საქართველოსათვის იყო უცხო [9].

ფაქტორების ოქორია და მის საფუძველზე მარქსიზმის კრიტიკა ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული აქვს პაულ ბარტს. მას აღურთოვანებით შეხვდნენ მარქსიზმის მტრები როგორც ეკროპაში, ისე რუსეთში. 6. კარევი წერდა: „ეკონომიური მატერიალიზმის კრიტიკისაღმი მიძღვნილი ფურცლები ბარტის წიგნში, შეიძლება მითითებული იქნეს როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გადაწყვდეს ეკონომიური ფაქტორის როლის საკითხი ისტორიაში. ფ. ენგელსი იძულებული გახდა პასუხი გაეცა ამ „დაუჯერებლად ბილწი სუბიექტისათვის“ და ეჩვენებინა მარქსიზმის ბარტისეული კრიტიკის მთელი უსაფუძვლობა.“

საერთოდ ცნობილია. რომ მარქსიზმის კრიტიკოსები ჯერ ამასინჯებენ, „გადამუშავებენ“ მარქსიზმს, ხოლო შემდეგ იწყებენ მის კრიტიკას. ამ ტრადიციას არც პაულ ბარტი ღალატობს და არც თანამედროვე ფაქტორების ოქორის წარმომადგენლები.

მარქსიზმი, ბარტის აზრით, ცალმხრივი ოქორიაა, რომელიც ისტორიის სფეროში მხოლოდ ეკონომიურ მომენტს უსვამს ხაზს. დაპყავს რა მარქსიზმი ეკონომიურ მატერიალიზმზე, ბარტი გვთავაზობს გუშინდოთ მას „... ისტორიის ტექნიკურ-ეკონომიური კონსტრუქცია“ [11]. ამ ოქორის თანახმადო, განაგრძობს ბარტი, ცხოვრება წარმოადგენს „ეკონომიურ ავტომატიზმს“ [11]. მარქსიზმი პოლიტიკას „აყენებს ეკონომიკისაგან სრულ დამოკიდებულებაში“ [11]. დაუყვანა რა ბარქსიზმი ეკონომიურ მატერიალიზმამდე და „დაამტკიცა“ რა რომ მარქსიზმის მიხედვით პოლიტიკა „ეკონომიკისაგან სრულ დამოკიდებულებაში“, ბარტი უკვე იწყებს მის მიერ „დამუშავებული“ მარქსიზმის კრიტიკას. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ პასიური ძალაა ეკონომიკის მიმართ, მაშინ როდესაც „საერთოდ ისტორიაში ჩვენ ვერ ვხვდებით ეკონომიკის მიერ პოლიტიკის ცალმხრივი განსახლევრების მაგალითებს; ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური და ეკონომიური ტენდენციები იმყოფებიან მცირდო ურთიერთმოქმედებაში“ [11].

რამ გამოიწვია ფეოდალური საკუთრების ურთიერთობის წარმოშობა? კითხულობს ბარტი და პასუხობს: „პოლიტიკისა და ეკონომიკის

ურთიერთმოქმედებამ [11]. ფეოდალური საკუთრების უარყობა თავის მხრივ გამოიწვია სამოქალაქო თანასწორობის შეგნებამ, „რომელიც წარმოიშვა იდეოლოგიური გზით ბუნებრივი უფლების სისტემიდან და გამოიყენა რა ის აბსოლუტიშმა როგორც იარაღი წოდებების წინააღმდეგ, გატარებულ იქნა ცხოვრებაში ნაწილობრივ აბსოლუტიშმის და ნაწილობრივ ძალდატანებითი მოქმედების შედეგად“. „ამგვარად ახალი საკუთრებითი ურთიერთობანი დღემდე ისტორიაში უფრო მჭიდრო იყო დაკავშირებული პოლიტიკურ მისწრაფებებსა და მოვლენებან, ვიდრე ეკონომიკურთან“ [11].

ამრიგად, პაულ ბარტის აზრით, ეკონომიკა და პოლიტიკა ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სფეროა, რომელთაც თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა გააჩნიათ. ისტორიული ცვალებადობა ამ ძალების ურთიერთმოქმედების შედევრა, ურთიერთმოქმედი მხარეები თანაბარმნიშვნელოვანია და გამორიცხავს ერთ-ერთი მათვანის გამოცხადებას მთავარ მიზეზად. შორმაში „პეგელის და პეველიანელების ისტორიის ფილოსოფია მარქსამდე და პარტმანამდე ჩათვლით“ ბარტს მოყავს აღვილები მარქსის „კაპიტალიდან“, სადაც ლაპარაკია ეკონომიკაზე პოლიტიკის უკუშემოქმედების შესახებ და „იჰერს“ შას წინააღმდეგობაში. თქვენ ამბობთ. რომ ეკონომიკა განმსაზღვრელია პოლიტიკისა და ამავე დროს აღიარებთ, რომ შათ შორის-არსებობს ურთიერთმოქმედება; ეს ხომ წინააღმდეგობაა, რომელიც შეუთავსებელია თქვენს დოქტრინისთვის.

ამრიგად, პაულ ბარტის შიხვეფით. ეკონომიკა და პოლიტიკა არის ორი ერთნანეთისაგან დამოუკიდებელი სფერო, ფაქტორი რომელთა ურთიერთმოქმედებითაც უნდა აისხნას საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობა. ურთიერთმოქმედება გულისხმობს ურთიერთობაში მხარეების თანასწორ მნიშვნელობას და გამორიცხავს ერთ-ერთი მხარის გამოცხადებას მთავარ მიზეზად.

საზოგადოებრივი კხოვრების ცვალებადობის ასენა მრავალნაირი იძირითადი ფაქტორით, მიხეხით გამორიცხავს ისტორიული კვლევის მეცნიერულ მეთოდოლოგიურ პრინციპს და ლოგიკურად მოითხოვს მრავალი პრინციპის აღიარების. ეს კი შეუძლებელს ხდის აიასნას სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთზემოქმედება. თუ ჩეგნ ვაღიარებთ. რომ ეკონომიკა განსაზღვრის პოლიტიკას, პოლიტიკა-ეკონომიკას, მოხარუი რელიგიას და ა. შ. აღმოჩნდებოდა უთვალავი მიხეხობრივი კავშირი და აუსნელი დარჩებოდა კითხვა თუ რა წარმოადგენს თითონ ამ ურთიერთგანსაზღვრულობას საფუაველს. ამ კითხვის ვადაწყვეტის გარეშე ურთიერთგანსაზღვრულობის ემპირული ფაქტები აუსნელი რჩება.

ეს მდგომარეობა კარგად ესმოდა ჯერ კიდევ პეველს, ის წერს: „თუ მხოლოდ ურთიერთმოქმედების ოფალსაზრისით განიხილავენ შინაარსს და ამაზე შორს არ მიღიან, ზამინ განხილვის ასეთი წესი... მოქლებულია ყოველ-გვარ ცნებას: მაშინ საქმე გვიძეს მშრალ ფაქტორი, და გაშუალების მოიხოვნა, რომელიც მიზეზობრივი დამოუკავებულების გამოყენების მთავარი მომენტია, კვლავ დაუქმაყოფილებელი რჩება. თუ საკითხს უფრო ახლოს განვიხილავთ, ურთიერთმოქმედებს დამოკიდებულებას გამოყენებისას უქმარობა იმით გამოიხატება, რომ ეს დამოკიდებულება, იმის მაგიერ, რომ ცნებისათვის ეკვივალენტად იქნეს მიჩნეული, თვით, პირიქით, ჯერ გაგების მოიხოვოს.

ხოლო იმისათვის რომ ეს მოხდეს და გაეყიდოთ ურთიერთმოქმედების დაბოკიდებულება, მისი ორი მხარე უმშალო მოცემულობაში არ უნდა დავტოვოთ, არამედ . . . მათში მესამის, უმაღლესი მომენტი უნდა შევამეცნოთ” [6]. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა შინაარსი ჩადო ჰეგელმა „უმაღლეს მომენტში”, არამედ იმას, რომ ჰეგელმა ხაზი გაუსვა ისტორიული მოვლენების კვლევის პლურალისტური პრინციპის ნაკლ მონისტურთან შედარებით [5].

ურთიერთგანსაზღვრულობა ეპირიული ფაქტია, მაგრამ მაგალითად, თუ სახელმწიფოებრივი წყობა გულისხმობს მორალის არსებობას, რომელზეც ის მოქმედებს, მაშინ, ცხადია, რომ მოცემული მორალის წარმოშობა მასზე არ ყოფილა დამოკიდებული. იგივე ითვმის მორალზედაც. თუ ის უკვე გულისხმობს იმ სახელმწიფოებრივ წყობილებას, რომელზედაც მოქმედებს, მაშინ ცხადია, რომ მას არ შეუქმნია ის. აქ ვლებულობთ ერთგვარ დახშულ წრეს, თუ ამ წრიდან გამოსვლა გვინდა უნდა მოვტებნოთ ის საერთო საფუძველი, რომელმაც წარმოშვა როგორც მოცემული მორალი. ისე სახელმწიფოებრივი წყობილებაც და შესაძლებელი გახდა მათი ურთიერთგანსაზღვრულობა, ზემოქმედება. მეცნიერულ კვლევას არ შეუძლია შეჩერდეს ურთიერთმოქმედების აღიარებაზე, რამდენადაც ურთიერთმოქმედება თვითონ შოთხოვს ახსნას. თუ ჩვენ გვინდა ავსნათ ურთიერთმოქმედება მოცემულ შემთხვევაში ამა თუ იმ ეპოქის მორალი და სახელმწიფოებრივი წყობილება, უნგა აგმაღლდეთ ურთიერთმოქმედების შეხედულებაზე, უნდა აღმოვაჩინოთ ის საერთო საფუძველი. რომელიც განმსაზღვრელია ურთიერთმოქმედი მხარეებისა. ფაქტორების თეორია არ მიდის ურთიერთმოქმედების ეპირიული აღწერის იქნით და ამდენად წარმოადგენს მოჯადოებულ წრეს, რომლის საშუალებითაც ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევთ წინ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში.

საზოგადოების განვითარების ისტორია ურთიერთმოქმედების ფორმით მიმდინარეობს—მოცემული ქვეყნის მორალზე გავლენას ახდენს ამ ქვეყნის რელიგია და პირიქით; მორალი მოქმედებს უფლებრივ სისტემაზე და პირიქით და ა. შ. საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული მხარეები ორგანულ ერთიანობაში იმყოფებიან და, რადგან ისინი, მიუხდავად მათი მციდრო კაგშირისა, ერთიანის სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენს, ერთმანეთზე მოქმედებენ. მაგრამ მათი ურთიერთმოქმედება გარკვეულ საფუძველზე ხდება. ურთიერთმოქმედი მხარეები ერთნაირი მნიშვნელობის არ არიან; მათ შორის ერთია ძრითადი, საფუძველი, ამხსნელი როგორც საჭუთარი თავისა, ისე სხვა მხარეებისაც, ასეთ ირითად საფუძველს, მაზეზს წარმოების წესი წარმოადგენს. ისტორიული ცვალებადობის გაგება მხოლოდ წარმოების წესის ცვალებადობის საფუძველზე შესაძლებელი. ის არის საზოგადოებრივი ცხოვრები; განვითარების გადამწყვეტი ძალა და არა ერთ-ერთი ფაქტორი, ერთერთი მიზეზი, სხვა მიზეზების თანაბარმნიშვნელოვანი. ასეთია ისტორიული მატერიალიზმის მონისტური თეორია, რომელიც ერთადერთი მეცნიერულია და უძირისპირდება ისტორიული მოვლენების კვლევის პლურალისტურ პრინციპს.

ზემოთქმული სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მარქსიზ-

მი ეკონომიურ მატერიალიზმად გამოვაცხადოთ, როგორც ამას პაულ ბარტომ აკეთებს. მარქსიზმის ცეკვი და ახალი კრიტიკოსების საერთო სენს წარმოადგენს მარქსიზმის დაყავანა ეკონომიურ მატერიალიზმზე და შემდეგ მისი კრიტიკა. ამ ადამიანებს არ ესმია, ან არ სურთ გაიგონ, რომ ისტორიული ცვალებადობის ძარითად მიზეზად წარმოების წესის ცვალებადობის გამოცხადება არ გამორიცხავს იმას, რომ იდეოლოგიური სფეროები თავის მზრივ უკუგავლენას ახდენენ ეკონომიურ განვითარებაზე და ურთიერთზე [1].

„ეკონომიური მდგომარეობა ბაზისია. მაგრამ ისტორიული ბრძოლების მსვლელობაზე ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე და მრავალ შემთხვევაში მის ფორმას (ჩაზი ენგელსისა) განსაზღვრავენ ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები: კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმები და მისი შედეგები—კონსტიტუციები . . . სამართლის ფორმები და ყველა ამ ნამდვილი ბრძოლების თვით ასახვასაც კი მონაწილეთა ტეინში, პოლიტიკური, ი. რიდიული, ფილოსოფიური თეორიები, რელიგიური შეხედულებანი . . . [2]. ენგელსი იქვე აღნიშნავს, რომ ისტორიული ბრძოლების მსვლელობაზე გავლენას ასდენენ თვით ადამიანთა თავში დაბუდებული ტრადიციებიც კი. ენგელს მოჰყავს პრუსიული სახელმწიფოს მაგალითი. პრუსიული სახელმწიფო საბოლოო ანგარიშით ეკონომიური მიზეზების წყალობით წარმოაშევ. მაგრამ აქედან იმის მტკიცება, რომ ჩრდილოეთ გერმანიის უამრავ წვრილ სახელმწიფოთა შორის სწორედ ბრანდენბურგი იყო ეკონომიური იუცილებლობით და არა აგრეთვე სხვა მომენტებითაც იმისათვის განკუთვნილი, რომ დადი სახელმწიფოს როლი ეთამაშნა, არასწორი იქნებოდა.

ძნელად თუ მოხერხებს ვინმე, ისე რომ სასაცილო არ გახდება, მხოლოდ ეკონომიური მიზეზებით ახსნას წარსულისა და აწყვის ყოველი მოვლენა, ავილოთ მაგალითისათვის XIX საუკუნის რუსეთი. ცნობილია, რომ XIX ს. რუსეთმა კაცობრიობას ბუმბერაზ მოაზროვნეთა მთელი პლეადა შისცა. ესენია: რილევი, გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, გრიცენი, ოგარიონი, გონჩაროვი, ტურგენევი, ასტრონომი, დოსტოევსკი, ნეკრასოვი, ბელინსკი, დობროლიუბინი, ჩერნიშევსკი, ტოლსტოი და სხვა. არა თუ ინგლისსა და საფრანგეთს, არამედ არც ერთ სხვა ქვეყანას არ განუცდა მოწინავე ფილოსოფიური აზროვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ისეთი აყვავება, როგორც ამას XIX საუკუნის რუსეთში ჰქონდა ადგილი. და განა სასაცილო არ იქნებოდა ამ მოვლენის მხოლოდ ეკონომიური მიზეზებით ახსნა. შემდეგ მარქსიზმი გარკვევით დაამტკიცა, რომ ზედნაშენი ბაზისის პროდუქტია. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს პირველს. მარქსიზმი ამავე დროს გვიჩვენებს, რომ ზედნაშენი არ არის თავისი წარმომშობი ეკონომიური ბაზისის პასიური პროდუქტი. ზედნაშენი უდიდესი იქტიური ძალაა, რომელიც რავდა ერთხელ წარმოიშვა შედარებით დამოუკიდებლობას იძენს და უკუზევავლენას ახდენს თავის წარმომშობე ეკონომიურ ბაზისზე. ასევე სხვა ისტორიული მოვლენების მიმართაც, რომლებიც წარმოიშვებიან რა სხვა, საბოლოო ანგარიშით კი ეკონომიური ფაქტებისაგან, გავლენას ახდენენ თავის გარემოზე და შეუძლიათ თავისი თავის საკუთარ მიზეზზეც უკუიმოქმედონ.

თქმულიდან ცხადი ხდება, რომ მარქსიზმის დაყვანა ეკონომიკურ მატებრიალიზმშე, მისი გამოცხადება „ეკონომიურ აფტომატიზმად“ მოქლებულია ყოველგვარ შეცნიერულ საფუძველს. იმასთან დაკავშირებით ენგელსი წერდა: „... თუ ბარტი ფიქრობს, რომ ჩვენ უარყოფთ ეკონომიკური მოძრაობის. პოლიტიკურ და ა. შ. ანარეკლთა ყველა და ყოველგვარ უკუზეგავლენას თვით ამ მოძრაობაზე, მაშინ ის მათლენ ქარის წისქვილებს ებრძის“ [3].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პ. ბარტს წინააღმდეგობად მიაჩნია, ერთი მხრივ, იმის აღიარება, რომ ეკონომიკა განმსაზღვრელია პოლიტიკისა და, მეორე მხრივ, დაშვება პოლიტიკის უკუზემოქმედებისა ეკონომიკაზე. ფაქტორების თეორიის წარმომადგენლების თეორია არგუმენტის წამოყენება მარქსიზმის წინააღმდეგ დიალექტიკის უცოდნარობის შედეგია. ისინი მუდამ აქ მხოლოდ მიზეზს ხედავთ, იქ კი შედეგს. არადიალექტიკური თვალსაზრისის მიხედვით მიზეზი და შედეგი ისეთი უცვლელი და დაპირისპირებული პოლუსებია, რომ ასოლუტურად გამორიცხულია მათი ურთიერჩემოქმედება. მათ არ ესმით, რომ მიზეზისა და შედეგის კავშირს ურთიერთქმედების ხასიათი აქვს. მიზეზი წარმოშობს შედეგს, მაგრამ შედეგიც აქტიურად მოქმედებს მიზეზე. უფრო მეტი, ურთიერთმოქმედების პროცესში მიზეზი და შედეგი აღგილებს იცვლიათ. „ის რაც ახლა აქ შედეგი იყო, იქ ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით“ [4].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

ფაქტორების თეორია, რომელმაც განსაკუთრებული გაფრცელება პპოვა გასული სასუჯნის 90-იან წლებში, წარმოადგენს მარქსისტული სოციოლოგიის წვრილურებაზიულ ჩვენისას. ამ თეორიის ცნობილი წარმომადგენლები არაან მაქს ვებერი, პაულ ბარტი, მ. კოვალიოვსკი, ნ. ი. კარევი, ნ. ხიზანიშვილი, ი. ფან ჭავა და სხვ. თანამედროვე ეტაპზე ფაქტორების თეორიას მხარს უჭერენ ამერიკელი სოციოლოგი ნორტროპი, ვებერის სოციოლოგიური ჯგუფის წარმომადგენლები დასავლეთ გერმანიაში და სხვები რომელთა მეთაურად გვევლინება ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან როსელი.

ფაქტორების თეორია საბოლოოდ იდეალიზმის ჭაობში ეფულობა. იგი ახვიადებს სუბიექტური ფაქტორის როლს ისტორიაში, ხოლო სინამდვილეში კი ამცირებს, აშერადაც უარყოფს ეკონომიკური ფაქტორის როლს, რაც ნათლად შელავნდება რასელის მიერ კონსტრუირებულ „ინტელექტუალური მიზეზობრივობის“ ცნების შინაარსში.

ფაქტორების თეორია ისტორიის ახსნის მონისტურ პრინციპს ცვლის პლურალისტური პრინციპით. კვლევის პლურალისტური მეთოდი ვერ ხსნის ურთიერთხმედების ემპირიულ ფაქტს, რაც კარგად ესმოდა დიდ დიალექტიკს ჰეგელს. ჯერ ერთი, თუ ჩვენ ვალიარებთ, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას, პოლიტიკა ეკონომიკას და ა. შ., მაშინ აღმოჩნდება უფალავი მიზეზობრივი კავშარები, ერთი პრინციპი შეუძლებელი იქნება და აუხსნელი დარჩება ურთიერთგანსაზღვრულობათა საფუძველი.

მეორე. თუ აღიარებულია მრავალი იძრითადი მიზეზი მაშინ უაზრობად იქცევა თვითონ იძრითადი მიზეზის ცნება. ამ სიძნელიდან გამოსავლი არ იქნება იმის თქმა, რომ ამ იძრითადი მიზეზებიდან თითოეული ასეთ როლს

სხვადასხვა დროს ასრულებს. თუ ამას ვიტყვით, მაშინ აუხსნელი დარჩება, კონკრეტულ პერიოდში, სახელდობრ, ეს მოვლენა რატომ გამოდის ძირითად ისტორიულ მიზეზად და არა სხვა მოვლენა, ისტორიის მონისტური გაგები-სათვის უცხოა ასეთი წინააღმდეგობები. მის მიხედვით ურთიერთმოქმედ მხარეებში ერთია ძირითადი, რომელიც ხსნის როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა მომენტებსაც. ასეთ ძირითად საფუძველს წარმოება წარმოადგენს. ასე-თია ისტორიის მეცნიერული ახსნის მონისტური თეორია.

ზემოთქმული არ იძლევა იმის უფლებას, რომ ისტორიის მარქსისტული გაგება ეკონომიურ მატერიალიზმად გამოვაცხადოთ. მარქსიზმი კი არ უარ-ყოფს იდეოლოგიური სფეროების უკუგავლენას ეკონომიურ განვითარებაზე და ერთმანეთზე, არამედ ხსნის მას ერთიან საფუძველზე. ამის საწინააღმდეგო შეხედულება არადიალექტიკური თვალსაზრისია, რომელიც ვერ ხედავს იმას, რომ მიზეზისა და შედევრის კავშირს ურთიერთქმედების ხასიათი აქვს და მია-ჩნია, რომ მიზეზ-შედევრობრივი კავშირი აბსოლუტურად გამორიცხავს მათ ურთიერთშემოქმედებას.

დამომახუთლი ლიტერატურა

1. ფ. ენგელსი—წერილი კ. შმიდტს, 1890 წ. 5 აგვისტო.
2. ფ. ენგელსი—წერილი ი. ბლოხს, 1890 წ. 21—22 სექტემბერი.
3. ფ. ენგელსი—წერილი კ. შმიდტს, 1890 წ. 27 ოქტომბერი.
4. ფ. ენგელსი—ანტი-ლიტერინგი, სახელგამი, თბ., 1952.
5. ვ. ი. ლენინი—თხზ., ტ. 31, თბ.
6. ვ. ი. ლენინი—ლოგიკს მეცნიერება. ქართ. გმ. 1962.
7. ნ. ხიჭანიშვილი—უურნ. „იმედი“, № 7—8, 1882.
8. ი. ფანცხავა—თხზ.. 1903 გვ. 16—17.
9. ვ. გალოგრე—„უალოსოფიური აზრის ძირითადი მიმღინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში“. თბ.. 1964 წ.
10. Rassell—Freedom and Organization, 1952 p.
11. П. Барт—Философия истории, как социология, 1902.

შპოტ ბიბლიოთის დოკუმენტის თარიღი
საქართველოს საცენტრო-სამარხეო ინსტიტუტის გამოშვები, ტ. LXV, 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного института, т. LXV, 1965 г.

ვ. მესხი

სოფლიად საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საკითხებისათვის კომუნიზმის გაფლილი მშენებლობის პრეზიდენტი

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი ხასიათდება ქალაქსა და სოფელს შორის არსებოთი განსხვავების არსებობით, რაც მოიცავს წარმოების ტექნიკის და კულტურის, საკუთრების ფორმების, კლასების, წარმოების ორგანიზაციისა და სხვ. სფეროებს. ამ განსხვავებათა თანდათანობითი ლიკვიდაცია, კლასობრივ, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის ჩვენი ეპოქის გადაუდებელ ამოცანაა.

სკპ ც. კ-ის 1965 წლის მარტის პლენურზე განხილული იქნა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ლონისძიებები. პლენურზე აღნიშნულ იქნა, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღმავლობის უზნიშვნელოვანების პირობას წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის სწორი განვითარება სოფლად. პლენურის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „...სოფლიად საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ძირებით საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას კამპანიურად, ადმინისტრაციული გზით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს საკითხი ეხება მილიონობით საბჭოთა ადამიანის საარსებო ინტერესებს და მაშასადამე, ეს პოლიტიკის საკითხებია, და ისინი უნდა გადავწყვიტოთ მოფიქრებით, აუქარებლად, ეკონომიური პირობების მომწიფების კვალობაზე“.

მასალებში მითითებულია შინასაკოლმეურნეო ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფისა და დემოკრატიზაციის აუცილებლობა. მარტის პლენურის შესალები კიდევ ერთი დაღასტურებაა. თუ რაოდენ აქტუალურია საკითხი სოფლად საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შესახებ, რამდენად აუცილებელია სოციალური ექსპერიმენტი, საზოგადოებრივ და საწარმოო ერთეულთა კონკრეტულ-სოციალოგიური კვლევა და კომუნისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა.

* * *

ადამიანი თავისი წარმოშობით და არსებით სოციალური მოვლენაა. მას არა თუ განვითარება, არამედ არსებობაც კი არ შეუძლია საზოგადოების განვითარება, ადამიანს მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევება. „ადამიანუ-

რი არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა” [1].

აღამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი თავისი, სიმრავლითა და ნაირსახეობით ამოუწურავია. აქ შედის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ოჯახსა და სხვ.

კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში პირველად კ-მარქსმა მოგვცა აღამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის მეცნიერული ანალიზი. მან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან გამოჰყო ეკონომიური სფერო, წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც ძირითადი, პირვანდელი, ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი. ვ. ი. ლენინი წერს: „მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა, ერთბაშად მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორებითობა და სისწორე და საზოგადოებრივი ფორმაციის ერთ ძირითად ცნებად განვეზოგადებინა სტადასტვა მვეუნების წესები“ [3].

მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან ძირითადის, პირვანდელის გამოყოფას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აღმოჩენამ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, პირველად დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე, რის შედეგადაც შემუშავებულ იქნა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება, როგორც მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობისა და დამტკიცდა, რომ საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია.

წარმოებითი ურთიერთობანი მოიცავს სამ მომენტს: საკუთრების ფორმებს, განაწილებას და წარმოების პროცესში სოციალურ ჯგუფთა ურთიერთ დამკიდებულებას.

ბურუჟაზიულ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე გამატოვებულია კერძო კაპიტალისტური საკუთრება, რომელიც განსაზღვრავს წარმოების პროცესში სოციალურ ჯგუფთა ურთიერთდამკიდებულებას და განაწილების ფორმებს. ეს ურთიერთობანი, რომლებიც ანტაგონისტური წინააღმდეგობის ხსიათისაა, განსაზღვრავენ და თავის დაღს ასკამენ ყველა სჩვა საზოგადოებრივ ურთიერთობას.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შედეგად, ძირეულად შეიცვალა, უპირველეს ყოვლისა, წარმოებითი ურთიერთობანი. რამაც თავის, მხრივ, განაპირობა ყველა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათის შეცვლა. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ნაცვლად დამყარდა სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრება. წარმოების პროცესში არსებული ანტაგონისტური ურთიერთობა შეიცვალა ექსპლოატაციისაგან თავისუფალ აღამიანთა ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობით, მატერიალური და სულიერი დოკულატის განაწილებისას, ინდივიდთა წილი განისაზღვრება არა კაპიტალისა და კერძო საკუთრების ოდენობის მიხედვით, არამედ საზოგადოებრივ წარმოებაში მისი თითოეული წევრის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა გამოიწვია ყველა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეცვლა. საზოგადოების წევრებს შორის ცხოვრების ყველა-

სუეროში ჩამოყალიბდა ახალი, სოციალისტური ურთიერთობანი, შექმნა ახალი მორალი.

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად დამყარებულია ერთი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობა — სოციალისტური ურთიერთობა. მაგრამ იგი ერთნაირი არაა ქალაქად და სოფლად. მათ შორის განსხვავება გაპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, საწარმოო ძალთა განვითარების სხვადასხვა დონით.

საბჭოთა წყობილებამ მემკვიდრეობით საწარმოო ძალთა განვითარების ძალში დაბალი დონე მიღობ; ის იანსაკორებით ეხება სოფლის მეურნეობას. მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობა წვრილი, დაქუცმაცებული საწარმოო ერთეულებისაგან შედგებოდა. რევოლუციამდელ რუსეთში იყო 20 მლ.-ზე მეტი წვრილი გლეხური მეურნეობა [5].

სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის უაღრესად დაბალი დონის საილუსტრაციოდ აქ შეიძლება მოვიტანოთ მასალები საქართველოს შესახებ. 1923 წელს გლეხურ მეურნეობათა აღწერის მონაცემებით საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა ასეთი იყო: 163 ათასი კავი, 7 ათასი ხის გუთანი, 18 ათასი რკინის გუთანი, 55 ათასი ხის ფარცხი, 3 ათასი რკინის ფარცხი; აღსანიშნავია, რომ გლეხურ მეურნეობათა 54%-ს აღნიშნული უმარტივესი იარაღებიც კი არ გააჩნდა. გამწევ ძალას ძირითადად წარმოადგენდა ხარი, კამეჩი და ნაწილობრივ ცხენი [9].

შესაბამისად დაბალი იყო სოფლის მცხოვრებთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ აღამიანთა ზოგადი განათლებისა და პროფესიონალური კვალიფიკაციის დონე.

ამან და მთელმა რიგმა სხვა ისტორიულმა პირობამ განსაზღვრეს ქალაქისაგან განსხვავებული წარმოებით ურთიერთობის მქონე სოციალისტურ საწარმოთა შექმნა სოფლად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლად გაიმარჯვა და გაბატონებული მდგრამარეობა დაიკავა მეურნეობის სოციალისტურმა ფორმამ. 1963 წლის მონაცემებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში ორგანიზებულია და წარმატებით მუშაობს 39,5 ათასი კოლმეურნეობა და 9.2 ათასი საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა თითქმის არაა [7].

სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთავარ როლს კოლმეურნეობები ასრულებენ. ამიტომ სოფლად ასებულ ურთიერთობებს ძირითადად კოლმეურნე გლეხთა შორის ასებული წარმოებითი ურთიერთობანი განსაზღვრავენ.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეობებში წარმოების იარაღები, შენობანაგებობანი და წარმოებული პროდუქცია კოლმეურნეთა ჭგუფურ საკუთრებას წარმოადგენს, განსაზოგადოებულია მხოლოდ მოცემული სასოფლო-სამეურნეო არტელის მასშტაბით.

გარდა ამისა, კოლმეურნეებს გააჩნიათ პირადი საკარმილამო მეურნეობა, რითაც სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონეზე შეუძლიათ დაიკმაყოფილონ პირად მოთხოვნილებათა გარკვეული ნაწილი. ეს გარემოება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათზე მოქმედებს ორი გზით:

- 1) კოლმეურნეებს პირად მეურნეობაში ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თანამედროვე ფასების პირობებში შეუძლია დაიგმაყოფილოს მთელი პირადი მოთხოვნილება საკუთარი მეურნეობიდან, რაც მის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი მუშაოთან შედარებით რამდენადმე სხვაგვარ ფორმას აძლევს.
- 2) ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითქმის ყოველი ოჯახი მოიცავს გარკვეულ სამეურნეო ელემენტს, რაც ყველაზე მეტად ვლინდება სოფლად. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ კოლმეურნე გლეხს გააჩნია მეურნეობა პირდაპირი პროდუქციის წარმოების აზრით და, მეორე მხრივ, სოფლად კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა დაწესებულებათა სუსტად განვითარების გამო, უფრო მეტია საოცარო საქმეების მოცულობა. ვიდრე ქალაქად. ეს კი უმეტესად მოქმედებს ქალის მდგომარეობაზე.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ტექნიკური აღჭურვილობისა და შრომის რაციონალური ორგანიზაციის მხრივ წამყანა როლი ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები. ისინი ორგანიზებული არიან სამრეწველო საწარმოების პრინციპზე და ნიმუშს აძლევენ კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი წარმოების გაძლიერები. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობაც ატარებს სოფლად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს, რადგან ეს საწარმოები ორგანიზებული არიან სოფელ ადგილებში, ხოლო ვათში მომუშავე ადამიანები ცხოვრობენ სოფლისათვის დამახასიათებელ კულტურულ-საყოფაცხოვრებო გარემოში.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ დასახაჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული გეგმა, რომელიც ფიქსირებულია ახალ პროგრამაში. მასში ნათქვამია: „კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება. სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სმიდიღრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიდი პრინციპი „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“ [4].

კომუნისტური საზოგადოების აშენება გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში ძირეულ გარდაქმნებს.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუნძული ჩვენს მეცნიერება ნიშნავს ჩვენს მეცნიერების წარმოების მოცულობისა და განვითარების ისეთ დონეს, რომის დროს შესაძლებელი გახდება მატერიალური დოკუმენტის იმ რაოდენობით წარმოება. რაც საკმარისი იქნება მოთხოვნილების მიხედვით მისი განაწილებისათვის, გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ერთანი სახალხო საკუთრება და კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობა.

ასეთ პირობებში დღის წესრიგში დგება კომუნისტური საზოგადოების მომავალი წევრის აღზრდის საკითხი, რომლის შევნებიდან საცხებით და საბოლოოდ აღმოფხვრილი იქნება ძველი საზოგადოების გადმონაშოთები და გამოშუავდება საზოგადოებრივი საკუთრებისა და შრომისაღმი კომუნისტური დამოკიდებულება. ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, ქალაქება და სოფელს, ფიზიკურ და გონიერი შრომას შორის არსებით განსხვავებათა ლიკვიდაციას. ამ პრობლემათა განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სოფლად არსებულ თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურად გარდაქმნას.

საზოგადოებაში არსებულ ყველა ურთიერთობებს შორის, როგორც აღნიშნეთ პირველადი, განმაზღვრელია წარმოებითი ურთიერთობა. ძაგრამთვით წარმოებითი ურთიერთობა არ არის იზოლირებული სოციალური მოვლენა. ის წარმოების წესის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხარეს შეადგენს საწარმოო ძალები. საზოგადოების ცხოვრებაში მიმღინარე ცვლილებებსა და განვითარებას, საბოლოო ანგარიშით საფუძვლად უდევს საწარმოო ძალების ზრდა, მათი განვითარება საზოგადოებრივი პროგრესის ძირითადი კრიტერიუმია. მაშასადამე. წარმოების წესში ჯერ ცვლილებიან და ვითარდებიან საწარმოო ძალები. ხოლო შემდეგ, მის შესაბამისად წარმოებითი ურთიერთობანი. ამ უკანასკნელის ცვლილება-განვითარება, თავის მხრივ, განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებულ ყველა ურთიერთობათა ცვლილება-განვითარებას. ეს არის კაცობრიობის განვითარების კანონზომიერება, რომლის შესაბამისად მიმღინარეობს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმოქმნა და განვითარება. ამიტომა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდის საფუძვლად მიჩნეულია საწარმოო ძალთა განუშევეტელი განვითარება. სოფლად საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად „კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიათო წარმოებითი ურთიერთობით, შრომის ხასიათით, მშრომელთა კეთილდღეობის და კულტურის დონით სულ უფრო მეტად გახდებიან კომუნისტური ტიპის საწარმოებად“ [4].

კოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებით, მასში შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდით აღმოიჩხვრება მრეწველობასთან შედარებით მისი ზევრნეობი ჩამორჩენა. რომელსაც ამჟამად აქვთ ადგილი და სოფლის მეურნეობა გადაიქცევა კომუნისტური საზოგადოების მაღალგანვითარებულ დარგად.

სოფლად საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარებისათვის პარტიის პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი მექანიკური საშუალებების შემოღებას, კომპ-

ლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის ფართოდ დაწერგას.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა ყოველწლიური ზრდით ხასიათდება. რასაც ადასტურება შემდეგი ფაქტები: სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში 1928 წელს, 15-ძალიან-ზე გადაანგარიშებით იყო 18 ათასი ტრაქტორი, 1940 წელს — 684 ათასი, ხოლო 1963 წელს — 2612 ათასი [5]. ასეთივე სურათი კომბაინებით, ავტომანქანებითა და სხვა სახის სამოფლო-სამეურნეო მანქანებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის მომარავების მხრივ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ზრდის შესახებ ერთგვარ განმაზოგადებელ სურათს იძლევა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურის შეცვლა. 1933 წელს მთელ ენერგეტიკულ აიმძლავრეთა 91,8% მოდიოდა მუშა პირუტყვზე. ხოლო 1959 წელს — 6%. [9]. ჩესტუბლიკის სოფლის მეურნეობაში 1941 — 1964 წლებში ტრაქტორების რიცხვი გაიზარდა. 15-ძალიანზე გადაანგარიშებით. 3680-დან 17967 ცალმდე, მარცვლეულის კომბაინების რაოდენობა შესაბამისად 532-დან 1676 ცალამდე, სატვირთო ავტომობილებისაც 2737-დან 10564-მდე [11]. ახალი ტექნიკის დაწერგვის შედეგად თვისობრივად შეიცვალა მინდვრის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მაგალითად, 1928 წელს საბჭოთა კავშირში საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების 75% ითხებოდა ხელით. ცხენის საოხესებით 24,8%, ხოლო ტრაქტორის საოხესებით — 0,2%. 1961 წელს კი ხელით იყენება საერთოდ გამოირიცხა, ცხენის საოხესებით დაითხეს მხოლოდ 3%. ხოლო ტრაქტორის საოხესებით — 97%. იმავე წელს საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილი მიწების 98% მოიხსნა ტრაქტორებით. ხოლო მოელი მარცვლეული კულტურების 94% აღებულ იქნა ტრაქტორებითა და თვითმმავალი მანქანებით [5]. მიუხედავად ასეთი ზრდისა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის თანამედროვე დონე შემოლოდ დასაწყისია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში დაწერგვის ჩარიცხვის პროცესისა. ამჟამად სოფლის მეურნეობის მრავალ დარგთავან ყველაზე მეტად მექანიზებულია მარცვლეული კულტურების წარმოება, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის კომპლექსური მექანიზაციისაგან. უარესად დაბალია მექანიზაცია მეცნიერებულებაში, მებოსტნეობა-მებალეობასა და სხვ. დარგებში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური გაზის შექმნა კი მოითხოვს ისეთი მანქანებისა და მანქანათა სისტემების კონსტრუქტებას. მათი იმ რაოდენობით წარმოებას რაც უზრუნველყოფს ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს კომპლექსურ მექანიზაციას. ეს აუცილებელი პირობაა სასოფლო-სამეურნეო შრომის სამრეწველო შრომის ნაირსახეობად გადაქცევისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კომპლექსური მექანიზაცია დიდად არის დამკაიდებული ელექტროფიკაციაზე, ამიტომ პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩინა სოფლის მეურნეობის სწრაფი ელექტროფიკაცია, რომელიც აუმჯობესებს წარმოებას, მთლიანად ცვლის სოფლის სახეს, ამაღლებს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დონეს. ამჟამად საბჭოთა კავშირის უმრავლეს კოლმეურნეობათა მეც-

სოფელების ფერმებში ავტომატიზებულია წყლით მომარავება, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა და ამსუბუქებს შეიძლა. განსაკუთრებული შინი-შენელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის ელექტროენერგიას როგორც სითბური და სხივური ენერგიის წყაროს. სითბო, ულტრაიისფერი და ინფრა წილი სხივები გამოიყენება ცხოველებისა და მცენარეული ორგანიზების ზრდაზე უშუალო ზემოქმედებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში დაიწყო ბრძოლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის. 1920 წელს მიღებული გოვლროს გეგმის გათხოვის დღეების შემდეგ ელექტროენერგიის წარმოების ზრდა სწრაფი ტემპით დაიწყო. სახალხო მეურნეობაში ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ სკან ახალ პროგრამაში ნათქვამია: „ელექტროფიკაცია, რომელიც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძს წარმოადგენს. წარმატება არ არ ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში“ [4].

ყველა ღონისძიება, რომელიც ტარღება სოფლის მეურნეობაში შეიძლის ნაყოფიერების ზრდის მიზნით, დაკავშირებულია ელექტროენერგიის გამოყენებასთან. 1940 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იყო 12,7 მლნ. კილოვატსათი ელექტროენერგია, ხოლო 1961 წელს 187.4 მლნ. კილოვატსათი, ე. ი. დაახლოებით 15-ჯერ მეტი. 1961 წელს ელექტროფიკაჲული იქნა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების 95% და კოლმეურნებების 69% [10].

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში იღნიშული, მიმდინარე ოცწლეულში ყველა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროება ძირითადად უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით სახელმწიფო ენერგეტიკული სისტემებიდან. ხოლო ნაწილობრივ სოფლის ელექტროსადგურებიდან.

საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების საქმეში მეტად დიდი როლი ენიჭება ქიმიური მეცნიერების განვითარებას. კ. მარქსი წინასწარმეტებულებდა, რომ ქიმიური მეთოდებისა და რეაქციების დაუფლება სრულიად შეცვლის მექანიკურ დამუშავებას ქიმიური მეთოდებით. დღეს უკვე ცნობილია, რომ ქიმიური მეთოდები აუმჯობესებს წარმოების ტექნოლოგიას. აჩქარებს საწარმოო პროცესებს, ქმნის ნედლეულისა და მასალების ახალ სახეობებს, ზოგაც ენერგიისა და შრომის. ამასთან, აუმჯობესებს პროდუქციის ფარგლებებსა და ხარისხს.

ჩვენს საუკუნეში მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებამ უზრუნველყო ქიმიის ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლად აქცევდნენ ჭურადღებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას. მაგრამ ინდუსტრიალიზაციის წლებში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა მძიმე მრეწველობის შექმნას. არც სახსრები და არც საშუალებანი არ არსებობდა ქიმიის განვითარებისათვის. ამჟამად კი ჩვენში შექმნილია წინაპირობები ქიმიური მრეწველობის და აჩქარებული განვითარებისათვის.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში უნდა „განხორციელდეს სოფლის მეურნეობის თანმიმდევრული და ყოველ-მარივი ქიმიზაცია — სავსებით დაკამაყოფილდეს მისი მოთხოვნილებანი მინერალურ სასუქებზე, სარეველებთან, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურ საშუალებებზე: უზრუნველყოფილ იქნას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იდგილობრივი სა-სუქების საუკეთესო გამოყენება“ [4].

ქიმიური მრეწველობა ამარავებს სოფლის მეურნეობას მინერალურ სასუქებითა და ქიმიური დაცვის საშუალებებით. საბჭოთა კავშირში 1955—1963 წწ. მინერალური სასუქების წარმოება 9669 ათასი ტ-დან გაიზარდა 19 935 ათას ტ-მდე, ხოლო მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოებაში 1963 წელს მიაღწია 118 308 ტ-ს ნაცვლად 1958 წ. წარმოებულ 45 722 ტ-სა [8]. საქართველოში 1955—64 წლებში მინერალური სასუქების წარმოება გაიზარდა 14,9-ჯერ და მიაღწია 447 ათას ტ-ს [13].

* * *

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია, ელექტროფიკაცია, ქი-მიზაცია და ირიგაცია ცვლის მწარმოებლის კულტურულ-ტექნიკურ დონეს. როგორიც წესითაც მიმღინარეობს წარმოება, ისეთივე თვითონ მწარმოებელი და საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია.

დაბალი ტექნიკური ბაზის, წარმოებისა და შრომის არარაციონალური ორგანიზაციის. არასრულყოფილი ტექნოლოგიის პირობებში, მწარმოებლის ცოდნა და პრაქტიკული ჩევევებიც დაბალია. სანამ სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითად იარაღს შეადგენდა კავი, ხის ფარცხი, თოხი და გამწვე ძალად გამოიყენებოდა პირუტყვი, უაღრესად დაბალი იყო გლეხის საწარმოო ცოდნის დონე. მთელი არსებული ტექნიკა და ტექნოლოგია შექმნილი, საუკუნეთა მანძილზე თოთქმის უცვლელად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ახალი მანქანა-იარაღების შექმნამ და გამოყენებამ, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის რაციონალური. პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დაწერებულ კი მოითხოვა წარმოების მეცნიერულ საფუძვლებს დაუფლებული მუშავი.

მაშამადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარება და მისი დანერგვა, მეცნიერების მიღწევების ფართოდ გაძლიერება ცვლის სოფლის მეურნეობის მუშავთა კვალიფიციურ სტრუქტურის. სოფლის მეურნეობაში მცირდება ისეთი სამუშაოები, რომლებიც ას მოითხოვენ კვალიფიციურ შრომას. ეს იგი წარმოებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მცირდება არაკვალიფიციურ მუშავთა რიცხვი და იზრდება კვალიფიციური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება: მქონე სპეციალისტთა ხელმისაწვდომობაში მიღლი. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1939 და 1959 წლების აღწერის მონაცემთა ურთიერთ შედარება. 1959 წელს 1939 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში და-საქმებულ დამინიჭთ რიცხვი შემცირდა და შეადგინა 97%. თუ განვითარება, ძველი ტექნიკური ბაზისა და ტექნოლოგიის პირობებში წარიმარცვლებოდა,

სოფლის ტეურნეობის ყველა სპეციალობა პროპორციულად შემცირდებოდა. სინამდვილეში კი გიჩარდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა. 1939 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 237,5 ათასი ტრაქტორისგან. ხოლო 1959 წელს 2036,0 ათასი, ესე იგი 2,4-ჯერ მეტი. იმავე პუნქტში კომბაინერთა რიცხვი გიჩარდა 131,2 ათასიდან 353,3 ათასში. ანუ თითქმის 2,7-ჯერ. სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ძირისურავის რაოდენობამ კი 102,1 ათასიდან 187 ათასს მიაღწია, ე. ი. 1,6-ჯერ მეტად გაიზიარდა. აგრონომების, ზოოტექნიკოსების, კეტიურნართა და მეტექცეთა რიცხვმა 294,9 ათასის ნაცვლად 477,2 ათასი შეადგინა [5]. მაშასთამე, სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის შედეგად მოისპობა სამუშაოები, რომლებიც სრულიად არ მოითხოვენ კვალიფიკაციას. სოფლის შეურენობაში დასაქმებული ყოველი ადამიანი იქნება სპეციალისტი.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაյთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დიდი ღონისძიებები ტარდება. უმაღლესი სასწავლებლები, სარულონ სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სკოლები დიდი რაოდენობით მშადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. მარტო 1950—1963 წწ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა 3261 ათასმა კაცმა [7]. საქართველოშიც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება: 1950—1961 წწ. მომზადდა 34,4 ათასი სოფლის მეურნეობის მექანიზატორი. ტრაქტორისტი, კომბაინერი და კომბაინის მექანიკოსი [10]. მხოლოდ 1963 წელს მოზადდა 1,8 ათასი ტრაქტორისტი [11].

საწარმოო ძალთა განვითარება, როგორც ცნობილია, იწვევს წარმოებით და მოელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეცვლას. „ახალ საწარმოო ძალთა შექნასთან ერთად ადამიანები ცვლიან თავიანთ წესს წარმოებისას და წარმოების წესის, თავიანთი არსებობის საშუალებათა მოპოვების წესის ცვლილებით ისინი ცვლიან თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ხელის წისქვილი იძლევა ფერდალ-ბატონიან საზოგადოებას, ორთქლის წისქვილი მრეწველ-კაპიტალისტიან საზოგადოებას“ [2].

ჩვენს ქვეყანაში, საწარმოო ძალთა გავითარების კვალდაკვალ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილება სოფლად თავის გამოხატულებას პოულობს. მეუმაღლ მიმდინარე მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში: შინასაკოლეგიურნეო ურთიერთობათა გავითარებაში, საზოგადოებრივი და პირადი სექტორების ურთიერთშეფარდების ცვლილებაში, საკოლეგიურნეობათაშორისო კავშირების წარმოშობასა და განვითარებაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის არსებული ურთიერთობის გაფართოებაში, სოფლის კულტურულ-საყფაცხოვრებო პირობების შეცვლაში და სხვ.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები. 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები შეადგენდა 2,77 მლრ. მანეთს, 1961 წელს—25,97 მლრ. მანეთს [5]. ხოლო 1963 წელს 30,1 მლრ. მანეთს [7].

შომავალში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება კოლმეურნეობათა განუყოლელი და ძირითადი საწარმოო ფონდები, რომლებშიც უპირატეს ადგილს დაიჭირს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. „კოლმეურნეობათა ეკონომიკური აღმავლობა შესაძლებელს გახდის სრულვყოთ შინასაკოლმეურნეო ურთიერთობა. ავამაღლოთ განსაზოგადოებული წარმოების დონე; მიუჟახლოვოთ შრომის წარმირება, ორგანიზაცია და ანაზღაურება იმ ჭონესა და ფორმებს, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო საწარმოებში, განვახორციელოთ შრომის გარანტირებული ყოველთვიურ ანაზღაურებაზე გადასვლა; უფრო ფართოდ განვავითაროთ საზოგადოებრივი მომსახურება (საზოგადოებრივი წვება, საბავშვო ბალები და ბაგები, საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და სხვა)“ [4].

სოფლის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასა და მის თანამედროვე სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის სილიდე. სოფლის მეურნეობის განვითარების კვილობაზე თანდათანობით ისრდება საზოგადოებრივი მეურნეობის როლი და მცირდება კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის მნიშვნელობა. ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ე. ი. სოციალისტური სექტორი მთლიანად უზრუნველყოფებ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს არა მარტო პურისა და კვების სხვა პროდუქტებზე მოსახლეობისათვის, არამედ ნედლეულზე მრეწველობისათვის. მომავალში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება და „გარკვეულ ეტაპზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გაზდება მისი რესურსებით სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობათა მოთხოვნილებანი. ამ საფუძველზე პირადი დამხმარე მეურნეობა თანათანობით დრომოშორის გაზდება ეკონომიკურად. როცა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მთლიანად შეცვლის კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობას, როცა კოლმეურნები თვითონ დარწმუნდებიან, რომ მათვის ხელსაყრელი არ არის ჰქონდეთ საკარმილამო მეურნეობა, ისინი ნებაყოფლობით იტყვიან უარს მასზე“ [4].

სასოფლო-სამეცნიერო ტექნიკის განვითარებამ, კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ზრდამ და სხვა მაჩვენებლებმა. აგრეთვე სოფლის მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკურმა განვითარებამ მიაღწია იმ დონეს, როდესაც შეუძლებელია საჭირო ეკონომიკური ეფექტის მიღება ცალკეულ კოლმეურნეობათა შიგნითორგანიზებულ წარმოებებში. ამიტომ ეკონომიკური განვითარების ლოგიკა დასვა საკითხი კოლმეურნეებს შეერთებული ძალებით შეექმნას სპეციალიზებული, ეგრეთშოდებული საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები. კოლმეურნეობათა თანამედროვე საწარმოო ბაზა, მათი ტექნიკური შეიარაღების დონე მოითხოვს სათანადო მომსახურებას, ტექნიკური პარკის შემდგომ სრულყოფას. მანქანი-იარაღების კვალიფიციურ რემონტს, საჭირო შემთხვევაში სათანადო ნაწილების გამოხარხვას და სხვ. გარდა ამისა, ცალკეული კოლმეურნეობისათვის მეტად ძნელია დამზადოს ადგილობრივი მშენებლობისათვის საჭირო მასალა. ამასთან თუ კოლმეურნეობები დაიწყებენ დამოუკიდებლად და განცალკევებულად აგურის, ცემენტისა და სხვა სამშენებლო მასალის დასამზადებელ საწარმოთა შექმნას, იგი ეკონომიკურად გაუმართლებენ.

ლი და არარენტაბელური იქნება. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები კი ამართლებენ თავიანთ არსებობას. ისინი რაციონალურად იყენებენ სასოფლო-სმეურნეო ტექნიკას და კვალიფიციურ მუშახელს; მაგალითად, მინდვრის საშუშნოთა კვალიფიციური წარმოება მოითხოვს აღვილობრივი სასუქების გამოყენებას. რომელთა დამუშავების რაციონალური ორგანიზაციისათვის მიზანშეწონილია რამდენიმე კოლმეურნეობის ძალების გაერთიანება. რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. იგივე ითქმის საირიგაციო სამუშაოების შესახებაც. მეტად გაუმართლებელია ცალკეულ კოლმეურნეობათა -მეცადინეობა სარწყავი სისტემებისა და გზების გაყვანის, ენერგორესურსებისა და სხვ. გამოყენების საქმეში. უაღრესად ეკონომიკურია ელექტროსადგურების, საირიგაციო სისტემების და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა პირველადი გადამუშავების საწარმოთა მშენებლობა გაერთიანებული ძალებით.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებს შორის განსაკუთრებით ფართო ჯანვითარება პოვა სამშენებლო ორგანიზაციებმა. 1958 წელს საბჭოთა კავშირში მოქმედებდა 961 საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, ხოლო 1961 წელს—1876, ანუ თოთქმის 2-ჯერ მეტი. ამავე პერიოდში ამ ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 117,4 ჰლნ. მანეთიდან 486,5 მლნ. მანეთამდე. 1958 წელს ერთი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია საშუალოდ ასრულებდა 122 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაოს. ხოლო 1961 წელს—259 ათასი მანეთისას [6]. საქართველოში 1961 წელს მოქმედებდა 140 საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია. მათგან ელექტროსადგურების მშენებლობას აწარმოებდა 26, პირუტკის სასუქი პუნქტი იყო 11, მეფრინველეობის ფერმა—38 და ა. შ. [10].

საკოლმეურნეობათაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება დიდადა დამკიდებული სოფლის მეურნეობის დარგების, აღვილმდებარეობისა და ცალკეულ კოლმეურნეობათა წარმოების სპეციფიკასა და თვისებურებაზე. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონაში ეს კავშირები სხვადასხვა ხასიათს დატარებს.

იღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების რიცხვი 1963 წლისათვის შემცირდა საერთოდ, ხოლო საქართველოში დავიდა 107-მდე. ცხადია გაუმართლებელია მათი ნაჩარევად და ეკონომიკური ღასაბუთების გარეშე შექმნა. მავრამ, იქ. სადაც სწორად არის შრომა ორგანიზაციებული, დიდია ეკონომიკური ეფექტი. ასე მაგალითად: „— რესპუბლიკაში მემად ასესბულ მეფრინველეობის 25 საკოლმეურნეობათაშორისო ფერმაზე, რომლებშიც 690 კოლმეურნეობაა გაერთიანებული. მოდის საკოლმეურნეო სექტორის ყველა ასაკის ფრინველის 33,5% მათ შორის კვერცხმდებელი ქათმების 30,2%, წარმოებული კვერცხის 32,5%. 1965 წლის 1 იანვრისათვის 1958 წელთან შედარებით (როდესაც ასეთი ფერმების შექმნა დაიწყო) 1,2-ჯერ გადიდდა ყველა ასაკის ფრინველის რაოდენობა, 2,1-ჯერ გაიზარდა კვერცხისა და 1,5-ჯერ ფრინველის ხოლცის წარმოება, ვიდრე ეს 690 კოლმეურნეობაში იყო [13] ცხადია. რომ მეფრინველეობაში კოოპერირების ასეთი

თორმია პროგრესულია და ფერმების მუშაობის სწორი ორგანიზაციით შესაძლებელია დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღება.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და გაერთიანებები, კოლმეურნეობთან შედარებით მაღალი ტიპისაა. მათ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე სოფლის საზოგადოების ურთიერთობათა კომუნისტურად გარღვევის საქმეში. ამ საწარმოებსა და გაერთიანებებში წარმოების ორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება ისევე ხდება, როგორც სახელმწიფო საწარმოებში. ისინი, კოლმეურნეობებთან შედარებით, ტექნიკურად უკეთ არიან აღჭურვილი და ჰყავთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. რის გამოც ეკონომიკური ეფექტი მეტია, ხოლო შრომის ნაყოფიერების დონე—მაღალი. ამ საწარმოებს და გაერთიანებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სუსტად განვითარებული კოლმეურნეობების დასახმარებლად და კოლმეურნეობათა ურთიერთდახმარებისათვის. დახმარება ხორციელდება როგორც უშუალოდ წარმოების სფეროში (ტშენებლობა, შეკეთება და სხვა), ისე ნატურალური და ფულადი კრედიტის სახით.

საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებები ჯერ კიდევ კოოპერაციული საწარმოებია, ოღონდ მათი საზღვრები გაფართოებულია, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას ქმნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის არსებული კავშირების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

სკვპ პროგრამაში მითითებულია სოფლის გარდაქმნის კიდევ ერთ გზაზე: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესში გაძლიერდება მათი საწარმოო კავშირი ერთმანეთს შორის და ადგილობრივ სამრეწველო საწარმოებთან. გაფართოვდება სხვადასხვა წარმოების ერთობლივად ორგანიზაციის პრაქტიკა. ეს უზრუნველყოფს სამუშაო ძალისა და საწარმოო ჩესურისგან უფრო თანაბარზომიერ და სრულ გამოყენებას წლის მანძილზე. გაადიდებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული ღონის ამაღლებას“ [4].

როგორც არ უნდა შეიცვალოს სოფელმა სახე, გარდაიქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობა, სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკით განსაზღვრული თავისებურება მარც დარჩება. ეს უპირველეს ყოვლისა სამუშაოთა სეზონურობაა. სოფლის მეურნეობის მუშაკები ზამთრის პერიოდში თითქმის არ არიან წარმოებაში დასაქმებული. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია ანთავისუფლებს მუშახელს წარმოებიდან, რასაც ემატება მოსახლეობის ბუნებრივი მატება. თავისუფალი მუშახელის რაციონალური გამოყენებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა უკეთ გადამუშავების საჭიროება კი დღის წესრიგში აყენებს სოფლად საწარმო-აგრარულ გაერთიანებათა შექმნას. რომლებიც გაღამუშავებენ ისეთ მაღლუჭად პროდუქტებს, როგორიცაა რძე, ხილი, ხორცი, ბოსტნეული. „ეკონომიკური მიზანშეწარნილობის კვალობაზე თანდათანბით შეიქმნება აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებანი, რომლებშიც სოფლის მეურნეობა ორგანულად შეეხამება მისი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებას სასოფლო-

სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების რაციონალური სპეციალიზაციისა და კომპერიტების პირობებში” [4].

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში შეინიშნება კოლმეურნეობებისა და საბოთა მეურნეობების გამსხვილება. რის შედეგად დასახლებული პუნქტები უახლოვდებიან ერთმანეთს და კლებულობა მცირე მოსახლეობის მქონე სოფელთა რაოდენობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს ძეველ, ჩამორჩენილ სოფელთა მექანიკურ გაერთიანებას. სინამდვილეში სოფელთა დაახლოება და გამსხვილებულ პუნქტებად შერწყმა წარმოებს სამიმსვლო საშუალებათა განვითარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების. საზოგადოებრივ დაწესებულებათა ზრდისა და სხვა ანალოგიური პროცესების ბაზაზე. პარტიის მიერ დასახული საპროგრამო მოცანათა შესრულების შედეგად თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელი თანდათანობით გარდაიქმნება ქალაქის ტიპის, გამსხვილებულ, დასახლებულ პუნქტად. ამ პუნქტებში იქნება კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კომუნალური მომსახურება. კულტურული და სამედიცინო დაწესებულებანი. სოფლები კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ თანდათან გაუთანაბრდებიან ქალაქებს.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებათა მოსპობა კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი შედეგი იქნება. მაგრამ არსებითი განსხვავების მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის არ წარმოაღენს საბოლოო მიზანს სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლასა და გარდაქმნაში. ეს არის მხოლოდ თანამედროვე ეპოქის, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქის პირველი და გადაუდებელი მოცანა. შემდგომ პერიოდში ჩვენი საზოგადოება კიდევ უფრო წავა წინ ამ მიმართულებით და სოფლის საზოგადოებრივი ურთიერთობანი გარდაიქმნებიან კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებად.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ქ. მარქსი და ფრ. ენგელსი—რჩ. ნაწერები ორ ტომად, ტ. 2. სახელგამი, თბ., 1950.
2. მარქსი—ფილოსოფიის სიღარავე. სახელგამი, თბ., 1938.
3. ვ. ი. ლენინი—თხ., ტ. I. სახელგამი, თბ., 1948.
4. სკვაპროგრამა. სახ. გამომ. 3. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.
5. CCCP ციფრაх в 1961 году. М., 1962.
6. CCCP ციფრაх в 1962 г. М., 1963.
7. Народное хозяйство СССР в 1963 г. М., 1965 г.
8. 20-летие в цифрах, краткий справочник. М., 1963.
9. Советская Грузия за 40 лет. Тб., 1961.
10. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г. Тб., 1963.
11. Народное хозяйство Грузинской ССР в 1963 г. Тб., 1964.
12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებული სტატისტიკური სამართველოს მასალები.
13. გაზეთი „კომუნისტი“, № 145, 1965 წ. 22/VII გ.

შრომის წითელი დროშის ორდენის
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXV, 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного института, т. LXV, 1965 г.

ეკონ. მეცნ. კანდ. პ. მირონიძე

საზოგადოებრივი შრომა და მისი ნაზოვიერების განვითარება

1. შრომის რასიათი სოციალისტურ საზოგადოებაში

შრომა, როგორც ადამიანის ენერგიის ხარჯვის პროცესი, როგორც მისი ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლივი მოქმედების პროცესი ერთი და იგივეა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში. მაგრამ შრომის გამო-ცლინების ეს გარეგანი ფორმა ვერ ხსნის შრომის ხასიათს და თავისებურებას ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვით.

კ. მარქსის მიხედვით შრომის ხასიათს, მის თავისებურებას საზოგადოების განვითარების ცალკეულ საფეხურზე განსაზღვრავს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა, თუ ვის მფლობელობაში იმყოფება წარმოების ძირითადი საშუალებანი, როგორია ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი.

კერძო საკუთრება ადამიანთა ექსპლოატაციის, სოციალ-ეკონომიური უსამართლობისა და ქველა სხვა უბედურების ძირითადი მიზეზია. ვ. ი. ლენინი ხაზისმით აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ყოველგვარი უთანასწორობის მოსპობისათვის საჭიროა დავამხოთ არა მარტო მემამულები და კაპიტალისტები, „არა მარტო გავაუქმოთ მათი საკუთრება, საჭიროა გავაუქმოთ აგრესვე წარმოების საშუალებათა ყოველგვარი კერძო საკუთრება“ [6].

იმის გამო, რომ ადამიანები შრომითი საქმიანობის დროს თავიანთი ნებასურვილის გარეშე ერთიმეორესთან კავშირში იმყოფებიან, შრომა თავისი არსით ყველა ეკონომიურ ფორმაციაში საზოგადოებრივი ხასიათის შატარებელია, საზოგადოების ერთი ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქტები მოიხმარება მეორე ჯგუფის მიერ. ასე, მაგალითად, მრეწველობის მუშავთა შრომის პროდუქტებს მოიხმარს სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგის მუშავები და პიროვნება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ ფორმაციებში საზოგადოებრივი შრომა განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის მატარებელია. კაპიტალისტური წარმოების საფუძველს, მსგავსად ყველა წინა ექსპლოატატორული საზოგადოებისა, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება წარმოადგენს. მაშინ, როცა მილიონობით მშრომელი მოკლებულია მას და შიმშილის მსხვერპლი, რომ არ გახდნენ, იძულებული არიან თავიანთი სამუშაო ძალა კაპიტალისტებს მიაქირონ.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გამო კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომა ხასიათდება შემდეგი სტუდიის გვევლინებით: საზოგადოებრივი შრომა გვევლინება, როგორც კერძო საქონელ-მწარმოებელთა შრომა, როგორც დაქირავებული, იძულებითი ხასიათის შრომა; ადამიანის საშუალო ძალა საქონელად არის გადაქცეული; წინააღმდევობა აუცილებელ და ზედმეტ შრომას შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის და ბოლოს, საზოგადოების მასშტაბით შრომა არაორგანიზებულია.

კაპიტალისტური კერძო საკუთრება ჩრდილავს შრომის საზოგადოებრივ ხასიათს. შრომა გვევლინება, როგორც კერძო საქონელ-მწარმოებელთა საქმე, როგორც ცალკეული ადამიანის შრომა. მაგრამ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ქნას მოგება, კაპიტალისტებმა საქონელი ბაზარზე უნდა გაიტანონ გასაყიდად და კერძო მწარმოებელთა შრომის იქ უნდა მოიპოვოს საზოგადოებრივი აღიარება. ამრიგად, კაპიტალიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი ხასიათი ვლინდება შემოვლითი გზით, ბაზარზე, საქონელ-მწარმოებელთა მიღმა. სულ სხვა ხასიათს ატარებს შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში. იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში საკუთრების უმაღლეს ფორმა-სთან საერთო სახელმწიფო და საკოლმეტურნეო-კონძერატიულ საკუთრებასთან გვაქვს საქმე, საზოგადოებრივი შრომა ხასიათდება მთელი რიგი არსებითი თავისებურებებით. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: შრომის აქვს უშუალო საზოგადოებრივი ხასიათი, განსორციელებულია ექსპლუატაციისაგან თავისუფალი, შეგნებული შემოქმედებითი შრომა, სამუშაო ძალა აღარ არის საქონელი, მოსპობილია წინააღმდევობა აუცილებელ და ზედმეტ შრომას შორის, კერძო და საზოგადოებრივ შრომას შორის, მიღწეულია შრომის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.

შრომის საზოგადოებრივი ხასიათი.

სოციალიზმის დროს შრომა მთელი საზოგადოების მასშტაბით ორგანიზებულად და გეგმაზომიერად ხორციელდება. წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების გამო ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობა, ცალკეულ მწარმოებელთა შრომა ერთ მთლიან შრომის პროცესად წარმოვაიდგება.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი. პროპორციული განვითარების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საზოგადოების შრომითი რესურსები ცალკეული დარგის მიხედვით წინასწარ შედგენილი გეგმების მიხედვით ნაწილდება და მიზანშეწონილად გამოიყენება. თითოეული მშრომელის შრომის კონკრეტული ფორმა, მის მრავალსახეობათა მიუხედავად, გვევლინება როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის შემადგენელი ნაწილი. „როგორც კი საზოგადოება საწარმოო საშუალებებს დაეპატრონება — აღნიშნავდა ფ. ენგელსი და მას უშუალო განზოგადოებრივებული ფორმით გამოიყენებს წარმოებისთვის, თითოეული ცალკე პიროვნების შრომა, როგორც განსხვავებულიც უნდა იყოს მისი სპეციალური სასარგებლო ხასიათი, თავიდანვე და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა გახდება“ [3].

მაშისადამე, სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის თავიდანვე საზოგადოებრივი ხასიათის საფუძველს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება წარმოადგენს.

ამასთან ერთად სოციალიზმის ღროს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის არსებობა განაპირობებს სხვაობას სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საწარმოთა მუშების შრომის ხასიათში.

სახელმწიფო საწარმოების მუშების შრომა, ამ საწარმოებში წარმოების საშუალებებზე საკუთრების განსაზოგადოების მაღალი დონის გამო, უშუალოდ საზოგადოებრივ შრომად გვევლინება, მაშინ როცა საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საწარმოთა მუშების შრომა, უპირველეს ყოვლისა, განსაზოგადოებულია ცალკეული კოლმეურნეობისა და კოოპერაციული საწარმოს მასშტაბით. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საკოლმეურნეო-კოოპერაციული საწარმოების მუშების შრომა ერთიანი სოციალისტური დაგეგმვის საფუძველზე საზოგადოებრივი შრომის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

• შრომის უფლება, შრომის თავისუფალი, შეგნებული შემოქმედებითი

ხასიათი სოციალისტურ საზოგადოებაში

კოცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა უდიდესი ოცნება იყო ისეთი საზოგადოების აშენება, რომელშიც ყველა ადამიანი თანასწორუფლებინი იქნებოდა, იმუშავებდა არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისითვის, მთელი საზოგადოებისათვის. ასეთი მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებაა. ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანთა შრომის გამოყენებაში არსებობდა და მკაფიო უსამართლობა. მშრომელი მასები მძიმე და აუტანელ შრომას ეწეოდნენ, მაგრამ მუდამ შიმშილობდნენ და აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცხოვრების მძიმე და დუხშირი პირობები გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მილიონობით მშრომელთა შრომის შედეგს უკანონოდ ითვისებონენ და ამჟამადაც ითვისებენ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთი მუჭა ვაბატონებული კლასების წარმომადგენლები.

„საუკუნეობით სხვებისათვის შრომის, ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის შემდეგ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — პირველად ხდება შესაძლებელი აღმიანმა თავისათვის იმუშაოს, და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი“ [4].

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება განაპირობა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის თანასწორი და თავისუფალი შრომის უფლება. შრომის თანასწორი უფლება ნიშნავს საზოგადოების თითოეული შრომისუნარიანი წევრის თანაბარ უფლებას მიიღოს გარანტირებული სამუშაო შესატყვისი ანაზღაურებით, რომელსაც საფუძვლად უდევს მუშავის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობა და ხარისხი. ვ. ი. ლენინს თანასწორობა შრომის განთავისუფლების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდა და აღნიშნავდა. რომ თანასწორობა მოტყუუბაა თუ ის ეწინააღმდეგება კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლებას.

სსრ კავშირში შრომის უფლება უზრუნველყოფილია სოციალისტური წარ-

მოების განუხრელი ზრდით და შრომის გეგმაზომიერი ორგანიზაციით, რაც გა-
მოც ადგილი არა აქვს უმუშევრობასა და პერიოდულ ეკონომიურ კრიზისებს.

სოციალიზმია მოსპო ეკონომიური საფუძველი იმისა, რომ ერთმა კლასში
ექსპლოტატორულ მდგომარეობაში იყოლიოს მეორე კლასი, რაც დამახასიათე-
ბელი იყო ყველა წინა კლასობრივი საზოგადოებისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში ექსპლოტატაციისაგან თვისუფალშია შრო-
მის შემოქმედებითმა ხასიათმა არსებითად შეცვალა ადამიანთა შეხედულება
შრომაზე. მაშინ, როცა კაპიტალიზმის ღროს შრომა მძიმე, იძულებითი და სა-
მარცხვინო ტვირთად იყო აღიარებული, სოციალიზმის ღროს შრომა აღამიანის-
ლირების, დიდების, მამაკანობისა და გმირობის საქმედ იქცა.

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა სოციალისტურ საზოგადოებაში აღამიანის-
მდგომარეობას განსაზღვრავს მხოლოდამხოლოდ შრომა.

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის თვისუფალი და შემოქმედებითი-
ხასიათის გამო თავს იჩენს შრომისადმი ადამიანთა მაღალი შეგნებული დამო-
კიდებულება, თვითანთი შრომითი შედეგებით დაინტერესება, არახული შრო-
მითი ენთუზიაზმი, შეგნებული შრომითი ღისცილინა და, რაც მთავარია, მთე-
ლი საზოგადოებისათვის შრომის სასარგებლო ხასიათი.

2. სამუშაო დღე სოციალისტურ საზოგადოებაში

სამუშაო დღე ღროის ის ნაწილია, რომლის განმავლობაში მუშა წარმოე-
ბაში მუშაობს. სოციალიზმის ღროს სამუშაო ღლის ხანგრძლივობას საფუძ-
ლად უდევს საწარმოო ძალთა განვითარების ღონე და შრომის პირობები და-
თვისებურებანი. საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად მნიშვნელო-
ვნად მსუბუქდება ადამიანის შრომა, მოკლდება სამუშაო დღე. ამასთან ერთად
სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, რომლებიც მძიმე შრომასთან და არახელ-
საყრელ კლიმატურ პირობებთანა დაკავშირებული; სამუშაო დღე შედარებით
მოკლეა. სამუშაო ღლის ხანგრძლივობის დადგენის საკითხში სოციალიზმის
ღროს მოსპობილია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი.
კაპიტალიზმის განვითარების აღრინდელ საფეხურზე სამუშაო ღლის გახანგრძ-
ლივება ზედმეტი ღირებულების წარმოების გაღიდების ერთ-ერთი ძირითადი პი-
რობა იყო.

სამუშაო დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით მათ კოლონი-
ებში, 12, 14, 16 და მეტი სათი გრძელდებოდა. ჩვენში საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დამყარებისთანავე საკანონმდებლო წესით დადგენილ იქნა 7—8 საათიანი
სამუშაო დღე.

სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სამუშაო ღლის
სისტემატურად შემცირების ტენდენცია. ამჟამად საბჭოთა კავშირში ძირითად-
ად დამთავრებულია მუშა-მოსამსახურეთა 6—7 საათიან სამუშაო დღეზე გადა-
ყვანა (ზოგიერთ დარგებში 5 საათიან სამუშაო დღე), ხოლო მომავალი ათი
წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 6 საათიან სამუშაო დღეზე გადასვ-
ლა, კვირაში ერთი გამოსასვლელი ღლით.

ცნობილია, რომ კაპიტალიზმის ღროს სამუშაო დღე იყოფა ორ ნაწილად.
აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო ღროდ. აუცილებელ ღროში შექმნილი პრო-

დუქტი ხმარდება სამუშაო ძალის ანაზღაურებას, ხოლო ზედმეტ სამუშაო დროში წარმოებულ ზედმეტი პროდუქტი (ზედმეტი ლირებულება) კაპიტალისტი ითვისებს. სოციალიზმის დროსაც სამუშაო დღე იყოფა აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ. მაგრამ მისი მიზანი და მოვანა სრულიად განსხვავებულია კაპიტალიზმისაგან.

სოციალიზმის დროს ადამიანის სამუშაო ძალა არ წარმოადგენს საქონელს. არავის არ აქვთ უფლება დაიქირავოს სამუშაო ძალა ზედმეტი ლირებულების წარმოების მიზნით. მთელი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მშრომელ მასებს ეკუთვნის და გამოიყენება მათი მატერიალური და კულტურული პირობების სისტემატური გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს სრულებით არ ნაშნავს იმას, რომ სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მთლიანად უნდა მოიხმარებოდეს ინდივიდუალური მწარმოებლების მიერ.

სოციალისტურ საზოგადოებაში, ისე როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივ ფინანსურიში ძალას ინარჩუნებს საზოგადოებრივი პროდუქტის აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტად დაყოფა.

„შრომის პროდუქტების გარდამეტი შრომის შენახვის ხარჯებთან შედარებით და საზოგადოებრივი საწარმოა და სარეზერვო ფონდის შექმნა და დაგროვება ამ გარდამეტიდან ყოველი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ინტელექტუალური პროგრესის საძირკველი იყო და არის“ [3].

სოციალიზმის დროს ზედმეტი პროდუქტისაგან იქმნება საზოგადოებრივი მოხმარების ფონდი, რომელიც ხმარდება წარმოების შემდგომ განვითარებას, განათლებისა და კანმრთელობის დაცვის საქმეს, სახელმწიფო დაცვას, არაშრომისუნარიანი წევრების შენახვას და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას. სოციალისტური საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობა ცხადყოფს, რომ სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდება მშრომელთა მთელი რიგი მოთხოვნილებების საზოგადოებრივი ფონდებით დავმაყოფილება. სკპ ხალ პროგრამაში ხაზებასმით არის ოღნიშნული, რომ ოწლეულის შედეგად მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების თანხა მოსახლეობის რეალური შემოსავლის მთელი თანხის ნახევარი იქნება.

შრომის მატერიალური სტიმულირება

სოციალიზმისათვის დამახასიათებელია შრომის მატერიალური სტიმულირების ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები, რაც ისესნება მშრომელთა ფართო მასების დაინტერესებით თავიანთი შრომითი შედეგებით და სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარებით.

მშრომელთა მიერ იმის შეგნება, რომ ისინი შრომობენ არა ექსპლოატატურებისათვის, არამედ თავიანთთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის, წარმოშობის შრომით ენთუზიაზმს, ნოვატორობასა და მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრს.

კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი მატერიალური სტიმულირების ძირითადი მიზანია მაღალი მოვალეობის მიღება და საკონკურენციო ბრძოლაში გამარჯვება. ამ მიზანს ემსახურება შრომის ანაზღაურების ისეთი ფორმები, როგორიცაა ფორდის, ტეილორის და სხვათა სისტემები.

ვ.ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შუშაკთა მატერიალური დანანტერესების პრინციპის გამოყენებას. ის მას განვითარების დიდ მაორგანიზებელ ძალას, რომლის თანმიმდევრულად გატარების გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა სრული კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

სოციალიზმის აშენება და კომუნიზმთან ათეული მილიონი დამზადის მოყვანა,— გვასწავლის ვ. ი. ლენინი,— შეიძლება არა უშუალო ენთუზიაზმზე დაუღდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესებზე, პირად დანანტერესებაზე დაყრდნობით.

შრომის მატერიალური სტიმულირება ნიშნავს შუშაკთა მიერ გამომუშვების ნორმების, სამუშაო დავალებათა გადაჭარბებით, დროულად და მაღალ-ხერისხოვნად შესრულებისათვის წახალისების სხვადასხვა წესის გამოყენებას. თავისთავად მატერიალური წახალისების ამა თუ იმ წესის გამოყენება წარმოების ხასიათით და შრომის ორგანიზაციის ფორმებით განისაზღვრება. სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის მატერიალური წახალისება, ასე, მაგალითად, კარგი მუშაობისათვის პრემიებს, ჯილდოებს და სხვა სახის დახმარებას ღებულობენ არა მარტო ცალკეული მუშები და კოლმეულნე წევრები, არამედ სოციალისტური საწარმონი, მათი ცალკეული რგოლები (ქარხნები, ფაბრიკები, საბჭოთა მეურნეობები, უბნები, ბრიგადები და ა. შ.).

მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის განუხელად გატარება მშრომელთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამების ყველაზე უფრო მისალებ ფორმას წარმოადგენს.

სოციალიზმის დროს მშრომელთა მატერიალური წახალისების დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე საფეხურზე შრომა არ გამხდარა საზოგადოების ყველა წევრის სასიცოცხლო მოთხოვნილება. სკვპ ახალ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშვნული, რომ კომუნიზმის მშენებლობას საფუძვლად უნდა ედოს მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

ამასთან ერთად სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ რჩება შრომის ძეველი დანაწილების ნაშთები, ასევე განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, კვალიფიციურ და მარტივ, მძიმე და მსუბუქ შრომას შორის, რის გამოც თავიანთი შრომითი შედეგების მიხედვით მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას და სათანადო სტიმულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მატერიალური დაინტერესების პრინციპი ფართო გამოყენებას პოულობს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეულნეთა შრომის ანაზღაურების დროს, სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და პროდუქტებზე ფასების დაწესების დროს.

ამრიგად, შრომის შედეგებით თითოეული მუშაკის მატერიალური დაინტერესება სოციალისტური მეურნეობის გაძლოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

ვ. შრომის სოციალისტური კოოპერაცია და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება

საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობა გვიჩვენებს. რომ ყველა უონომიურ ფორმაციაში მატერიალური დოკუმენტი იწარმოებოდა ადამიანთა მიერ ერთად (ჯგუფურად) შრომის ამა თუ იმ ფორმის მიხედვით – კოოპერაციის გზით.

შრომის სოციალისტური კოოპერაცია არის კოოპერაცია ექსპლოატაციისა-გან თავისუფალი მუშავებისა, რომელშიც პარმონიულადაა შეერთებული მშრომელთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

საერთოდ კოოპერაციის მასშტაბს საზოგადოების საწარმოო ძალთა განუვითარების დონე და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი განსაზღვრავს.

შრომის კოოპერაცია წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის გარკვეული წესით შეერთებასაც ხიშნავს. იგი გეგმაზომიერად ორგანიზებული შრომის მაღალი ფორმაა, რომელიც მთლიანობ მოიცავს სოციალისტურ სახალხო მეურნეობას და უზრუნველყოფს წარმოების საშუალებების და სამუშაო ძალას რაციონალურ გამოყენებას.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის კოოპერაციის ყველა ფორმის მიზნით ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდება. მაღალი მოგების უზრუნველყოფა. იგი მშრომელთა ექსპლოატაციის გაზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, მაშინ როცა შრომის სოციალისტური კოოპერაციის შეზნია როგორც ადამიანთა შრომის უკეთ მოწყობა. ისე ცალკეული აწარმოს რიტმული მუშაობა, სამუშაო ოპერაციების ურთიერთ სწორი დაკავშირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების საპირისპიროდ, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს შრომის კოოპერაციის მასშტაბს, სოციალიზმის ფრთხ დიდ შესაძლებლობას იძლევა ადამიანთა შრომის მოელი საზოგადოების მიხედვით ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის. ეს ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მაღალი კონცენტრაციით, წარმოების კოოპერირებისა და კომბინირების ფართო გამოყენებით.

შრომის სოციალისტური დანაწილება

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის ხასიათსა და თავისებურებებში ძირიეულ ცვლილებებთან ერთად მნიშვნელოვნად შეიცვალა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი გითარდებოდა და იცვლებოდა სოციალ-ეკონომიური ფორმაციების განვითარებასთან ერთად. შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გალრმავების შედეგად წარმოიშობა სახალხო მეურნეობის ახალ-ახალი დარგები.

სეროოდ შრომის დანაწილებასთან დაკავშირებულია ადამიანთა დასპეციალური გარკვეული სახის პროდუქტის წარმოებაზე. იგი იმას გვიჩვენებს თუ ადამიანს რა სახის კონკრეტული შრომის შესრულება შეუძლია. როგორც წარ-

მოებითი, ისე პირადი მოხმარების პროდუქტების მრავალფეროვნება უშეაღლოდ შრომის დანაწილება—სპეციალიზაციასთანაა დაკავშირებული. მთავარი ფიქტორი, რომელიც განსაზღვრავს შრომის დანაწილებას არის საწარმოო ძალა განვითარების დონე, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოების საწარმოო ძალები. მით უფრო კონკრეტული შრომის მრავალ სახეობან გვაქვს საქმე.

შრომის დანაწილების მრავალფეროვნების შიუხედავად შეიძლება გამოვით შემდეგი ძირითადი ფორმები:

შრომის საერთო დანაწილება. რაც ნიშნავს შრომის დაყოფას სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით (მეწარმელობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა). შრომის შიდადარგობრივი დანაწილება გულისხმობს სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების შემადგენლო დარგებად დაყოფას. მაგალითად, მანქანათმშენებლობა, მეტალურგიული წარმოება, ქიმიური მრეწველობა, მექანიკური მეცნიერებლობა, მეცნიერებლობა და სხვ.

შრომის ინდივიდუალური დანაწილების შემთხვევაში საქმე გვაქვს შრომის დანაწილებასთან საწარმოს შეგნით, როდესაც პროდუქტების წარმოების პროცესში სრულდება ცალკეული ოპერაცია ანდა მზადდება მისი ცალკეული ნაწილი. და, ბოლოს შრომის პროფესიონალური დანაწილება, ე. ი. მეზაյთ მიერ ამა თუ იმ პროფესიის დაუფლება (ინჟინერი, ეკიმი, კონსალტი, მდგნობელი, ეკონომისტი, ისტორიკოსი და სხვ.).

სოციალიზმის დროს შრომის დანაწილებას, ისე როგორც შრომის ხასიათი და თავისებურებებს განსაზღვრავს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა. გამომდინარე აქტან, შრომის სოციალისტური დანაწილება ძირებულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის დანაწილება დაქვემდებრებულია მოების ინტერესებისადმი და სტრუქტურულ ხორციელდება. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის დანაწილება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება. რის გამოც მოსპობილი ქალაქება და სოფელს შორის, ფიზიკური და გონიერი შრომას შორის დაპირისპირებულობის სოციალ-ეკონომიკური საფუძვლები.

სოციალიზმის დროს შრომის გეგმაზომიერი ტერიტორიული დანაწილება და სპეციალიზაცია ბუნებრივი პირობებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

შრომის სოციალისტური დისციპლინა

ადამიანთა ერთად შრომა მოითხოვს გარკვეული წესებისა და ნიღბების დაცვას, ანუ შრომის დისციპლინას. დისციპლინა შრომის სწორი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია; იგი ხელს უწყობს შრომის ხაყოფიერების ზრდას. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია შრომის იძულებითი დისციპლინა, რომლის ეკონომიკური საფუძველი წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრებაა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში უშუალო მწარმოებლებსა და წარმოების საშუალებებს შორის დგას ამ უკანასწერლის მესაკუთრე—კაპიტალისტი და მათი შეერთების ხებართვისათვის თავის წინაპირობებს კარ-

ნახობს. მუშა უმუშევრობის შედეგად შიმშილის მსხვერპლი რომ არ განდეს იძულებულია უსიტყვოდ დაემორჩილოს და დაიცვას კაპიტალისტურ საწარმოებში შემოღებული წესები.

შრომის სოციალისტური დისკაპლინა პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. ჩვენში იგი არის შეგნებული, ამხანაგური დისკაპლინა მშრომელებისა, რომლებიც არ განიცდიან არავითარ ჩავრას, არავითარ ძალატანებას, ამიტომ თითოეული მშრომელის საპატიო მოვალეობაა სოციალისტური წარმოების წესების დაცვა.

„საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომლის პირველ ნაბიჯს სოციალიზმი წარმოადგენს. ემყარება და რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო დაემყარება როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა უღლის დამამხობელ მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისკაპლინას“ [6].

ამასთან ერთად, სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ ადგილი აქვს შრომისადმი არაშეგნებულ დამოკიდებულებას, ზოგიერთი მუშავი ცდილობს იმუშაოს ნაკლები და სახელმწიფოს წარმომადგენერაციას მეტი, არღვევს შრომის დისკაპლინას. ამიტომ მშრომელთა აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, შეურიგებელი ბრძოლა შრომის დისკაპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ სოციალისტური სახელმწიფოს ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

სოციალისტური შეჯიბრება და მისი მნიშვნელობა

იმ ძირეული ცვლილებების შედეგად, რაც შრომის ხასიათში მოხდა, სოციალიზმის დროს წარმოიშვა შრომისაღმი ახლებურად დამოკიდებულების მრავალი ფორმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი სოციალისტურ შეჯიბრებას უკირავს.

სოციალისტური შეჯიბრება არის სოციალისტური საზოგადოების მუშავთა სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭერებებით შესრულებისათვის მრავლის კონკრეტული გამოსახულება. იგი ემყარება სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს, ავითარებს მუშავთა შემოქმედებით უნარს შრომის ყოველივე ძეველი, ღრმომჟმული ნორმებისა და მეთოდების უარყოფის და ახალი, პროცესული ნორმებისა და მეთოდების დაუფლებისათვის. სოციალისტური შეჯიბრი კულისხმობს მოწინავთა გამოცდილების, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ გავრცელებას და წარმოებაში სწრაფ დანერგვას. ეს მიიღწევა, ჯერ ერთი, იმით, რომ სისტემატურად მაღლდება მუშავთა საწარმოო კვალიფიკაცია, მეორე, წარმოების ნოვატორები აქტიურ დამარცხას უწევენ წარმოების ყველა მუშავს შრომის მოწინავე მეთოდების ათვისებაში. მესამე, მშრომელთა ფართო მასები დაინტერესებულნი არიან დაეწიონ მოწინავე ადამიანებს, დაეუფლონ მათ გამოცდილებას. რათა მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ შეჯიბრების სახელმოვანი ისტორია აქვს. ან განვლო განვითარების ეტაპები: კომუნისტური შაბათობა, დამკვრელობა და სტანციონური მოძრაობა.

საბჭოთა კავშირის შესვლამ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა გამოიწვია. წარმოიშვა შეჯიბრების ახალი, უმაღლესი ფორმა—კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომლის საპატიო-სახელის მოპოვებისათვის გაშლილია საყოველთაო სახალხო მოძრაობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველი ღონისძიებით უჭერენ მხარს მასების ამ პროგრესულ მოძრაობას.

4. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფისარაობის განვითარების ზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში

შრომის ნაყოფიერება ადამიანთა შრომითი საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებელია. საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის სიუხვე, უწინარეს ყოვლისა. შრომის ნაყოფიერებაზეა ღამოკიდებული.

მარქსიზმ-ლენინიზმი შრომის ნაყოფიერებას განიხილავს, როგორც ერთი საზოგადოების მიერ მეორე საზოგადოებაზე გამარჯვების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს პირობას. „შრომის ნაყოფიერება,—წერს ვ. ი. ლენინი,—ეს საბოლოო ანგარიშში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“ [6].

შრომის ნაყოფიერება წარმოადგენს კონკრეტული შრომის უნარს სამუშაო დროის ერთეულში აწარმოოს განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია. იგი იზომება პროდუქციის იმ რაოდენობით, რომელსაც მუშა ამზადებს დროის უადასიზღვრულ ერთეულში, ანდა იზომება სამუშაო დროის იმ რაოდენობით, რომელიც იხარჯება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

„შრომის ნაყოფიერების გადიდებად,—წერდა მარქსი,—ჩვენ ვგულისხმობთ საერთოდ შრომის პროცესის ცვლილებას, როდესაც ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად საჭირო სამუშაო დრო მცირდება, და, ამდენად, შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ძალის იქნება სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად“ [1].

შრომის ნაყოფიერების ზრდა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს როგორც ცოცხალი, ისე წარსული შრომის ეკონომიის იმ ვარაუდით, რომ საქონლის წარმოებაზე ცოცხალი შრომის წილი მცირდება, ხოლო წარსული შრომის წილი დიდდება. მაგრამ წარსული შრომა დიდდება იმ ოდენობით, რომ საქონლის წარმოებაზე გაწეული საერთო ხარჯები წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია. საქონლის წარმოებაზე ახლად გაწეული ხარჯების შემცირება ხდება იმის გამო, რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა იზრდება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი პროდუქტების გარდამეტის წარმოება უშუალოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ შრომის ნაყო-

ეკორების კანონის მოქმედების სოციალური ბუნება ყველა საზოგადოებრივ ერთნაირი არ არის.

შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონის მოქმედების ხასიათს განსაზღვრავს საწარმოო ძალთა განვითარების დონე და წარმოებით ურთიერთობათა ხსიათი.

კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი წინააღმდეგობის გამო, რაც მდგომარეობს წინააღმდეგობაში წარმოების საზოგადოებრივ ხასიათისა და მიოგისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის და რომლის შედეგი წარმოების ანარქია და ეკონომიკური კრიზისები. შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონს არა აქვს უცილობელი მნიშვნელობა.

პროცესუალის ერთეულის წარმოებაშე დახარჯული ღროის შემცირებას კაპიტალისტისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ამცირებს გადასახდელი აუცილებელი სამუშაო ღროის ხარჯებს. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა კაპიტალისტის შეუძლია შრომის ნაყოფიერების გაღიდების გარეშეც. მავალიად, ხელფასის შემცირებით, რაც დაკავშირებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასობრივ უმუშევრობასთან, ქალებისა და მოზარდთა შრომის გამოყენებასთან, რომელთაც ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისათვის უფრო ნაკლები ანაზღაურება ეძლევათ ვიდრე მოზრდილებს, ანდა შრომის ინტენსიფიკაციასთან. კაპიტალისტური ინტენსიფიკაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუშა გადაქცეულია მანქანის დანამატად. იგი მუშაობს ძალზე დაძაბულად და არანირმალურ პირობებში. მიღებული ხელფასი არ შეესბამება გაწეული შრომის რაოდენობას და ვერ უზრუნველყოფს მუშის მიერ დახარჯული ენერგიის აღდგენას.

სოციალიზმის ღროს როცა წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალებათან სრულ შესაბამისობაში იმყოფება. შრომის ნაყოფიერების ზრდის ფართო შესაძლებლობანი არსებობს. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესებისა და სოციალისტური დაგროვების აუცილებელი პირობაა.

В обеих группах почв выделены семь разновидностей (общая мощность, карбонатность, слитность, скелетность) которые охарактеризованы метеорологическими признаками, механическим и химическим анализами.

დამოუმჯობელი ლიტერატურა

1. ფ. თორთლაძე—მუხრანის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგები. (დისერტაცია), 1939.
2. С. А. Захаров — Борьба леса и степи на Кавказе. Журн. «Почвоведение», 1935.
3. Л. И. Просолов и Н. Н. Соколов — Почвенно-географический очерк Юго-Осетии.
4. გ. ტარასა შვილი—თბილისის რაიონის ზამპანური ჯიშისათვის გამოყოფილი ნაკვეთების ნიადაგების დახსიათება. თბ., 1937.
5. Д. П. Гедеванишвили — Агропочвенный очерк Мухранского совхоза шампаниского комбината. Тб., 1940.
6. Д. П. Гедеванишвили — Почвы долин Карталинин, 1930.
7. ი. ჯავახიშვილი—საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია. თბ., 1926.
8. С. Симонович — Геологические наблюдения в местн. между реками Ксаном и Мтиулет. Арагвой. М. Г. К. сер. III, 4, 1902.
9. Л. Джанелидзе — Гидро-геологическая проблема натахтарских вод (рук.). 1927.
10. И. В. Фигуровский — Климаты Кавказа. Тиф., 1919.
11. И. Э. Гачечиладзе — Климатический очерк. Тиф., 1934.
12. ბ. კავთვალი—საქართველოს მცენარეულობის მიზანთადი ტიპები. თბ., 1935.
13. გ. ბატონიშვილი—საქართველოს გეოგრაფია, II ნაწ. 1895.
14. გ. ქ. შვილი—მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში გაერთიერებული სარეველა მცენარეები და ღონისძიებები მათ მოსახლეობა. 1937.
15. А. А. Гроссгейм — Анализ флоры Кавказа, т. I, 1934.
16. გ. ტარასა შვილი და ფ. თორთლაძე—მუხრანის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგები.
17. Антипов-Каратайев И. Н.—Журн. «Почвоведение», № 12, 1947.
18. И. П. Герасимов — Журн. «Почвоведение», № 11, 1948, Там же № 3—4, 1945.
19. М. Н. Сабашвили — К вопросу о зональности и классификации горно-лесных почв Закавказья. Вопросы генезиса и географии почв. 1948.
20. М. Н. Сабашвили — Почвы Грузии. Тб., 1948.
21. А. С. Вознесенский—О горно-лесных почвах Закатальского района Аз. ССР. Тр. Почв. сек. Груз. фил. АН СССР, 1935.
22. Г. М. Тарасашвили — Горно-лесные бороземы Грузии и их производственные особенности. Тр. Груз. СХИ, т. XXXVIII, 1953.
23. А. Н. Розанов — О зональных типах почв равнин и предгорий Кура-Арзской низменности. Тр. совещания по вопросам генезиса, классификации, географии и мелиорации почв Закавказья. Баку, 1955.
24. გ. ტარასა შვილი, ვ. ლატარია—მორჩყვის გავლენა მუხრანის სასწ. საცდელი მეურნეობის ყველაფერი ნიადაგების ფიზ.-ქიმ. თვისებებზე. საქ. სას.-სამ. ინსტ. შრ. ტ. VII, 1958.
25. Г. М. Тарасашвили и В. Н. Латария — Влияние полевых культур и травосмесей на изменение структуры орошаемых коричневых слитых почв. Журн. «Почвоведение», № 7, 1957.

დოც. პ. პორელიშვილი

სსრ კავშირის ნიადაგების ზოგადი საჯარო-გენერაციის კლასიფიკაცია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში გათვალისწინებულია „მიწის, როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების მთავარი საშუალების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესება“. ამ ამოცანის გადაწყვეტა ნიადაგმიცოდნებს ავალებს ნიადაგის, როგორც ისტორიული სხეულისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალების, ბუნების ყოველმხრივ და ღრმა შეცნობას, მის ასახვას ნიადაგთა საწარმოო კლასიფიკაციაში.

ნიადაგთა ბუნების შეცნობული შეცნობა, განზოგადება და მათი ასახვა ნიადაგთა საწარმოო კლასიფიკაციაში ხელს შეუწყობს მეურნეობის ტერიტორიის რაციონალურ ორგანიზაციას, აგროტექნიკური და სხვა ღონისძიებების გატარების სწორ დაგეგმვას. საწარმოო კლასიფიკაცია უნდა შესაბამებოდეს ნიადაგთა საწარმოო თვესებებს. ამისათვის ის უნდა ასახავდეს ნიადაგთა ძირითად შაჩვენებლებს (ქიმიური და ფიზიკური), ხოლო მათ შესაბამისად ნაყოფიერების გადიდებისა და შენარჩუნების ღონისძიებებს, ნიადაგის საწარმოო გენეზისურმა კლასიფიკაციამ უნდა ასახოს ნიადაგთა საწარმოო თვისებები და წარმოების ადგილობრივ კონკრეტულ პირობათ გათვალისწინებით დამყაროს კავშირი ნიადაგის საწარმოო თვისებებსა და მისი ნაყოფიერების ამაღლება-შენარჩუნებას შორის.

ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური კლასიფიკაცია დიფერენცირებული აგროტექნიკის სწორი გამოყენებისა და მაშასადამე, ნიადაგთა თვისებებზე გეგმიანი ზემოქმედების ბაზა.

საწარმოო კლასიფიკაციაში ჯგუფდება გამოკვლეული მეურნეობის ტერიტორიის სხვადასხვა ნიადაგები მათთვის საჭირო დიფერენცირებული აგროტექნიკის მიხედვით.

ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური კლასიფიკაციის საკითხის შესახებ კ. გორგენინი [2] აღნიშნავს „სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას. რომ თანამედროვე ღროვასთვის საბჭოთა კავშირში ნიადაგთა კლასიფიკაციის შესახებ გამოშევნებული განზოგადობული წინადადებანი პასუხობს ასეთს მოთხოვნებს. მათში ჯერ კიდევ ჭარბობს ისეთი მაჩვენებლები, რომელთაგან ზოგჯერ ძნელია გადასცლა საწარმოო საკითხების გადაწყვეტაზე“.

ნიადაგთა კლასიფიკაციის მუდმივი კომისია მიუთითებს, რომ ნიადაგის ტიპი განიჩეოდეს: „ნიადაგთა ნაყოფიერების გადიდებისა და შენარჩუნების ლონისძიებათა ერთ-ტიპიური მიმართულებით“ [5]. მამასადამე, მთავარია ნიადაგის საწარმოო მაჩვენებლის ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ლონისძიები. საჭიროა ამ მაჩვენებლებზე ყურადღების გამახვილება და ნიადაგის კლასიფიკაციაში მათი ასახვა.

ნიადაგთა კლასიფიკაციის საბოლოო მიზანია ნიადაგთა ისტორიულად შექმნილი ბუნების დადგენა და შეკნობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ნიადაგის უკეთ გამოყენებისათვის, მაგრამ ნიადაგების კლასიფიკაცია — „ნიადაგთმცოდნების ცენტრალური პროცესი“ დღემდე ორა გადაწყვეტილი, რის გამოც იგი სრულყოფილად ვერ უწევს სამსახურს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

თუ ნიადაგთა გენეზისური კლასიფიკაციის შემუშავებაზე მრავალი საბჭოთა ნიადაგთმცოდნე მუშაობდა, სამაგივროდ ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური კლასიფიკაციის საკითხი დაუმუშავებელი დარჩა. სრულიად მართალია აკად. მ. საბაზეილი [6], როცა აღნიშნავს. რომ „...განსაკუთრებით რთულია ნიადაგის ისეთი კლასიფიკაციის შედგენა, რომელიც ასახვდეს ნიადაგთა ისტორიულ-გენეზისური ბუნების ყველა მომენტს მათს საწარმოო თვისებებთან დაკავშირებით, მთავარი რაიონების, კერძოდ, ამიერკავკასიაში. მის ბუნებრივ პირობათა, მათ რიცხვში ნიადაგის მეტად დიდი სხვადასხვაობით. მთავარ რაიონებში ნიადაგთა გენეზისისა და გაკულტურების საკითხები ერთმანეთს შორის დაკავშირებულნი არიან უფრო მეტად მშედროდ და ფორმით უფრო მეტად რთულნი არიან, ვიდრე ვაკე ადგილთა პირობებში“. ყოველივე ამის გამო ამიერკავკასიის ნიადაგთა კლასიფიკაციის შემუშავების სირთულე ნიადაგთმცოდნებს, აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას.

კ. გორგენინი [3] აღნიშნავს, რომ „წარმოების მუშაკთაგან არა იშვიათად გვიხდება მოსმენა მოთხოვნისა და შევადგინოთ წმინდა საწარმოო ხასიათის კლასიფიკაციები. „საწარმოო კლასიფიკაციის საკითხის შესახებ ჩვენ გვაქვს ნიადაგთმცოდნება კონფერენციის საცსებით მყაფიო გადაწყვეტილება, რომელიც ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად შემუშავებულ „წმინდა მეცნიერულ და „საწარმოო“ კლასიფიკაციათა მეტაფიზიკური დაპირისპირების ცდას გმობს, რადგან ის ეყრდნობა ნიადაგის როგორც ბუნებრივ-ისტორიული სხეულისა და შრომის საგნის ერთიანობის გაუგებლობაზე.“

ნიადაგის გენეზისური კლასიფიკაცია უნდა ასახვდეს ნიადაგთა საწარმოო დახასიათებას იმ ამოცანებისაგან დამოკიდებულად, რომელიც დგანან ამა თუ იმ საწარმოო რაიონის წინაშე“.

კ. გორგენინის მოსაზრებანი საცსებოთ სწორია. გენეზისურ კლასიფიკაციის, ცხადისა, უნდა აყლდეს ნიადაგთა საწარმოო დახასიათება, რომელიც, ვფიქრობთ, აუცილებელია საწარმოო-გენეზისური კლასიფიკაციის შესამუშავებლად.

ნიადაგთა კლასიფიკაცია ხელს უნდა უწყობდეს ნიადაგთა ბუნების შეცნობას, კერძოდ კი ნიადაგთა თვისებებისა და ნიშნების წარმოქმნის თანმიმდევრულობას.

სსრ კავშირის მიერგადის სანაროო-გეოგრაფიული კლასიფიკაციის სერა (ზოგადი)

2014-15 ა. ათავისუფლება

藏文大藏经

დევრობას. ასეთი როლის შესრულება კი შეუძლია მხოლოდ ევოლუციურ-გენეზისურ კლასიფიკაციას.

ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური კლასიფიკაცია უნდა აიგოს ნიადაგთა კოლუციურ-გენეზისური კლასიფიკაციის პრინციპზე. მხოლოდ აქ წინა პლანზეა წამოჭეული ნიადაგთა საწარმოო თვისებები.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნიადაგთა საწარმოო გენეზისური კლასიფიკაცია დიფერენცირებული აგრძოტექნიკის სწორი გამოყენებისა და ნიადაგთა თვისებებზე გეგმიანი ზემოქმედების ერთადერთი საშუალებაა, მაშინ რომ ავსახოთ საბჭოთა კავშირის ნიადაგები და მათი ბუნებრივ-ისტორიული ოვი-სებები, მაშინ კლასიფიკაცია მიიღებს ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემის სახეს.

სქემა „შედგება შემდეგი გენეზისური და საწარმოო-ტაქსონომიური ერთეულებისაგან: ნიადაგთა წარმოქმნის სტადია, ნიადაგთა ევოლუციურ-გენეზისური ტიპი, ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური ტიპი, ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური სახეობა, სპეციფიკური ლონისძიებები და ნიადაგთა ნაყოფიერების ამაღლებისა და შენარჩუნების ლონისძიებები. აღსანიშნავია, რომ თუ ევოლუციურ-გენეზისურ კლასიფიკაციაში გვაქვს შვიდი ევოლუციურ-გენეზისური ტიპი, სამაგიეროდ, საწარმოო-გენეზისურში 16 ტიპია და 78 საწარმოო-გენეზისური სახეობა. ნიადაგთა საწარმოო-გენეზისური ტიპები გამოყოფილია. ერთი მხრივ, გენეზისურ ფიზიკურ-ქიმიურ, ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოო თვისებებზე ზემოქმედების ლონისძიებათა ხასიათის საფუძველზე.“

„სპეციფიკურ აუცილებელ ლონისძიებათა“ გრაფაში გაითვალისწინება ლონისძიებანი კულტურულ მცნარეთა მოყვანისათვის ნიადაგთა მავნე ოვი-სებების სალიკვიდაციოდ, მისი ჩატარების გარეშე ძირითად ლონისძიებათა სისტემა არ მოგვცემს საკმაო წარმატებებს, სპეციფიკური ლონისძიებანი ძირითადად ტარდება პირველ რიგში და დამოუკიდებლად, მაგრამ ისინი შეიძლება აგრეთვე გატარებულ იქნეს ნიადაგთა ნაყოფიერების ამაღლებისა და მისი შენარჩუნების ლონისძიებათა კომპლექსთან ერთად.“

სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ორგების განსხვავებული ნიადაგებისათვის ამ ლონისძიებათა რიცხვში შედის: მოკირანება, დაშრობა, მოთაბაშირება, მორწყვა, ჩარეცხვა წყლით და სხვ., ხოლო ნაყოფიერების ამაღლების ლონისძიებები კი, შესაბამისად სხვადასხვა ხასიათისაა.

ქვემოთ სქემატურად ვიძლევთ თუ როგორი სპეციფიკური და ძირითადი ლონისძიებებია აუცილებელი ამა თუ იმ საწარმოო ტიპის ნიადაგში გასტარებელი. კერძოდ სუსტად გაეწერებული საწარმოო ტიპის ნიადაგში, რომელთაც არ ახასიათებთ მავნე თვისებები, სპეციფიკური ლონისძიებები გამორიცხულია, მაგრამ ისახება ისეთები, რომელნიც ქმნან საკვებ ნივთიერებათა მარაგს და აუმჯობესებენ კვების რეჟიმს, რაც მიიღწევა ორგანულ და მინერალურ ნივთიერებათა სათანადო დოზების შეტანით.

საშუალო და ძლიერგაეწერებული საწარმოო ტიპის ნიადაგები, რომელთაც აქვთ ძლიერ მჟავე რეაქცია, ღარიბია ორგანული და მინერალური ნივთიერებებით, ამიტომ მათში პირველ რიგში უნდა გატარდეს სპეციფიკური

ლონისძიებანი— მოკირიანება, ხოლო შემდეგ, მაღალი ნაყოფიერების მიღწების მიზნით, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა.

ლებანი (ზედაპირიდანვე) საშუალოდ და ძლიერ გაეწერებული ნიადაგების ნაყოფიერების ასამალებლად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დაშრობა ანუ გრუნტის წლის დონის დადაბლება, მოკირიანება, ხოლო შემდეგ ორგანულ და მინერალურ სასუქთა შეტანა. ამ საწარმოო ტიპის ნიადაგებში გარემოპირობები იწვევენ უარყოფით მოვლენებს—ჩამორეცხვა-დასხრამვას, რომელთა თავიდან ასაცილებლად ადგილის შესაბამისად ჩატარდეს ისეთი საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორიცაა: წყალშემკრებ ფართობსა და ხრამების თავზე პორიზონტულად თხრილების განლაგება, ხრამ-ხევებში წყალსაშეების მოწყობა, ღარების გაკეთება, გამოყენებელი ადგილების, ხევ-ლელების გამწვანება მცირე მოედნებით, სავარგულებზე: ხვნა გარდიგარდმო, დაჯგარედინებით, ხვნა ღრმა, პორიზონტული ბეჭებების მოწყობით, ბალახის ბუფერული ზოლების მოწყობა, ორგანული სასუქების შეტანა, დატერასება.

კორდიანი ტყის ზანგარა, კორდიანი-ტყის ყავისფერი, კორდიან-კარბონატული ტიპის ნიადაგები არ შეიცავენ უარყოფით საწარმოო მაჩვენებლებს, ამიტომ მათზე ტარდება მხოლოდ ნაყოფიერების ამაღლებისა და მისი შენარჩუნების ღონისძიებები—ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, რომელთა ნორმები, ცხადია სხვადასხვა იქნება არა მარტო განვითარებული საწარმოო-გენეზისური ტიპების სახეობისათვის, არამედ ერთი საწარმოო ტიპის შიგნითაც კი. ამ საწარმოო ტიპის ნიადაგებისათვის, უნდა დაისახოს ჩამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებები (საჭიროების მიხედვით).

მთიანი რაიონების კორდიანი ყავისფერი, ყომრალი, ნეშობალა-კარბონატული, კორდიან-კარბონატული და სხვა ნიადაგები, როგორც საწარმოო-გენეზისური ტიპის ნიადაგები არ შეიცავენ რაიმე უარყოფით თვისებებს და არ საჭიროები წინასწარ შესწორებას. ამ ნიადაგებზე მაღალი მოსაყლის მისალებად საჭიროა ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება, გარკვეულ პირობებში მდებარეობის შესაბამისად და საჭიროების მიხედვით ამ ნიადაგებისათვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებები [1].

ტორთიან-ჭაობიანი ტიპის ნიადაგები მათი საწარმოო მაჩვენებელთა ხასიათის მიხედვით იყოფა სამ საწარმოო ტიპად: ლამიან-ჭაობიანი (ძირული-ჭაობები), სფაგნუმის ჭაობები და ტორთიარები. ლამიან-ლებიანი ნიადაგები შეიცავენ ორგანულ და მინერალურ ნივთიერებებს საკმაო რაოდენობით და ზედმეტ წყალს, რომლის მოცილება-დაშრობა აუცილებელია წყლის, ჰაერის და ბიოლოგიური რეაქციების მოსაწესრიგებლად, რამაც უნდა უზრუნველყოს მაღალი მოსაყლის მიღება.

ლაქაშიან-ბალახიანი და მწვანე ხავსიანი ჭაობები მეტავე რეაქციით ხასიათდებიან, შეიცავენ საკმაო რაოდენობით მინერალურ ნივთიერებებს და აზოტს. ამიტომ მათზე კულტურულ მცენარეთა მოსაყვანად საჭიროა დაშრობის ჩატარება, ხოლო შემდეგ ნაყოფიერების ამაღლებისა და მისი შენარჩუნებისათვის—სრული მინერალური სასუქის შეტანა.

გარდამავალ სფაგნუმის ჭაობთა და ტორთიართა ათვისების მიზნით

ఏదుగున మాత ఎజ్వత సాక్షాత సిస్కీసి, నుట్టిలంబరింగ్ డాశల్లిల్ అన లూష్టల్లేల్ ఉరుగా-
న్చుల్ నొవతియేర్పాతా శ్రే (త్రిప్రాయి) లారింది నొప్రాన్వాసి గ్లోబ్యుల్రెంట్రెబింత డా అం-
త్రింత, ద్లోయర్ భ్యాప్ప్ ర్యాఫ్ప్యాంట, అప్పొల్యేబ్స్ట్రేల్లిం గాత్రార్థిం రొగి స్పెషియిప్పుర్రి-
ల్ంబిసింధోబా—డాశ్రోబా, త్రాంక్రోబిస డామ్పుశ్శాప్పుబా (అమ్మోబా), మొయింరొంగోబా, నొప్పు-
ష్యియేర్పాబిస అసామాల్లేబ్లాడ—స్రుల్లిం మిన్యొరాల్చుర్రి సాస్కుసి, బొల్లి శ్చేమ్ద్యేగ్షి
ఉరుగాన్చుల్లి సాస్కుసి—నొక్కెలిసి శ్చేతానా.

గామ్రిట్చుట్టుల్లి డా గాప్పియేబి ఉరుగాన్చుల్లి డా మిన్యొరాల్చుర్రి
నొవతియేర్పాబ్బెబిస సాక్షాత రూండ్రెన్బిం శ్యోప్యాప్ప్, ర్యాఫ్ప్యాం స్షుస్త్రీ మ్యాప్ప్యో అన మి-
ంబ్లోప్పెబ్బుల్లి న్యొట్రాల్చుర్తాన్, అమిట్రంమ అన సాక్షింరొబ్బెబ్బు శ్యార్యుప్పొంత సాష్టారమిం
మాక్కెన్చెబ్బుల్లేబిస ల్యిక్పొండాప్రొం, మాగ్రామ మాల్హి మంసాప్పుల్లిస మింంల్చెబాడ అప్పొల్యే-
బ్స్ట్రేల్లిం ఉరుగాన్చుల్లి డా మిన్యొరాల్చుర్రి సాస్కుసిబిస శ్చేతానా [4].

శ్యాప్పియేబి కొబ్బిం డా శ్యోప్పుల్లేబ్బిం క్షుమ్ముసిం డా మిన్యొరాల్చుర్రి మారొల్యే-
బిం మిందిలార్సిం, అన శ్యోప్పుబ్బు శ్యార్యుప్పొం సాష్టారమిం మాక్కెన్చెబ్బుల్లేబిస, అమిట్రంమ
గాస్కాప్యుతర్చెబిం అమ్మింసాప్పుల్లేతిస గ్యాల్వొం రూంస్యొబ్బుశిం, స్పెపొంటిక్యుర్రి ల్ంబిసిం-
బ్బెబిస శ్చుండా ఉంబ్బు కొత్తార్యేబ్బుల్లి త్రేబిస డాసాగ్రాంప్పొబ్బుల్లాడ.

డ్యెగ్రాంలాప్పుల్లి నొండాగ్గెబి—శ్యాప్పియేబిస సామ్భర్యెతిసా డా చ్చినాక్యాప్పుసిం సి
శ్యో శ్యాప్పియేబిం శ్యోదార్యెబిం నొక్కుబిం రూండ్రెన్బిం శ్యోప్పుబ్బు ఉరుగాన్చుల్లి నొవ-
తియేర్పాబ్బెబిస డా స్షెగా మిన్యొరాల్చుర్రి మారొల్యేబిం య్యొతాడ క్యాల్పొప్పుమిసా డా నొత్తిరి-
శ్యుమిస గ్యంగింర్లమిశ్యుమా మారొల్యేబిం సాప్రొ. గ్యె నొండాగ్గెబిస మిండెబార్యెబిస గ్యాల్వొం రూంస్యొబ్బుశిం,
అమిట్రంమ మాతశి సాక్షింరొం స్పెపొంటిక్యుర్రి ల్ంబిసింధోబాతా గాత్తార్యేబా—త్రేబిస
డాగ్రాంప్పొబిం అన మించ్చుప్పొ, బొల్లి నొప్పొయేర్పాబిస అసామాల్లేబ్లాడ మింగ్రాంబింల్యు-
గింగ్రాం కొంప్రెస్యెబిస ఎఫ్ట్రింగొంథాప్రొం, రొసట్వొసాప్రొ అప్పొల్యేబ్స్ట్రేల్లిం డాజ్యెర్యొంప్పుల్లి డా
మిన్యొరాల్చుర్రి సాస్కుసిబిస శ్చేతానా.

శ్యుజి చ్చాబ్లు డా చ్చాబ్లు నొండాగ్గెబిం, రొమ్మెల్నిం ఉరుగాన్చుల్లి డా మిన్యొరాల్చుర్రి
నొవతియేర్పాబ్బెబిస శ్యోప్పుబ్బు మించ్చుప్పొ రూండ్రెన్బిం, మాల్హి మంసాప్పుల్లిస మింసాల్హెబాడ
సాక్షింరొబ్బెబిస, కింర్వెల్ రొగ్బిం, మించ్చుప్పొ, బొల్లి శ్చేమ్ద్యే ఉరుగాన్చుల్లి నొవతియేర్ప-
బ్బెబిం గామిండిఫ్రెబిస మిన్యొరాల్చుర్రి సాస్కుసిబిస శ్చేతానిం, సాండ్రెరొట్రేబిస త్యెస-
వుం.

లొం చ్చాబ్లు డా మ్యురా నొండాగ్గెబి క్యిడ్యేప్ ఖ్యాఫ్రొ నొక్కుబిం రూండ్రెన్బిం శ్యే-
ప్పొబ్బు ఉరుగాన్చుల్లి నొవతియేర్పాబ్బెబిస. అంగిలమింట్రేబార్యెబిస మింబ్రెడ్వి-
ల్ంబిం నొల్ఱెబిస అంసాక్షాత రూండ్రెన్బిం సా. అమిట్రంమ, మంసాప్పుల్లిస మింసాల్హెబాడ త్రేబిస
డాగ్రాంప్పొబిస మింబ్చినిం గాత్తార్యేబ్బుల్లి ల్ంబిసింధోబాన్ మాల్హి ల్యేజ్యేక్ట్రుమిస అరూం, అమి-
ట్రంమ అప్పొల్యేబ్స్ట్రే మించ్చుప్పొ డా మిన్యొరాల్చుర్రి సాస్కుసిబిస, సాండ్రెరొట్రేబిస
ట్యేస్యు.

లొం చ్చాబ్లు డా మ్యురా నొండాగ్గెబిం మాల్హి మంసాప్పుల్లి శ్యుశ్రున్చ్యేల్సాప్పొం-
సాక్షింరొం సాంబ్సాగ్ ట్యేబ్బు గాల్రమిప్పొబా, త్రాంగ్లొల్లిస డాక్యాగ్బెబా డా కొంబ్సొన్, అంశ్యో,
మించ్చాల్ క్యెబ్బొ, అంశ్యుల్లి, సాంతోబ్బొ ట్యేస్లంబ్రున్చ్యో బ్యాల్హాంత్యేస్యొం సిట్రుష్యేట్రుమిస
శ్యేసాంబ్బెల్లాడ డా ల్ంబిసింధోబిస చ్చిప్పుల్లిస డా కొరొస మించ్చు శ్చేతానిం జ్యారమ్మినింల్ జ్యారమ్మి-
నిస సాష్టింబాలమిండ్వెగ్గండ.

డామ్లాశ్చేబ్బుల్లి నొండాగ్గెబిం ఖ్యాంక్రిప్పొబిస మారొల్చుర్రి క్రింబిస: డామ్-
లాశ్చేబ్బుల్లి-బిప్రాబిం స్షు డామ్లాశ్చేబ్బుల్లి-బిప్రాబిం. బిప్రాబ్బెల్ క్రింబి మింప్రాబ్బొ ప్పుజ్-
ల్లా డిప్రాబిస, సొల్లండ్రెబిస, తొప్పిక్రొబిస. గ్యె క్రింబి శ్యొంబ్రెం నొత్రిక్యుమిస అంస్యో-
మింబిం గామిం బాసిం తొప్పిక్రొబిస అంశ్యోల్మిస్ ప్పుజ్లా ప్పుజ్లా అంస్యోల్మిస్ అంస్యోల్మిస్.

ტომ მათ გასუმჯობესებლად და სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ასათვი-
სებლად ნიადაგიდან მოცილებული უნდა იქნეს შთანთქმული ნატრიუმი, ხო-
ლო შემდეგ ჩატარდეს სხვა ღონისძიებები. იმ ტიპის ნიადაგში ჩატარებულ
სპეციფიკურ ღონისძიებას წარმოადგენს მოთაბაშირება წყლით ჩატერებით ღრმ-
საწრეტის პირობებში. შემდეგ ნიადაგის თვისებათა გაუმჯობესების დაჩქარე-
ბის მიზნით და მისი თვისებისათვის ტარდება ხენა „თერმულ ანულად“ ბი-
ცობის სვეტების დასაშლელად ან ღრმა ხენა (პლანტაცი) სვეტურ შრეებთან
თაბაშირიანი შრის არევისათვის, ორგანული სასუქების შეტანა, პარკოსნების-
თესვა (ძიძო, იონჯა, მელიკუდა მლაშობის) და ბოლოს მინერალური სასუქე-
ბით განკითება.

მეორე ტიპის (დამლაშებულ-ბიციანი) ნიადაგები ხასიათდებიან ღრმა,
ხოლო ზოგჯერ ზედაპირის შრეებში ნორმაზე მეტი ადვილად ხსნადი მინერა-
ლური ნივთიერებების არსებობით. აღნიშნული ტიპი მოიცავს ყველა სახის
დამლაშებულ ნიადაგებს, რომელგანც უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მოსავ-
ლის მიღება, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით. შედარებით მაღალი და
მყარი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ნიადაგის საქმაო სისქის შრის გა-
თავისუფლება ზედმეტი მარილებისაგან, რაც შეიძლება შესრულდეს სპეციფი-
კური ღონისძიების ჩატარებით—წყლით ჩატერებით ღრმა საწრეტის პირობებ-
ში. ამის შემდეგ აუცილებელია ორგანული სასუქების შეტანა, პარკოსნების-
თესვა (ძიძო, იონჯა, მელიკუდა ბიცნარის) და ბოლოს მინერალური სასუქე-
ბით განკითება.

რუხი—მურა-რუხი ტიპის ნიადაგები შეიცავენ მცირე რაოდენობის ორ-
განულ ნივთიერებას და ადგილმდებარეობის მიხედვით მოდის არასაქმაო ნა-
ლექები. ნაყოფიერების ასამალლებლად აქ, პირველ რიგში, აუცილებელია ტე-
ნის უზრუნველყოფა მორწყვით, ხოლო შემდეგ ბალახთესვის წარმოება (სამ-
ყურა, სიდერატები) და სრული მინერალური სასუქების შეტანა.

ჩვენ მიერ შემუშავებული საწარმოო გენეზისური კლასიფიკაციის სქემა
ზოგადია. ამიტომ მასში წარმოდგენილი სპეციფიკური და სხვა ღონისძიებე-
ბიც ასეთივე ხასიათისაა, ე. ი. ისინი ამა თუ იმ ზომით ერთნაირად მიუღე-
ბა შესაბამის საწარმოო-გენეზისური ტიპის ნიადაგების ყველა გვარსა და სა-
ხეობას.

როდესაც დამუშავდება საწარმოო-გენეზისური სქემა კოლმეურნეობების,
საბჭოთა მეურნეობების, საცდელი სადგურების, საყრდენი პუნქტებისა და
სხვა ტერიტორიის ნიადაგებისათვის, მაშინ ეს ღონისძიებანი დაზუსტდება თი-
თოეული მათგანისათვის.

ბუნებაში გავრცელებულია ნიადაგის ჩატორეცხვა, რაც დიდ უარყოფით
გავლენას ახდენს მის ნაყოფიერებაზე, ხოლო ზოგჯერ ადგილი აქვს ნიადაგის
მთლიანად ჩამორეცხვას. ამ უკანასკნელს სათანადო ყურადღება ექცევა და მის
საწინააღმდეგოდ მრავალი ღონისძიება ტარდება, რაც სამ ჯგუფად იყოფა:
1) აგროტექნიკური, 2) ფიტომელიორაციული და 3) პირზოტექნიკური.

პირველი გულისხმობს სავარგულებზე ხვნას გარდიგარდმო. ღრმად ხვნას,
ორგანული სასუქების შეტანას, პორიზონტალური ბეჭობების მოწყობას, ბალ-

ხის ბუფერ-ზოლების მოწყობას, წითელ და ყვითელმიწებზე ნაკვეთების და-
მუშავებას ტერასებით.

მეორე ჯგუფის ღონისძიებებში შედის გამოუყენებელი ადგილების, ხევ-
ლელების გამწვანება მცირე ფართობებით, ხოლო მესამეში — წყალშემცრებ ფარ-
თობებზე და ხრამების თავზე ჰორიზონტალური თხრილების განლაგება, ხრამ-
ხევებში წყალსაშვების მოწყობა, ღარების გაკეთება, დატერასება და სხვ.

ნადაგების საწარმოო-გენეზისურ სქემაში ასახულია აგრეთვე ქარული
ეროვნის (დეფლიაციის) საწინააღმდეგო შემდეგი ღონისძიებები: ქარსაცავი
და მინდორსაცავი ტყის ზოლები, საფარი კულტურების თესვა, მაღალი ნაწ-
ვერალის დატოვება, ხნა ბეჭტის გაღაუბრუნებლად ვიწრომშექრივ-ჯვარედი-
ნად თესვა, ჰორიზონტალურების გასწვრივ, მითითებულ ვადებში. ოლსანიშნავია
ის გარემოებაც, რომ რიგ ფართობებზე წინასწარ უნდა ჩატარდეს აქვავება
მექანიზებული წესით.

АТАНЕЛИШВИЛИ А. С.

ОБЩАЯ ПРОИЗВОДСТВЕННО-ГЕНЕТИЧЕСКАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ПОЧВ СССР

Р е з у м е

В решениях Партии и Правительства в текущем семилетии предусматривается «резкое улучшение использования земли, как главного средства производства в сельском хозяйстве».

Это возлагает на почвоведов — всесторонне и глубоко познать природу почвы, как исторического тела и основного средства сельскохозяйственного производства, и отображать это в производственной классификации почв. Производственная классификация почв должна установить взаимосвязь между производственными свойствами почв и агромероприятиями по повышению и поддержанию плодородия почвы.

Производственно-генетическая классификация почв должна отразить производственные свойства почвы, в соответствии с этим наметить и запроектировать мероприятия по повышению, поддержанию плодородия почв и приступить к разрешению производственных вопросов с учетом местных конкретных условий. «К сожалению, нельзя сказать, что опубликованные к настоящему времени обобщенные по СССР предложения по классификации почв отвечают таким требованиям. В них все еще довлеют такие показатели, от которых подчас трудно перейти к разрешению производственных вопросов».

Конечной целью почвенной классификации является установление и познание исторически сложившейся природы почвы, в целях лучшего использования ее в сельскохозяйственном производстве. Но вся суть в том, что эта «центральная проблема почвоведения» по существу до сих пор еще не

разрешена, поэтому, почвоведение, не может пока в полной мере стать объектом обслуживания сельскохозяйственного производства.

Классификация почв должна содействовать познанию природы почвы, в частности ее свойств и признаков. Такую роль может выполнить только эволюционно-генетическая классификация почв. Производственно-генетическая классификация почв, строящаяся на тех же принципах, на которых построена эволюционно-генетическая классификация почв, с дополнением выдвижения на первый план производственных свойств почвы, служит базой для правильного применения дифференцированной агротехники и направленного воздействия на свойства почвы.

Схема производственно-генетической классификации почв состоит из следующих генетических и производственных таксономических единиц: стадия почвообразования, эволюционно-генетический тип почвы, производственно-генетический тип почвы, производственно-генетические роды и виды почв, специфические и другие обычные мероприятия по повышению и поддержанию плодородия почвы, против смыва почвы и против ветровой эрозии почвы. Выделяются следующие производственно-генетические типы почв: 1) слабоподзолистые почвы, 2) средне и сильноподзолистые почвы, 3) глеево-среднеподзолистые почвы, 4) дерновые серые лесные и дерновые коричневые лесные, 5) дерновые коричневые, бурые лесные, перегнойно-карбонатные, дерново-карбонатные и др. почвы горных районов, 6) иловато-болотные почвы, 7) осоково-травянистые и зеленомоховые болота, 8) сфагновые болота и торфяники, 9) черноземы выщелоченные, 10) черноземы обыкновенные, 11) «деградирующие» карбонатные черноземы, 12) каштановые почвы, 13) каштаново-буро-серокоричневые почвы, 14) засоленно-солонцовочные, 15) засоленно-солончаковые, 16) серо-було-сероземный.

Необходимые специфические мероприятия включают в себя следующие виды работ: известкование, осушение, понижение уровня грунтовой воды, корчевка, защита и запашка снега, выработка торфа, орошение, гипсование, внесение гажи, дефекационной грязи, глубокий дренаж.

Другие мероприятия по повышению и поддержанию плодородия почв предусматривают следующие виды работ: внесение органических и минеральных удобрений — НРК, навоза, торфа, торфофекалии, компостов, микроудобрений, жижь, бактериального удобрения, углубление пахотного слоя, хорошая обработка, глубокая обработка, обработка поперек склона, взмет, чистый пар, лущение, пропашная система с посевом трав, устройство террас с соответствующим уклоном (по необходимости), посев сидератов бобовых (донник, люцерна, лисохвост солончаковый); соблюдение и улучшение режима орошения и техники полива. Мероприятия против смыва почв содержат следующие работы: устройство горизонтальных канав на водосборной площади и над головой оврага; устройство водоспусков, желобов; в оврагах-балках озеленение неиспользуемых площадей и оврагов и др.

Мероприятия против ветровой эрозии почвы: устройство ветрозащит-

ных и полезащитных лесных полос покровных культур, оставление стерни, вспашка без оборота пласта, посев по горизонтальным в указанные сроки, узкорядно-накрест.

Предлагаемая схема производственно-генетической классификации почв—общая. Поэтому—разработанные специфические и другие мероприятия носят общий характер, т. е. они одинаково приложимы в той или иной мере ко всем родам и видам почв соответствующего производственно-генетического типа. Эти мероприятия подлежат уточнению и детализации в отношении конкретных участков в отдельных колхозах, совхозах, в опорных пунктах и др., при разработке схемы производственно-генетической классификации почв конкретных объектов.

ԱՅԹԹԵՑՈՒՄԸ ՊՐԵՏԵՐԱԾՄԻ

1. Ք. ՀԱՐՅՈՅԱԲՈՅՅՈՂՈ, Ճ. ԹԱՂԱՔԵՎԵՐՅԱՆ—Երաժշգտման բառը. Թ. 1961.
2. Կ. Պ. Գօրշենին — К вопросу классификации почв. Журн. «Почвоведение», № 1, 1961.
3. Կ. Պ. Գօրշենին — Классификация почв Западной Сибири. Журн. «Почвоведение», № 6, 1934.
4. Почвоведение, под ред. К. П. Горшенина. М., 1958.
5. Հ. Հ. Ռօզօվ, Հ. Ա. Կարաևա, Տ. Ա. Ռօդէ — Первый пленум комиссии по номенклатуре, систематике и классификации почв. Журн. «Почвоведение», № 8, 1957.
6. Մ. Հ. Սաբաշվիլի — К вопросам классификации почв Закавказья. Тр. сов. по вопр. генезиса классификации, географии и мелиорации почв Закавказья, Баку, 1955.

შეკვეთის წილი და დამატების მოდენის
საქართველოს სამინისტრო-სამსახურის მინისტრის შეკვეთის ტ. LXV, 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, т. LXV, 1965 г.

სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. ი. ანგელაშვილი

საქართველოს ტუის უავისფერი ნიადაგების კლასიფიკაციის შესახებ

საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების გენეზისური კლასიფიკაცია-ჯერ კიდევ არა სათანადოდ დამუშავებული, რაზეც მიუთითებს ამ ნიადაგების ღლემდე არსებული სხვადასხვა პრინციპებზე აგებული დაჯგუფებები, შემუშავებული ამა თუ იმ მეცნიერების მიერ. ასეთი გარემოება, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების შესწავლის ისტორია დიდი ხნის არაა და იგი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ეტა-ბად.

I ეტაპი მოიცავს მიმდინარე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოდან 40-იან წლებს, როდესაც ს. ზახაროვა [16] საქართველოში პირველად აღწერა საკმაოდ დიდი გეოგრაფიული გავრცელებისა და მთელი რიგი სპეციფიკური ოვისებების მქონე ტყის ყავისფერი ნიადაგები, რის გამოც მას შესაძლებლად მიაჩნდა მათი გამოყოფა ცალკე დამოუკიდებელ გენეზისურ ტიპიდ ან ქვეტიპად მაინც. ამ პერიოდის მკვლევართა უმრავლესობა ტყის ყავისფერი ნიადაგების შესწავლას აწარმოებდნენ უმეტესად მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, რაც არ იყო საკმარისი აღნიშნული ნიადაგების სპეციფიკური ბუნების სრული დახასიათებისათვის და გენეზისურ კლასიფიკაციაში მათი აღ-გილის დადგენისათვის. ამირომ „ტყის ყავისფერი ნიადაგების“ სახელწოდებას ზოგჯერ სხვა ზონის ნიადაგებზეც ავრცელებდნენ.

II ეტაპს განეკუთვნება XX საუკუნის 40—50-იანი წლები. ამ პერიოდში მ. საბაშვილისა [23, 24] და ი. გერასიმოვის [7, 8, 9], ზრომების გავლენით ხელახლა გაძლიერდა ინტერესი ტყის ყავისფერი ნიადაგების შესწავლისადმი. აღნიშნულ წლებში დადგინდა ტყის ყავისფერი ნიადაგების ფართო გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერება და ზონალობა, მათი ტიპურობის გან-მსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლები და დამტკიცდა ცალკე გენეზისურ ტი-პად შათი გამოყოფის მიზანშეწონილობა.

III ეტაპი მოიცავს შემდგომ წლებს, როდესაც ჩატარებული მრავალი გამოკლევის შედეგად დაგროვდა მდიდარი გასალი საქართველოს ტყის ყა-ვისფერი ნიადაგების მინერალოგიური და ქიმიური შედეგენილობის შესახებ და მათი ქიმიური, ფიზიურ-ქიმიური, ფიზიური და სხვა ოვისებების დასადგენად, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამ ნიადაგების ახალ, უფრო სრულყო-

ჭირობულ-გენეზისურ პრინციპებზე აგებული კლასიფიკაციის შესაღებად.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ ზოგიერთი მქონევარის მიერ შემუშავებულ საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების კლასიფიკაციის სქემებს.

ს. ზახაროვი [16, 17, 18, 19, 20] საქართველოს ტყის ყავისფერ ნიადაგებში არჩევდა: 1. მუქყავისფერ, 2. ყავისფერ და 3. ღია ყავისფერ კატეგორიებს, როგორც პირველადი ტყის ნიადაგებს. მათგან განსხვავებით გამოყოფდა აგრეთვე რუხ ყავისფერ ნიადაგებსაც, რომელიც ავტორის მიხედვით წარმოადგენენ ტყის მეორადი დასახლებით წაბლა ნიადაგების დეგრადაციის შედეგად წარმოშობილს. „რუხი ყავისფერი ნიადაგები. შერდა ს. ზახაროვი, ალბათ, წარმოადგენს ტყის გავლენით წაბლა ნიადაგების დეგრადაციის შედეგს“ [20]. ასეთი შეხედულება გამომდინარეობდა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიის პირობებში სტეპისა და ტყის ურთიერთობის შესახებ ს. ზახაროვის კონცეფციიდან, რომლის შესახებ კრიტიკული შენიშვნები გამოთქმული იყო თავის დროზე პროფ. დ. გელევანიშვილის, ვ. გულისაშვილის [23], ი. გერასიმოვის [9], ნ. კეცხოველის [3] და სხვ. მიერ. ამიტომ ამ საკითხებზე ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით არ შევჩერდებით. ალვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტყის ყავისფერი ნიადაგების მუქი ყავისფერი და ღია ყავისფერი კატეგორიები ს. ზახაროვის მიერ არსებითად გამოყოფილი იყო მორფოლოგიური ნიშნის—შეფერვის (ჰუმუსიანობის) მიხედვით და არა შინაგანი განვითარების მაჩვენებლების საფუძველზე. ამიტომ ალნიშნული კატეგორიები ვერ გამოხატავენ ურთიერთშორის გენეზისურ კავშირს, ვერ იძლევიან ტყის ყავისფერი ნიადაგების გახვითარების საერთო სურათს და არ მოიცავენ საქართველოს ამ ტიპის ნიადაგების ყველა კატეგორიას. ამასთან „რუხი ყავისფერის“ სახელწოდება თანამედროვე ლიტერატურაში [21, 22] გამოყენებულია სრულიად ახალი, ტიპის ნიადაგების—სუბტროპიკული სტეპების ნიადაგების აღსანიშნავად. ამიტომ ს. ზახაროვის კლასიფიკაცია, რომელიც ტყის ყავისფერი ნიადაგების შესწავლის პირველ ეტაპზე საესებით მისაღები იყო, ამჟამად საჭიროებს შემუშავობ გაღრმავებას და გაუმჯობესებას.

ტყის ყავისფერი ნიადაგების კლასიფიკაციის უფრო სრულყოფილი სქემა შემუშავებული აქვს ა. სანიკიძეს [27] კახეთის პირობებისათვის, რასაც ვიღებით ქვემოთ.

1. ტყის ყავისფერი, სუსტად კარბონატული, თიხა და მძიმე თიხნარი ხილხატიანი ნიადაგი.

2. ტყის ყავისფერი, უკარბონატო, მძიმე თიხნარი, ხილხატიანი ნიადაგი.

3. ტყის ყავისფერი უკარბონატო, მძიმე თიხნარი და თიხნარი ნიადაგი.

4. ტყის მუქი ყავისფერი, სუსტად კარბონატული, ხილხატიანი, მძიმე თიხნარი და თიხნარი ნიადაგი.

5. ტყის მუქი ყავისფერი, უკარბონატო, თიხა, მძიმე თიხნარი და თიხნარი ნიადაგი.

6. ტყის რუხი ყავისფერი, სუსტად კარბონატული, ძლიერხირხატიანი და ხირხატიანი თიხნარი ნიადაგი.

7. ტყის რუხი ყავისფერი, კარბონატული, ხირხატიანი ნიადაგი.

8. ტყის ღია ყავისფერი უკარბონატო ნიადაგი, უკარბონატო ყავისფერი თიხა ფერალებზე განვითარებული.

აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ფერისა (პუმუსი) და კარბონატების შემცველობა. სახესხვაობები გამოყოფილია მექანიკური შედეგნილობის მიხედვით. ამდენად ეს უფრო სრულყოფილ კლასიფიკაციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მას გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებანი. უპირველეს ყოვლისა, ტყის ყავისფერი ნიადაგების ჯგუფში გამოყოფილია უკარბონატო კატეგორიები [1, 2 და 7]. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მე-7 სახესხვაობა, რომელსაც, როგორც ეს ანალიზების მონაცემებიდანაც დასტურდება, ტყის ყავისფერ ნიადაგებთან საერთო არა აქვთ რა და გაერთიანებული უნდა იყოს ყომრალ ნიადაგებთან. რაც შეეხება მე-2—4 სახესხვაობებს, ისინი ფაქტურად ტიპურ ტყის ყავისფერ ნიადაგებს წარმოადგენენ, და 40—50 სმ სილრმეზე CaO-ს საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავენ. ამდენად სიტყვა „უკარბონატო“ ამ ნიადაგების თვისებებს არ შეეფერება და ვერ ასახავს მათში მიმღინარე პროცესებს.

მ. საბაშვილი [24] ტყის ყავისფერ ნიადაგებს, იხილავს რა როგორც ყომრალებსა და სტეპის ნიადაგებს შორის გარდამავალ კატეგორიას, პროფილის სისქის მიხედვით არჩევს: 1) ტყის ყავისფერ ღრმა და 2) ტყის ყავისფერ მცირე სილრმის ნიადაგებს. მისივე ხელმძღვანელობით 1956 წ. შედეგნილ საქართველოს ნიადაგების 1 : 100000 მასშტაბით რუკაში სისქის, პუმუსიანობისა და ხირხატიანობის მიხედვით გამოყოფილია: 1) ტყის ყავისფერი, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, 2) ტყის ყავისფერი ტიპური საშუალო და დიდი სისქის, 3) ტყის ყავისფერი გაკულტურებული და 4) ტყის მუქი ყავისფერი (შავმიწისფერი) ნიადაგები.

ი. გერასიმოვი ყავისფერი ნიადაგების ტიპში კარბონატების შემცველობის მიხედვით არჩევს: 1) გამოტუტულ ყავისფერ, 2) ტიპურ ყავისფერ და 3) კარბონატულ ყავისფერ ნიადაგებს [8], ხოლო კარბონატებისა და პუმუსიანობის მიხედვით გამოყოფს: 1) გამოტუტულ მუქყავისფერ, 2) ღია ყავისფერ და 3) კარბონატულ მუქ ყავისფერ ნიადაგებს [9].

დასასრულ საჭიროდ მიგახნია შეეხერდეთ უკანასკნელ ხანს გ. ტალახაძის მიერ შედეგნილ კლასიფიკაციაზე, რომლის მიხედვით საქართველოს ყავისფერი ნიადაგები დაყოფილია ორ დიდ ქვეტიპად. ესენია: 1) ყავისფერისებრი და 2) ტიპური ყავისფერი ნიადაგები [4].

I. ყავისფერისებრი—1) სუსტად განვითარებული, 2) ყომრალი ყავისფერი, 3) დაწიდული ყავისფერი, 4) ლებიანი ყავისფერი.

II. ტიპური ყავისფერი—1) ტყის ყავისფერი და 2) მდელოს ყავისფერი.

გ. ტალახაძე ტიპური ყავისფერი ნიადაგების ჯგუფში პუმუსის შემცველობის მიხედვით არჩევს ღია ყავისფერ, ყავისფერ და მუქყავისფერ, ხოლო

კარბონატების შემცველობის მიხედვით გამოტუტულ და კარბონატულ ჟრულ გორიგებს.

ტყის ყავისფერისებრი ნიაღავების ოიგში გ. ტალახაძე გამოყოფს ისეთებს, რომლებიც თავიანთი თვისებებით, მართალია, ახლოს დგანან ყავისფერ ნიაღავებთან, მაგრამ ამავე დროს ატარებენ ისეთ ნიშნებსაც, რომელიც ყავისფერი ნიაღავებისათვის არ არის დამახასიათებელი. აღნიშნული კლასიფიკაცია შეეხება საქართოდ საქართველოს ყავისფერ ნიაღავებს და ამდენად ტყის ყავისფერი ნიაღავების უფრო დაწვრილებითი კლასიფიკაცია მის მიერ შემუშავებული არაა.


საქართველოს ტყის ყავისფერი ნიაღავების უმეტესი კლასიფიკაციების საერთო ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მათ საფუძვლად უდევს ამ ნიაღავების ისეთი ცალკეული მაჩვენებლები, როგორიცაა მაგალითად, ფერი (პუმუსიანთბა), პროფილის სისქე, ხირზატიანობა. ან კარბონატულობა. ტიპის ფარგლებში გამოყოფილი ნიაღავების სხვადასხვა კატეგორიები კი ყოველთვის ვერ გამოსახავენ ტყის ყავისფერი ნიაღავების თანამიმდევრული განვითარების ყველა სტადიას.

გავითვალისწინეთ რა აღნიშნული მომენტები, შევეცადეთ ისტორიულ-გენეზისურ პრინციპებზე შეგვედგინა საქართველოს ტყის ყავისფერი ნიაღავების კლასიფიკაციის შემდეგი სახის სქემა:

1. მუხნარ-რცხილნარების მშრალი ტყეების ტყის ყავისფერი ნიაღავები:
 - ა) მცირე პუმუსიანი ($< 3\%$),
 - ბ) საშუალო პუმუსიანი ($3—5\%$).
 2. ტიპური ტყის ყავისფერი ნიაღავები:
 - ა) მცირე პუმუსიანი ($< 3\%$),
 - ბ) საშუალო პუმუსიანი ($3—5\%$)
 - გ) საშუალოზე მეტი პუმუსიანი ($> 5\%$).
 3. კარბონატული ტყის ყავისფერი ნიაღავები:
 - ა) საშუალო პუმუსიანი ($3—5\%$),
 - ბ) საშუალოზე მეტი პუმუსიანი ($> 5\%$),
 4. გასტეპებული ტყის ყავისფერი ნიაღავები:
 - ა) მცირე პუმუსიანი ($< 3\%$),
 - ბ) საშუალო პუმუსიანი ($3—5\%$).
- აღნიშნული კლასიფიკაციის სქემის შემუშავების დროს ვხელმძღვანელობდით წინამორბედი კლასიფიკაციების მაქსიმალურად გამოყენებისა და შეჭრების დაგვარად ახალ სქემაში საქართველოს ტყის ყავისფერი ნიაღავების

შემდეგ კატეგორიის ასახვის პრინციპით. ტიპის ფარგლებში გამოყოფილი ნი-
ადაგის კატეგორიები წარმოადგენ საქართველოს ტყის ყავისფერი ნიაღე-
ბის ეფოლუციური განვითარების თანამიმდევრულ საფეხურებს, დაპირობე-

საქართველოს ტყის ყავისფერი ნიაღების სტრუქტურულ-გენეზისა და ქარიზმიკულის ს კ ა მ



შულს მცენარეული საფარის ეფოლუციით, მხარის ხნოვანებით, რელიეფის ფორმირებისა და მისი ელემენტების გავლენით, ადამიანის სამეურნეო მოქმედებით და სხვ.

ნ. კეცხოველის [3] გეობოტანიკური გამოკვლევებით, აღმოსავლეთ ბორცვიან-გორაკიანი და მთის წინების ზონა ისტორიულ წარსულში დაკავებული იყო წიფლნარით და მშრალი ტყეების ცენოზებით—უმთავრესად მუხნარით

საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების ჭრიული ანალიზის შედეგები (%)

| ნიადაგები | ნიადაგის აღნების სილინგი (%) | დანერგული განერაზე განერაზე | შედეგები | | | |
|--|---------------------------------------|-----------------------------------|------------------|--------------------------------|--------------------------------|--|
| | | | SiO ₂ | Al ₂ O ₃ | Fe ₂ O ₃ | Al ₂ O ₃ + + Fe ₂ O ₃ |
| გამოტუტული ტყის ყავის- ფერი ნიადაგი ჭრილი 41 (სიღნაღის რ-ნი) | 0—10 | 10,1 | 69,83 — | 12,40 — | 7,73 — | 20,13 — |
| | 25—35 | 11,0 | 70,04 — | 12,80 — | 7,82 — | 20,62 — |
| | 50—60 | 9,6 | 69,44 — | 12,88 — | 7,56 — | 20,44 — |
| | 90—100 | 11,4 | 65,95 71,25 | 12,21 13,18 | 7,33 7,92 | 19,54 21,10 |
| | 125—135 | 6,7 | 69,89 70,54 | 12,02 12,13 | 7,14 7,21 | 19,16 19,34 |
| ტიპური ტყის ყავისფერი ნიადაგი ჭრილი 6 (ფელავის რ-ნი) | 0—10 | 11,34 | 67,58 — | 15,81 — | 7,54 — | 23,33 — |
| | 30—40 | 12,62 | 64,16 67,37 | 15,19 15,95 | 7,97 8,77 | 23,16 24,32 |
| | 70—80 | 14,35 | 60,31 66,94 | 14,46 16,05 | 7,64 8,48 | 22,10 24,53 |
| | 130—130 | 14,33 | 59,65 66,21 | 12,14 13,47 | 5,92 6,57 | 18,06 20,04 |
| | 170—180 | 9,39 | 65,82 69,76 | 16,21 17,18 | 7,13 7,55 | 23,34 24,73 |
| კარბონატული ტყის ყავის- ფერი ნიადაგი ჭრილი 75 (გურჯაანის რაიონი) | 0—10 | 12,74 | 65,69 — | 17,16 — | 8,81 — | 25,47 — |
| | 30—40 | 10,41 | 66,25 67,57 | 17,09 17,43 | 7,84 7,99 | 24,93 25,42 |
| | 70—80 | 18,55 | 52,78 62,80 | 16,27 19,36 | 7,68 9,14 | 23,95 28,50 |
| | 130—140 | 14,49 | 52,89 61,86 | 16,65 19,48 | 8,19 9,58 | 24,84 29,66 |
| გასტევებული ყავისფერი ნიადაგი ჭრილი 91 (ახალციხის რაიონი) | 0—10 | 11,44 | 63,23 65,13 | 16,26 16,75 | 6,88 7,05 | 23,14 23,84 |
| | 30—40 | 12,63 | 58,53 63,21 | 14,50 15,66 | 6,84 7,39 | 21,34 23,05 |
| | 80—90 | 13,63 | 57,54 63,20 | 15,81 17,39 | 6,90 3,59 | 22,71 24,98 |
| | 130—140 | 12,98 | 56,84 63,09 | 14,07 15,62 | 6,26 6,95 | 20,33 22,57 |

ବେଳିରୁଲୁରି (ମରାଟିକ୍‌ଵେଲି) ଦା ଶ୍ରୀହାତ୍ମକାନ୍ତାତ୍ମନ (ମରିଶ୍ଚର୍କେଲି) ମାସିଦାନ

| ଶ୍ରୀହାତ୍ମକାନ୍ତାତ୍ମନ (%) | | | SiO_2 | SiO_2 | SiO_2 | CaCO_3 |
|-------------------------|--------------|----------------------|-------------------------|-------------------------|------------------------|-----------------|
| CaO | MgO | K_2O | Al_2O_3 | Al_2O_4 | R_2O_3 | |
| 3,83 | 1,72 | 1,18 | 9,58 | 21,48 | 6,62 | ସେ ଅଣିସ |
| — | — | — | — | — | — | — |
| 3,99 | 1,77 | 1,22 | 9,44 | 24,58 | 6,62 | ସେ ଅଣିସ |
| — | — | — | — | — | — | — |
| 4,15 | 1,92 | 1,28 | 9,12 | 24,46 | 6,62 | ସେ ଅଣିସ |
| — | — | — | — | — | — | — |
| 8,12 | 2,23 | 1,48 | 9,24 | 24,44 | 6,70 | 10,77 |
| 2,09 | 2,41 | 1,59 | — | — | — | — |
| 5,10 | 2,02 | 1,60 | 9,91 | 26,36 | 7,20 | 2,44 |
| 3,85 | 2,04 | 1,72 | — | — | — | — |
| 3,73 | 2,38 | 1,84 | 7,22 | 23,82 | 5,54 | ସେ ଅଣିସ |
| — | — | — | — | — | — | — |
| 7,30 | 2,47 | 1,96 | 7,16 | 21,63 | 5,38 | 10,64 |
| 1,30 | 2,59 | 2,06 | — | — | — | — |
| 11,65 | 2,83 | 1,75 | 7,09 | 21,27 | 5,31 | 18,36 |
| 1,52 | 3,14 | 1,94 | — | — | — | — |
| 15,31 | 3,10 | 1,63 | 8,35 | 26,86 | 6,37 | 16,45 |
| 6,77 | 3,44 | 1,81 | — | — | — | — |
| 3,50 | 1,86 | 1,53 | 6,49 | 21,37 | 4,97 | 0,44 |
| — | — | — | — | — | — | — |
| 3,19 | 2,62 | 1,42 | 6,58 | 22,44 | 5,09 | 3,55 |
| 1,21 | 2,67 | 1,44 | — | — | — | — |
| 17,92 | 2,93 | 1,38 | 5,50 | 18,33 | 4,22 | 29,33 |
| 1,50 | 3,48 | 1,64 | — | — | — | — |
| 16,42 | 3,11 | 1,31 | 5,39 | 17,25 | 4,16 | 26,38 |
| 1,65 | 3,63 | 1,53 | — | — | — | — |
| 6,80 | 2,17 | 1,30 | 6,89 | 24,77 | 5,39 | 10,53 |
| 0,91 | 2,30 | 1,37 | — | — | — | — |
| 7,90 | 2,32 | 2,10 | 6,61 | 24,41 | 5,19 | 6,40 |
| 4,45 | 2,39 | 2,16 | — | — | — | — |
| 12,38 | 2,34 | 2,15 | 6,86 | 23,21 | 5,29 | 14,25 |
| 4,69 | 2,52 | 2,32 | — | — | — | — |
| 13,11 | 2,46 | 2,25 | 6,13 | 22,11 | 4,80 | 16,27 |
| 4,40 | 2,71 | 2,48 | — | — | — | — |
| 14,14 | 3,26 | 2,22 | 6,91 | 24,28 | 5,38 | 17,29 |
| 5,01 | 3,62 | 2,46 | — | — | — | — |

და რცხილნარით, რომლებიც ზოგან შემორჩენილია დღემდე. შერქნიან შეკნარეთა ასეთ საფარის შეესაბამება ტყის გამოტუტული და ტყის ტიპური ყავისფერი ნიაღაგები.

ტყის გამოტუტული ყავისფერი ნიაღაგები ვითარდებიან ჭიფლნარ-მუხნარ და რცხილნარ ტყეში (Ca-ით და კარბონატებით შედარებით ღარიბ ქანებზე). ეს ნიაღაგები უმთავრესად მოთავსებული არიან ტყის ყავისფერი ნიაღაგების გავრცელების ზედა ზონაში და უშუალოდ ესაზღვრებიან ტყის ყომრალ ნიაღაგებს. კლიმატი აქ უფრო ტენიანია, რის გამოც კალციუმის კარბონატებისა და სხვა შენაერთების ჩარეცხვა ნიაღაგის პროცესში ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ამ ნიაღაგებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ყავისფერი შეფერილობა, კარბონატებისაგან გამოირცხვა 70—80 სმ ხოლო ზოგჯერ 1 მ-ის სიღრმემდე, მცირე სისქის ჰუმუსიანი ჰორიზონტი, მძიმე მექანიკური შედგენილობა, პროფილის შუა ნაწილის გათიხება, ფუნდებით მაღლობა, სუსტად გამოსახული ილუვიურ-კარბონატული ჰორიზონტი და სხვ. CaCO_3 -ის რაოდენობა ილუვიურ ჰორიზონტებში 10%-ს აღწევს, ხოლო ჰუმუსის შემცველობა ზედა ფენებში მერყეობს 2,6—5%-ის ფარგლებში, რაც სიღრმეში მკვეთრად კლებულობს. ჰუმუსის მარაგი ნიაღაგის 1 მ-იან ფენაში ჰა-ზე შეადგენს 150—260 ტ-ს.

ნიაღაგის პროფილში ჰუმუსის განაწილების ხასიათისა და მისი თვისობრივი შედგენილობის მიხედვით გამოტუტული ტყის ყავისფერი ნიაღაგები ყომრალი ნიაღაგებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშანს ავლენენ, რაც საცემით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადც პირველი მეორესაგან წარმოქმნილ სტადიურად ყველაზე ახალგაზრდა ტყის ყავისფერ ნიაღაგებს წარმოადგენენ და ამდენად, ბუნებრივია. ატარებენ უკანასკნელის ნიაღაგწარმოქმნის ზოგიერთ თვისებას. გამოტუტული ტყის ყავისფერი ნიაღაგების ჰუმუსი აზოტით ღარიბია, ამის გამო შეფარდება C : N დანარჩენ ქვეტიანებთან შედარებით უფრო ფართო.

ტიპური ტყის ყავისფერი ნიაღაგები მუხის და რცხილის მშრალი ტყეების საფარის ქვეშ ვითარდებიან, Ca-ით უფრო მდიდარ ქანებზე. ნიაღაგწარმოქმნელი ქანების ქიმიური შედგენილობის, მცენარეული საფარის, რელიეფისა და სხვა პირობების გავლენით ამ ნიაღაგების პროფილში CaO -ს რაოდენობა მნიშვნელოვან ფარგლებში მერყეობს, ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ CaO -ის შემცველობის დიდი ნაწილი წარმოადგენილია Ca -კარბონატების სახით, ხოლო სოლიკატურ ნაწილზე მოდის უმნიშვნელო რაოდენობა. CaCO_3 -ის შემცველობა ნიაღაგის პროფილში სიღრმეშე თანდათანობით მატულობს და მაქსიმუმს (10—20%) აღწევს ილუვიურ-კარბონატულ ჰორიზონტებში. ამ ნიაღაგების რეაქცია ნეიტრალურია, ტყის ყავისფერი ნიაღაგების ეს ქვეტიპი გამოტუტული ყავისფერი ნიაღაგებისაგან გამოირჩევა აგრეთვე უფრო კარგად გამოსახული მძლავრი ჰუმუსიანი ჰორიზონტით ჰუმუსის შემცველობა ნიაღაგის პროფილში სიღრმეშე თანდათანობით კლებუ-

ლობს. მისი საერთო მარაგი ნიადაგის 1 მ-იან ფენაში შეადგენს 300—400 კ/ჰა-ზე.

ბუნებრივი პირობების ზემოქმედების გავლენით და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად რცხილისა და მუხის ტყეები თანდათან მოისპო და მი-სი ადგილი ჯაგ-რცხილისა და ძეგვის მშრალმა ბუჩქნარებმა დაიკავა, სადაც ბალახი მცენარეებიც დიდ მონაწილეობას ოებულობენ. ამან არსებითი ცვლი-ლებები შეიტანა ნიადაგწარმოქმნის პროცესში. კალციფილ ჯაგ-რცხილები-სა და ძეგვების ბუჩქნარებმა ხელი შეუწყვეს ნიადაგის პროფილში კალციუმის კარბონატების ინტენსიურ დაგროვებას, ხოლო მცილობი დასახლებულმა ბა-ლახი მცენარეებმა გააძლიერეს დაკორდების პროცესი. ყოველივე ამან კი სა-ბოლოოდ განაპირობა ჰუმუსით მდიდარი კარბონატული ტყის ყავისფერი ნი-ადაგების ჩამოყალიბება, რომლებიც საქმაოდ დიდ ფართობებზეა გავრცე-ლებული აღმოსავლეთ საქართველოში.

მშრალი ტყე-ბუჩქნარების კარბონატული ტყის ყავისფერი ნიადაგები გა-შოირჩევიან შექი ყავისფერი, კარგად ჩამოყალიბებული ჰუმუსიანი ჰორიზონ-ტით, რომლის სისქე 30—40, ხოლო ზოგჯერ 50 სმ-ს აღწევს. ჰუმუსის შემ-ცველობა 3—7% -ის ფარგლებში მერყეობს. მისი მარაგი ნიადაგის 1 მ-იან ფენაში ჰა-ზე 250—360 ტ-ს, ზოგჯერ კი მეტსაც აღწევს.

ჰუმუსის შედარებით მაღალი რაოდენობის და Ca-ის შემცველობის გავ-ლენით აღნიშნული ნიადაგები ხასიათდებიან მტკიცე სტრუქტურული თვისე-ბებით. ნიადაგწარმოქმნელი ქანები წარმოადგენილია ძირითადად ლიისისე-ბრი თიხნარების სახით და განვითარებულია უმეტესად სუსტად დახრილი რე-ლიიების ელემენტებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ნიადაგების ზო-გიერთი სპეციფიკური ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებაში.

კარბონატული ტყის ყავისფერი ნიადაგები გამოირჩევიან კალციუმის კარბონატების მნიშვნელოვანი შემცველობით, რომლის დაგროვება ნიადაგის პროფილში გაპირობებულია ნივთიერებათა ბიოლოგიური ციკლის, გაძლიე-რებული კარბონატიზაციის, კალციუმის ბიკარბონატების შემცველი ხსანების აღმავალი დენის, ნიადაგის დამუშავების წესისა და სხვა პროცესების გავლე-ნით. ამ არის აგრეთვე გამორიცხული ფერდობების უფრო მაღლა მდებარე ნაწილებიდან ზედაპირულით და გვერდითი ფილტრაციის გზით კარბონატე-ბის მოტანა და დაგროვება, რის შედეგად ამ ნიადაგების განსაკუთრებით ჭულტურული ვარიანტები ზედაპირულად კარბონატულებია. კარბონატები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა დაგროვილი ილუვიურ-კარბონატულ ჰორიზონტში, სადაც მისი შემცველობა 20—30%-ს აღწევს.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში და, კერძოდ, ახალციხის ქვაბულში მშრალი ტყეების მოსპობა შედარებით აღრე დაიწყო და ჩემი ტემპით წარიმართა, ვიდრე შიდა ქართლსა და კახეთში, რაც გამოწვეული იყო ბუნებრივი პირობების გარდა, ადამიანის გაძლიერებული სამეურნეო საქ-მიანობით.

როგორც ცნობილია, მესხეთი მიწათმოქმედების უძველეს კერას წარმო-ადგენს საქართველოში. აღამიანმა აქ აღრე დაიწყო ტყის მოსპობა და ტყე-კა-ფის გამოყენება მიწათმოქმედებისათვის. გარდა ამისა, ოროგრაფიული პირო-

ბები, ღრმა ეროვნული ბაზისი და უფრო მშრალი და ცხელი კლიმატის გაძლიერება აუარესებდა ნიადაგის წყლოვან რეჟიმს და ზღუდვდა კორდის შემქმნელი ბალახოვანი მცენარეების მჭიდროდ დასახლებას. ამის შედეგად კი ჩამოყალიბდა სუსტად დაკორდებული, მცირებულებისანი ტყის ყავისფერი, ნიადაგები, რომელიც ჯერ კიდევ შემონარჩუნებული აქვს ტყის ყავისფერი ნიადაგების ნაშენები, მაგრამ ამასთან ერთად ამჟღავნებენ სტეპის ელემენტების გავლენასაც, რაც მათი ცალკე ქვეტიბად გამოყოფის საფუძველს იძლევა.

გ. კლაბატოვსკიმ ახალციხის ქვაბულის ასეთ ნიადაგებს „რუხი-ყავისფერი“ ნიადაგები უწოდა. ასევე მ. საბაშვილის ხელმძღვანელობით 1957 წ. შედეგნილ საქართველოს ნიადაგების რუკაზე ეს ნიადაგები გამოყოფილია „რუხი-ყავისფერი“ ნიადაგების სახელწოდებით. ვ. გულისაშვილი (15) მათ ფურცელით მაძღალ ყომრალ ნიადაგებს აკუთვნებს.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, „რუხი-ყავისფერი“ ნიადაგების სახელწოდებით ა. როხანოვმა (21, 22) ცალკე ტიპად გამოყო სუბტრობიკული სტეპებისათვის დამახასიათებელი აღრე წაბლა, რუხი და მურა ნიადაგებად ცნობილი ნიადაგები, რამაც აღიარება მოიპოვა და თანდათან დაკვიდრდა ლიტერატურაში. სუბტრობიკული სტეპების ბუნებრივი პირობები მკვეთრად განსხვავდება ახალციხის ქვაბულისა და ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის გორაკ-ბორცვიანი ზოლის არიდული ხასიათის ბუნებრივი პირობებისაგან, რაც განაპირობებს აღნიშნულ ზონებში განსხვავებული ნიადაგური საფარის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, ერთი და იგივე სახელწოდებით მკვლევართა მიერ გამოყოფილია ორი სხვადასხვა ბუნებრივი ზონის ნიადაგები, რომლებიც ურთიერთისაგან განსხვავდებიან. ეს გარემოება ერთგვარ გაურკვევლობას და სიჩთულეს ქმნის საქართველოს ნიადაგების სისტემატიკის დადგენის საქმეში. ამიტომ საჭირო ხდება გადაისინჯოს საქართველოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების სახელწოდების საკითხი იმ მიმართულებით, რომ ის უკეთ შეეფარდოს საბჭოთა კავშირის ნიადაგების ერთიან ნომენკლატურას.

ტყის საფარიდან გამოსულ, გასტეპების გზაზე დამდგარ ყავისფერ ნიადაგებს ს. ზახაროვმა [17, 18] პირველმა უწოდა „გასტეპებული“ ტყის ყავისფერი ნიადაგები. ასეთივე სახელწოდებით ამ კატეგორიის ნიადაგებს გამოყოფს სომეხი ნიადაგთმობანე გ. ტატევოსიანი [28]. აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ სავსებით მიზანშეწონილად მაგავანინა აღვადგინოთ „გასტეპებული ტყის ყავისფერი“ ნიადაგების სახელწოდება ტყის საფარისაგან განთავისუფლებულ და სტეპური ნიადაგთწარმოქმნის პროცესებს დაქვემდებარებული ყავისფერი ნიადაგების აღსანიშნავად. ვთიქრობთ, ეს სახელწოდება საესებით შეესაბამება ამ ქვეტიპში გაერთიანებულ ნიადაგების ორმაგ ბუნებას და სრულყოფილად ასახავს მათ თავისებურებას—გენეზისურ კავშირს, ერთი მხრივ, ტყის ყავისფერ ნიადაგებთან და, მეორე მხრივ, სტეპურ ნიადაგწარმოქმნის პროცესებთან. ამით თავიდან იქნება აცილებული ის უხერხულობა და ზოგჯერ გაუგებრობანიც, რომელიც დაკავშირებულია ერთი სახელწოდებით სხვადასხვა ბუნებრივი ზონების, თვისობრივად განსხვავებული ნიადაგების აღნიშვნასთან.

გასტეპებული ტყის ყავისფერი ნიადაგები ძირითადად განვითარებულია

რელიეფის დენუტაციურ-აკუმულაციურ ელემენტებზე—დახრილ გაკეებზე და ფერდობებზე. ახალ ციხის ქვაბულში ამ ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულია სხვადასხვა დახრილობისა და ექსპოზიციის მქონე ფერდობებზე და მდინარეთა საკამოდ განიერ ძველ ტერასებზე. რელიეფის ეს უკანასკნელი ელემენტები გამოიჩინებან შეღარებით სუსტად დახრილი ვაკე ზედა-ბირით, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ღრმა პროფილის მქონე ნიადაგების ჩამოყალიბებისათვის. ნიადაგჭარმმქნელი ქანები ძირითადად წარმოდგენილია დელუვიური და ალუვიური წარმოშობის თიხნარებით.

გასტებებული ტყის ყავისფერი ნიადაგები ამჟამად თითქმის მთლიანად მუშავდება, რის გამოც ბუნებრივი ტყის ცენოზები იშვიათად გვხვდება. ეს ნიადაგები თავიანთი მორფოლოგიით, ქიმიური თვისებებით და სხვა მაჩვენებლებით გამოიჩინებან შიდა ქართლისა და კახეთის ტიპური კარბონატულ და ტყის ყავისფერი ნიადაგებისაგან, ისინი ხასიათდებიან ღია ყავისფერი შეფერილობით, მძიმე შექნიკური შედგენილობით, მცირე სისქის პუმუსანი პორიზონტით (10—15 სმ) და ზედაპირიდანვე CaCO₃-ის შემცველობით. ჰუმურის რაოდენობა 2,5—3%-ის ფარგლებში მერყეობს, მისი მარაგი ჰა-ზე 150—190 ტ-ს შეადგენს. გარდა ამისა ეს ნიადაგები სხვა მაჩვენებლებითაც განსხვავდებან დანარჩენი ქვეტიპებისაგან.

ტყის ყავისფერი ნიადაგების ზემოთ გამოყოფილი ქვეტიპების ქიმიურ შუნებაზე წარმოდგენას იძლევა 1-ელი ცხრილის მონაცემები, მივუთითებთ, რომ უფრო დაწვრილებით ეს მონაცემები გარჩეულია ცალკე სტადიაში [5]. ამიტომ აქ შევჩერდებით ამ ნიადაგების მხოლოდ ზოგიერთ ქიმიურ თავისებურებებზე. ყურადღებას იძყრობს SiO₂-ის შემცველობა, რომელიც ტყის ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპებს წმორის მერყეობს საკამო დიდ ფარგლებში. შიდა ქართლისა და კახეთის ტყის ყავისფერ ნიადაგებში მისი რაოდენობა 69—65% უდრის. იგი შედარებით დიდი რაოდენობითაა ტყის გამოტუტულ ყავისფერ-ხოლო ნაკლები რაოდენობით ტყის კარბონატულ ყავისფერ ნიადაგებში. ამ მხრივ განსაკუთრებული აღგილი უკავია გასტებებულ ტყის ყავისფერ ნიადაგებს, რომლებიც გამოიჩინებან SiO₂-ის ნაკლები შემცველობით.

განხილული ნიადაგების პროფილში SiO₂ (მინერალური მასიდან) განაწილებულია არათანაბრად. მისი რაოდენობა შესამჩნევად კლებულობს ილუვიურ კარბონატულ პორიზონტში, რაც ამ უკანასკნელში კალციუმის კარბონატების აკუმულაციით არის დაპირობებული. ეს განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოვლინებული კარბონატულ ტყის ყავისფერ და შედარებით ნაკლებად ტყის გამოტუტულ ყავისფერ ნიადაგებში.

სულ სხვა სურათს იძლევა იგივე ანალიზის მონაცემები ნიადაგის უკანონატო მასის მიმართ. აქ საყურადღებოა ნიადაგის გენეზისურ პორიზონტებში SiO₂-ის თითქმის თანაბარი განაწილება, რაც ტყის ყავისფერი ნიადაგების პროფილში მისი სუსტად გადაღვილების მაჩვენებელია.

ერთნახევიარი უანგეულების რაოდენობა პუმუსინ პორიზონტში 20,13—24,93%-ის ფარგლებში მერყეობს, ვერტიკალურ პროფილში სიღრმეზე მათი რაოდენობა ნაწილობრივ კლებულობს, რაც ნიადაგის ზედა ფენებში აღნიშნული უანგეულების აკუმულაციაზე მიგვითოთებს. რკინის უანგეულით შე-

დარებით ლარიბია გასტეპებული ყავისფერი ნიადაგები. დიდ ფარგლებში ცვალებადობს CaO , რომლის განსაკუთრებით მცირე შემცველობით გამოირჩევიან გამოტუტული ტყის ყავისფერი ნიადაგები. ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში CaO არათანაბრად არის განაწილებული. მისი ინტენსიურ დაგროვება მეტი ფირდ გამოსახულია ილუვიურ-კარბონატულ პორიზონტში, სადაც ის შეიძლება აღწევდეს 16—17% -ს. CaO -ს უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია კარბონატების სახით. მოლეკულური შეფარდება $\text{SiO}_2 : \text{R}_2\text{O}_3$ ჰუმურიან ფენაში იცვლება 6,62—4,97-ის ფარგლებში და ვერტიკალურ პროფილში განიცდის გარჩვეულ ცვალებადობას. გამოტუტული ტყის ყავისფერი ნიადაგებისათვის დამასასიათვებელია უფრო ფართო მოლეკულური შეფარდება, ხოლო ვიწრო-ტიბური და კარბონატული ტყის ყავისფერი ნიადაგებისათვის.

ტყის ყავისფერი ნიადაგების ზემოთ აღნიშნულ ქვეტიბებში ჰუმურის რაოდენობის მიხედვით გარჩევთ: მცირებულსიან (ტყის ლია ყავისფერი), საშუალო ჰუმურისიან (ტყის ყავისფერი) და საშუალოზე მეტ ჰუმურისიან (ტყის მუქი ყავისფერი) კატეგორიებს, პირველი შეიცავს < 3% -ს; მეორე — 3—5% -ს და მესამე — > 5% ჰუმურსს.

ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევის დროს ტყის ყავისფერი ნიადაგების ზემოთ აღნიშნული ქვეტიბების ფარგლებში გამოიყოფა უფრო წვრილი ტაქსონომიური ერთეულები მექანიკური შედგენილობის, პროცესის სისქის, ხირხატიანობის, გაკულტურების ხარისხის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

დასკვნები

1. საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების კლასიფიკაცია საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. შევლევარები მათ აჯგუფებენ სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით. რის გამო ამ ნიადაგების ისტორიულ-გენეზისური კლასიფიკაცია დღემდე არ არის შემუშავებული.

2. საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების შესწავლის თანამედროვე დონე საკმაო მასალას იძლევა ამ ნიადაგების ისტორიულ-გენეზისური კლასიფიკაციის შესაღებად, რომელმაც უნდა ასახოს ტიპის შიგნით ნიადაგების განვითარების სტადიები და ქვეტიბებსა და სახეებს შორის მჭიდრო გენეზისური კავშირი.

3. ჩვენს მიერ შედგენილ საქართველოს ტყის ყავისფერი ნილაგების ისტორიულ-გენეზისური კლასიფიკაციის სქემას საფუძვლად უდევს ისტორიულ-ასპექტში — მცენარეული საფარის ეფოლუცია, მხარის ხნოვანება, რელიეფის ელემენტების გავლენა და ადამიანის სამეურნეო ზემოქმედება.

ამ სქემით გამოყოფილია ტყის ყავისფერი ნიადაგის 4 ქვეტიპი: 1) გამოტუტული ტყის ყავისფერი, 2) ტიბური, ტყის ყავისფერი, 3) კარბონატული ტყის ყავისფერი და 4) გასტეპებული ტყის ყავისფერი ნიადაგებთ.

4. ტიპის ფარგლებში გამოყოფილი ნიადაგის აღნიშნული კატეგორიები წარმოადგენს საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების განვითარების თანმიმდევრულ სტადიებს, რომელმაც ერთი მეორისაგან განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

Канд. с/х наук АНДЖАПАРИДЗЕ И. Э.

К ВОПРОСУ КЛАССИФИКАЦИИ КОРИЧНЕВЫХ ЛЕСНЫХ ПОЧВ ГРУЗИИ

Р е з у м е

Коричневые лесные почвы широко распространены в пределах Восточной Грузии, в зоне интенсивного земледелия. Однако классификация этих почв разработана слабо. Разные исследователи указанные почвы группируют по различным показателям, вследствие чего до сегодняшнего дня не составлена единая схема историко-генетической классификации коричневых лесных почв Грузии.

Современный уровень изучения коричневых лесных почв Грузии дает достаточный материал для составления схемы генетической классификации этих почв, которая должна отражать стадии развития почв внутри типа и тесную генетическую связь между подтипами и видами.

В настоящей статье представлена улучшенная схема историко-генетической классификации коричневых лесных почв Грузии, в основу которой положена эволюция растительного покрова в историческом прошлом, возраст страны, влияние элементов рельефа и хозяйственная деятельность человека.

По этой схеме выделены: 1) выщелоченные коричневые лесные, 2) типичные коричневые лесные, 3) карбонатные коричневые лесные и 4) остеиненные коричневые лесные почвы, как основные подтипы коричневых лесных почв Грузии.

Выделенные подтипы этих почв отличаются специфическими характерными признаками и являются последовательными стадиями эволюционного развития коричневых лесных почв Грузии.

დამოუკიდებელი ლიტერატურა

1. ანჯარიძე ი. და მეგიძე ე. — საქართველოს ტყების უკისფერი ნიადაგების პუმუსის შედეგების საკითხებისათვის. საქ.-სამ. ინსტ. ზრ. ტ., LXI—LXII, 1964.
2. გულისაშვილი ვ. — ზოგადი მეტყველება. თბ., 1954.
3. ვიცოვალი ი. — საქართველოს მცენარეული საფარი თბ., 1960.
4. ტოლიბავ გ. — საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპები. თბ., 1964.
5. Анджарапидзе И. Е. — Валовой химический состав коричневых лесных почв Грузии. Тр. Груз. СХИ, т. LXIII—LXIV, 1964.
6. Анджарапидзе И. Е. — Некоторые особенности коричневых лесных почв Грузии. Тр. Груз. филиала общ. почтоведов, Тб. 1964.
7. Герасимов И. П. — Научные основы систематики почв. Журн. «Почтоведение», № 11, 1952.
8. Герасимов И. П. — Научные основы систематики и классификации почв. Журн. «Почтоведение», № 8, 1954.
9. Герасимов И. П. — Коричневые почвы сухих лесов и кустарниковые лесостепи. Материалы по географии и картографии почв СССР, 1949.

10. Герасимов И. П. — Коричневые почвы — главный генетический тип почв средиземноморских (аридных субтропических) областей. Очерк по физической географии зарубежных стран, 1959.
11. Герасимов И. П., Антипов-Каратаяев И. П. и др. — Почвы Болгарии. М., 1959.
12. Герасимов И. П., Глазовская М. А. — Основы почвоведения и географии почв. М., 1960.
13. Гулиашвили В. З. — О проградации лесных буроземов верхнего горного пояса. Журн. «Почвоведение», № 10, 1942.
14. Гулиашвили В. З. — О лесостепной зоне Восточного Закавказья. Сообщения АН ГССР, т. III, № 4, 1942.
15. Гулиашвили В. З. — Природные зоны и естественно-исторические области Кавказа. М., 1964.
16. Захаров С. А. — О главнейших итогах и основных проблемах изучения почв Грузии. Тиф., 1924.
17. Захаров С. А. — Вертикальная зональность почв на Кавказе. Журн. «Почвоведение», № 6, 1934.
18. Захаров С. А. — Борьба леса и степи на Кавказе. Журн. «Почвоведение» № 4, 1935.
19. Захаров С. А. — Почвы горных районов СССР. Журн. «Почвоведение», № 6, 1937.
20. Захаров С. А. — Почвы Предкавказья. Почвы СССР, т. III. М., 1939.
21. Розанов А. Н. — Зональные почвы равнины и предгорий Кура-Араксинской низменности. Вопросы происхождения засоленных почв и их мелиорации. Тр. почвенного ин-та им. В. В. Докучаева, т. X, IV, 1954.
22. Розанов А. Н. — Серо-коричневые почвы как особый почвенный тип. Док. VI междунар. конгрессу почвоведов, комиссия V (классиф. почв), М., 1956.
23. Сабашвили М. Н. — Почвы Грузии. Тб., 1948.
24. Сабашвили — М. Н. — К вопросу о зональности и классификации горно-лесных почв Закавказья. Вопр. генезиса и географии почв. Тб., 1948.
25. Сабашвили М. Н. — Почвы лесостепных районов Грузии. Вопр. генезиса и географии почв. М., 1957.
26. Сабашвили М. Н. — Почвенная карта Грузии, масштаб 1 : 100 000. Тб., 1956.
27. Санникадзе А. О. — Почвы Кахетии. Тб., 1940.
28. Татевосян Г. С. — Почвы колхоза сел. Паравакар Шатшудинского р-на. Тр. ин-та почвоведения и агрохимии АН Арм. ССР, вып. I, Ереван, 1959.

მრავალი წლის შემდეგის მიზანის

სახარისხის სასოციალ-სამიურადო ინსტიტუტის გარემონტი, ტ. LXV, 1965

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, т. LXV, 1965 г.

პ. მინდალი

**გასაღები მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგები წარმოქმნილია მეოთხეულ ტერი-
გენულ კარბონატულ ნაფენებზე და განვითარებულია აკუმულაციურ გეოძორ-
ფოლოგიურ ელემენტებზე, რის გამოც დაბლობის მეზოფიტური ტყის ნიადა-
გების განვითარებასთან არის გენეზისურად დაკავშირებული.**

აღნიშნული ნიადაგები, რომლის ფარობი უდრის 233 ჰა-ს, გამოყენე-
ბულია ძირითადად მრავალწლოვანი (ვაზი, ხეხილი) და ერთწლოვანი (ხორბა-
ლი, სიმინდი, საკვები ბალახები, ბოსტნეული და სხვ.) კულტურების წარმო-
ებისათვის.

მუხრანის ნიადაგები საკმაოდ დეტალურად სხვადასხვა დროს შესწავ-
ლილი აქვთ, ზახაროვს, დ. გედვენიშვილს, მ. საბაშვილს, გ. ტარასაშვილს,
ვ. ლატარიას, დ. თოროლაძეს, რ. კორგალიძეს და სხვ.

მუხრანის დაბლობის ნიადაგებს უცხოელ მკელევართა შორის პირვე-
ლად მდელოს ყავისფერი ფრიდლანდმა უწოდა [24]. შემდეგ ამ სახელწოდე-
ბამ რუს და ქართველ ნიადაგთმულნეთა შორის საყოველთაო აღიარება
ჰქონდა.

მდელოს ყავისფერი ნიადაგების საერთო ქიმიური თვისებების შესახებ
საკმაოდ მდიდარი ანალიზური მონაცემები არსებობს [5, 23]. ასევე საფუძ-
ვლიანად არის შესწავლილი მისი ფიზიკური თვისებები [10, 12, 21 და სხვ.].
ბოლო ხანებში დიდი მუშაობა წარმოებს მუხრანის მდელოს ყავისფერი ნია-
დაგების ორგანული ნივთიერების ფრაქტულ-ჯგუფური [14, და სხვ.] და ფი-
ზიკურ-ტექნიკური (ა. ჯიბლაძე) შედგენილობის გარკვევისათვის, ხოლო გაღ-
რძიებული ქიმიური შედგენილობის შესწავლა ნაკლებად მიმდინარეობს. მე-
ტად მცირე ცნობებია ლიტერატურაში ამ ნიადაგების მთლიან ქიმიურ და
პედოლოგურ შედგენილობაზე, რის გამოც გადავწყვიტეთ მისი შესწავლა და
ამით აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი გამოსწორება.

მუხრანი სამხრეთის ტიპის კულტურულ ლანდშაფტურ ერთეულს წარ-
მოადგენს. მ. საბაშვილს ის ტყე-სტეპის ზონაში აქვს შეტანილი [19]. პალეო-
ბოტანიკური მონაცემების მიხედვით (ნ. კეცხოველი, დ. სოსნოვსი, გროსპერი
და სხვ.) ქართლის დაბლობი და, კერძოდ მუხრანის ვაკე დაბლობის ტიპის

ტყეების ევოლუციის მედეგადაა წარმოშობილი, რასაც ბუნებრივ პროცესებთან ერთად ხელი შეუწყო ადამიანის სამეურნეო მოქმედებამ (ტყეების გაჩენა, სახნავ-სათესი ფართობის გაფილება, ეროზიული ბაზისის ძირს დაშვება და სხვ.). ამრიგად, თანამედროვე მუხრანის დაბლობი რთული ისტორიულ-სამეურნეო ხასიათის პროცესის ერთობლივი მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებულ სამხრეთის ტიპის (ტყე-სტეპის) კულტურულ ლანდშაფტურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თანამდროვე ეტაპზე ხასიათდება მდელოს ყავისფერი ნიაღავებით. ამ ნიაღავების პროფილის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე წარმოდგენას იძლევა № 1 ჭრილის აღწერა. ჭრილი გაკეთებულია მემინდვრეობის ნაკვეთზე—ნნულად ნასვენზე, ბალახებიდან—სარეველები.

0—21 სმ მუქი ყავისფერი, მოშავო, გოროხოვან-კაკლოვანი სტრუქტურით, მცენარეთა ერთეული ფესვები, ხვრელები (მცირე ზომის), მოკვრივო, თიხა საშუალო, ტენიანი, შიშინებს.

21—48 სმ მუქი ყავისფერი, მოშავო, გოროხოვანი, ბუსუსა ფესვები, ნახევრად დაშლილი ხის ჩანართები, მკვრივი, თიხა საშუალო, ტენიანი, შიშინებს.

48—81 სმ მუქი ყავისფერი, ლია-მოშავო, კაკლოვან-გოროხოვანი, მცირე ფესვები, მკვრივი, საშუალო თიხა, ტენიანი, შიშინებს.

81—140 სმ ყავისფერი, კოშტებს შორის შავი ლაქებით, კაკლოვან მარცვლოვანი, მცირე ფესვები, ქვამრგვალები 3—5%-მდე (თვალხდევით), მკვრივი, მძიმე თიხნარი, ტენიანი, შიშინებს.

140—180 სმ ღია ყავისფერი, სუსტაუ გამოხატული სტრუქტურით, ქვამრგვალები 10—20%-მდე (თვალხდევით), მოკვრივო, თიხა საშუალო, ტენიანი, შიშინებს.

190—220 სმ ღია ნაცრისფერი, უსტრუქტურო, ჭარბად სხვადასხვა ზომის ნაწილაკები (ქვამრგვალებით), ბნევადი, თიხნარი საშუალო, ტენიანი, შიშინებს.

მუხრანის დაბლობი ნიაღაგთწარმომქმნელი ფაქტორების მხრივ შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს არის ეროზიული წარმოშობის დაბლობი (ილ-ჯანელიძე), რომელიც აშოვსებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალფინური და პროლუციურ-დელუციური კარბონატული მასალით.

მუხრანის ვაკე აქუმულაციური ტიპისაა, რომელსაც ეროზიული მოქმედების შედეგად მცირე უსწორმასწორობა ახასიათებს. ვაკის დეპრესიული ზოლის სიმაღლე ზღვის დონიდან 520—560 მ-ს უდრის.

ცხრილი 1

მუხრანის ვაკის კლიმატური პირობების მრავალწლიური საშუალო მაჩვენებლები

| მეტეოროლოგიური საღგური | წელი | თ ვ ი ბ ი | | | | | | | | | | | | | |
|------------------------|------|------------------------|-----------|------|------|-----|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|
| | | მეტეოროლოგიური საღგური | თ ვ ი ბ ი | | | | | | | | | | | | |
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | |
| | | | 550 | -1,4 | -0,7 | 4,8 | 10,4 | 16,5 | 19,8 | 22,1 | 22,7 | 18,3 | 12,8 | 6,9 | 1,1 |
| მუხრანი . . | | | | | | | | | | | | | | | |

ნილობაში. როგორც ჰუმინის, ისე ფულვომექავებს ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში თანაბრად კლებადი განაწილება ახასიათებს, რაც, აღმა, დაკავშირებულია ბიოლოგიური პროცესების ზემოდან ქვემოთ ცვალებადობასთან, ჰუმინისმეჯავაში საერთო C მერყეობს 24—31-ის, ხოლო ფულვომექავაში 20—27%-ის ფარგლებში. ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში ჰუმინისა და ფულვომექავას რაოდენობრივი განაწილების მიხედვით $\frac{C_3}{C_2}$ შეფარდება 1,16—1,17-მდე. ე. ი. ამ მხრივ ეს ნიადაგები მდელო-სტეპის ტიპის მსგავსებას იჩენენ, რომლითაც, როგორც აკად. ტიურინის გამოკვლევებითაა ცნობილი, $\frac{C_3}{C_2} > 1$ მაჩვენებელი ახასიათებს. ჰუმუსის თვისისობრივი ანალიზის მიხედვით, ამ ნიადაგებზე ასეთივე შედეგები აქვს მიღებული ე. მხედესაც (14).

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰუმინის მეჯავას რაოდენობრივი განაწილება დაკავშირებულია ნიადაგში მცენარის ფესვთა სისტემის (მათი ნაშთების) გავრცელებასთან. ნიადაგის ზედა ფენას, რომელიც მეტი რაოდენობით შეიცავს ფესვებს და მათ ნაშთებს, ჰუმინისმეჯავა საერთოდ და, კერძოდ, მისი მოძრავი ფრაქცია მეტია, ვიდრე ქვედა ფენებში,

მდელოს ყავისფერი ნიადაგების ჰუმუსის თვისისობრივი ანალიზის შედეგები მიუთითებს ჰუმუსის მაღალმოლექულურ, მაშასადამე, კოლოიდური კომპონენტებითა და აზოტის მეტი რაოდენობით შეცველი ფრაქციებით სიმდიდრეზე. ამრიგად მდელოს ყავისფერი ნიადაგების წარმოქმნის პროცესი ხასიათდება აგრონომიულად მაღალი ღირსების ჰუმუსის წარმოშობით.

გლეოს ყავისფერი ნიადაგების მინერალოგიური შედგენილობა

ცნობილია, რომ ნიადაგი ბიოლოგიური და კლიმატური ფაქტორებით ქანების დაშლა-გარდაქმნის პროცესების შედეგად წარმოქმნილი, ნაყოფიერების ოვისების მატარებელი თვითმყოფი ბუნებრივი სხეულია. ქანების შენებაში 2000 ათასამდე მინერალი მონაწილეობს, აქედან უმთავრესად ქანში გვხვდება 35—40 მინერალი, რომელთაც უმთავრესი ქანთაშენი მინერალები ეწოდებათ. როგორც აღნიშნულიდან ჩანს დედაქანები მინერალოგიური შედენილობით ერთნაირი არა. ამიტომ, ცხადია, მათზე წარმოქმნილი ნიადაგების მინერალოგიური შედგრილობა განსხვავებული უნდა იყოს. ნიადაგის ზედა ფენებში საერთოდ და, კერძოდ, მუხრანის მდელოს ყავისფერ ნიადაგებში მინერალური ნივთიერებები რამდენადმე უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვედა ფენებში.

საერთოდ ნიადაგთწარმოქმნის პროცესზე და, კერძოდ, მინერალურ (აგრეთვე ორგანულ და ორგანულ-მინერალურ) ნივთიერებათა რაოდენობრივ და თვისისობრივ მხარეზე დიდ გავლენას ახდენს ქანების პეტროგრაფიულ-მინერალოგიური მედგრილობა, რაც ჩანს, კ. გლინკას, ვ. გერნადსკის, ბ. პოლინოვის, ე. გორბუნოვის და სხვ. გამოკვლევებიდან. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლია: სამწუხაროდ, საქართველოს ნიადაგებისა

საერთოდ და, კერძოდ, მდელოს ყავისფერი ნიადაგების შესახებ ამ საკითხის გარშემო მასალა მეტად მცირეა.

მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგების მინერალოგიური შედგენილობის შესახებ, გარკვეულ ცნობებს იძლევა ვ. ლატარია [12], საქართველოს ზაფირების მინერალოგიური შედგენილობის შესახებ გ. ტალახაძე [20] და ტყის ყომრალი ნიადაგების მინერალოგიური შედგენილობის შესახებ ლ. ნაკაშიძე [15, 16].

თიხა მინერალების გამოკვლევაზე წარმატებით მუშაობენ: ნ. გორბუნოვი, ი. სედლიცკი, ე. შავრიგინა, ა. ციურუბა და სხვ. ჩვენ სახელმძღვანელოდ მივიჩნიეთ აღნიშნულ და სხვა ავტორთა შრომები, რომელთა საფუძველზე მოვახდინეთ მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგების მინერალოგიური ნაწილის შესწავლა მიქროსკოპული, თერმიული და სხვა მეთოდების გამოყენებით.

როგორც შლიფის ამოზიფრიდან ჩანს, ნიადაგი წარმოდგენილია წვრილაგრევირებული მინდვრის შპატებითა და პიროქსენით (სურ. 1). მხოლოდ $1,2 \times 40$ გადიდებით შეიძლება შეიმჩნეს მინდვრის შპატისა და პიროქსენის ნამტვრევთა მცირე რაოდენობა. კიდევ უფრო მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი რკინის პიდროჟანგი. ძირითადი მასის გარდატეხის მაჩვენებელი კანალის ბალზამზე უფრო დაბალია, ნიადაგი მოყვითალო ყავისფერი შეფერილობისაა.



სურ. 1. ჭრილი I. 0—10 სმ სიღრმის ნიადაგი.



სურ. 2. ჭრილი I. 65—75 სმ სიღრმის ნიადაგი

ნატეხებს, რომლებიც შეიცავენ ზემოთ აღწერილი შლიფის ანალოგიურია მეორე შლიფი (სურ. 2) იმ განსხვავებით, რომ მინდვრის შპატები დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ. პიდროქარსები ხანდისხან ჩანაცლებულია რკინის პიდროჟანგით. რელიქტების მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ პიროქსენის მსხვილი კრისტალები. დიდი რაოდენობით ვეგდებით ეფუზური ქანის

ნატეხებს, რომლებიც შეიცავენ ზემოთ აღწერილი შლიფის უფრო მსხვილ მარცვლებს.

შესამე შლიფის (სურ. 3) ძირითადი მასა წარმოდგენილია თიხოვან-კარბონატული მასალით, რომელშიც ვხვდებით კვარცისა და მინდვრის შპატების ნატეხებს.

და ჰიდრატიზებული ბიოტიტის ფურცლებს, გვხვდება აგრეთვე კარბონატიზებული რომბული პიროქსენის მარცვლები, თიხა მინერალებიდან გვხვდება მონტმორილონიტი და პიროქსენიტი.

1—0,25 მმ ფრაქცია (სურ. 4) წარმოდგენილია კვარცით, პლაგიოკლაზით, მონოკლინური პიროქსენით, რქატყუარით, ლიმონიტიზებული ბიოტიტით, განახშირებული მცენარეული ნარჩენებით, ცირკონისა და აპატიტის ერთეული მარცვლებით. აქედან უმეტესი ნაწილი უკავია კვარცს, რომელიც კუთხოვანი მარცვლების სახითაა წარმოდგენილი და რომელთაც ზოგჯერ უსწორმასწორო დაკბილული კონტურები ახასიათებთ. პლაგიოკლაზი კვარცთან შედარებით ნაკლებია, ხოლო კრისტალები დაკუთხული და მნიშვნელოვნად პელიტიზებულია და სერიკიტიზებული. მონოკლინური პიროქსენი კვარცსა და პლა-



სურ. 3. ჭრილი I. 120—130 სმ ნიაღავი

გიოკლაზებზე ნაკლებია. საღი კრისტალები მოკლე სვეტოვანი ჰაბიტუსით. კრისტალებს ღია მწვანე შეფერილობა. ბიოტიტი ნიწილობრივ საღია ნორმალური პალეოქროიზმით, ნაწილობრივ კი ლიმონიტიზებულია. ზოგიერთი ქერცლი საკმაოდ მსხვილია ($0,1$ მმ $\times 0,08$ მმ).

ცირკონი და აპატიტი გვხვდება იშვიათად, მცირე იდიომორფული კრისტალების სახით. დიდი რაოდენობითაა განახშირებული მცენარეული ნაშთები, რომელთაც წესისამებრ არასწორი ფორმა აქვთ.

მაქსიმალური ზომა $0,41 \times 0,32$ მმ

საშუალო ზრმა $0,17 \times 0,11$ მმ


მინიმალური ზომა $0,05 \times 0,03$ მმ

აღნიშნული ფრაქცია (სურ. 5)

წარმოდგენილია კვარცისა და მინდვრის შპატებისაგან. ქანის

ნატეხების ნაწილი ჩანაცვლებულია რკინის ჰიდროფანგით. გვხვდება ბიოტიტის ნატეხები. პლაგიოკლაზის ნაწილი სერიკიტიზებულია და ხშირად ლრმად, თიხა-მინერალების წარმოქმნამდე მიღის.

1—0,25 მმ ფრაქცია (სურ. 6) შედგება სხვადასხვა ზომისა და ფორმის კვარცის პლაგიოკლაზის, მონოკლინური პიროქსენის, რქატყუარას და მაღნეული მინგ-




სურ. 4. ჭრილი I. 0—10 სმ სილრმის ნიაღავის ფრაქცია—1—0,25 მმ

რაღაც ნატეხებისაგან. მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება აგრეთვე თიხა ფიქალის, არკოზული ქვიშაქვისა და მეორადი კვარცის ნატეხები. კვარცის მარცვლები ჩვეულებრივ დაუმუშავებელია, ზოგიერთი მსხვილი ნატეხი არასწორი ფორმისაა. პლაგიოკლაზები ნაწილობრივ სალია და პოლისინთეზურად დამრჩობლული, ნაწილობრივ კი ინტენსიურად სერიციტიზებული და პელიტიზებული. მონოკლინური პიროვნებენი იდიომორფულია, პრიზმატული, გამავალ სინათლეში ღია მწვანე. გვხვდება ღია მწვანე ფერის სალი რქატყურა მკვეთრად გამოხატული პალეოქროიზმით. ბიოტიტის ქერცვლები ნაწილობრივ იზოტეტრულია. ფერი მოყვის-ფრო რუხი. თიხა-ფიქლების ნატეხები ნაწილობრივ დამუშავებულია და შედგება მოწითალო რუხი თიხოვანი ნივთიერებისაგან, კერძოდ სერიციტის ქერცვლების, კვარცის მარცვლებისა და პლაგიოკლაზის მარცვლებისაგან.



სურ. 5. კრილი I: 65—75 სმ სილრმის ნიადაგის ფრაგმები—1—0,25 მმ.



სურ. 6. კრილი I. 120—130 სმ სილრმის ნიადაგის ფრაგმები 1—0,25 მმ.

არკოზული ქვიშაქვების ნატეხებიც დამუშავებულია და შედგება კვარცისა და პლაგიოკლაზის მომრგვალო ფორმის მარცვლებისა და ბიოტიტის ალევრიტული ზომის ქარცლებისაგან. ცემენტი წარმოდგენილია თიხოვან ქლორიტული ნივთიერებებისაგან.

მეორადი კვარცი ნაკლებადა დამუშავებული. კვარცის წვრილი მარცვლები ხასიათდება ტალლისებრი ჩაქრობით, რაც გამოწვეული უნდა იყოს კვარცის კრისტალებზე მექანიკური ზემოქმედებით.

მაქსიმალური ზომა $0,75 \times 0,24$ მმ

საშუალო ზომა $0,26 \times 0,24$ მმ

მინიმალური ზომა $0,04 \times 0,03$ მმ

მუხრანის მდელოს ზავისფერი ნიადაგების თიხა მიხრალები

ნალალდისპერსიული მინერალები, რომლებიც გვხვდებიან ნიადაგზე არ-მომქმნელ ქანებში (თიხები, მდინარეთა და ზღვათა ნალექები) სულ უფრო და უფრო იქცევენ მკვლევართა ყურადღებას. ინტერესი ამ მინერალების შეს-

წავლისადმი გამოშვეულია იმის გამო, რომ ისინი გავლენას ახდენენ ნიაღაგის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ნ-ყოფიერებაზე და იძლევა, ან წარმოდგენას ნიაღაგის გის გენეზისის შესახებ.

თიხა მინერალების შესწავლა ხდება მიკროსკოპული, იმერსიული, რენდგენოგრაფიული, თერმიული, ელექტრომიკროსკოპული და სხვა მეთოდებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან უფრო დეტალურად შევისწავლოთ ნიაღაგის შედგენილობა, თვისობრივი ბუნება და სხვ.

საერთოდ თიხა-მინერალები მეორადი მინერალებია, რომლებიც თიხა ქანების, კარბონატული და პიროორმული წარმონაქმნების მთავარ ნაწილს წარმოადგენენ. მათი ზომა მეტია კოლოიდურ ნაშილაკებზე და ქიმიური შედგენილობით შეეკუთვნებან წყლიან ალუმინიკატებს, რკინის და მაგნიუმის ალუმინიკატებს.

ქვემოთ ვაძლევით მიკრონული ფრაქციის მთლიანი ქიმიური და თერმული ანალიზების საფუძველზე მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიაღაგების პერიოდური დახასიათების შედეგებს (ცხრ. 3).

ცხრილი 3

მიკრონულ ფრაქციაში მინერალურ ნაწილზე გადანგარიშებული მთლიანი ქიმიური ანალიზის მონაცემები

| ქრისტ. № | ნიმუშის სილები (ტ) | პრეცენტული წყალ- ლი (%) | განხრისათვის და- კიდი (%) | SiO ₂ (%) | R ₂ O ₃ (%) | Al ₂ O ₃ (%) | Fe ₂ O ₃ (%) | CaO' (%) | MgO (%) | SO ₃ (%) | სურთმა- ნების მარადე | SiO ₂ / Al ₂ O ₃ (%) | SiO ₃ / Fe ₂ O ₃ (%) | SiO ₂ / R ₂ O ₃ (%) |
|----------|-----------------------|----------------------------|------------------------------|----------------------|-----------------------------------|------------------------------------|------------------------------------|----------|---------|---------------------|----------------------------|---|---|--|
| I | 0—10 | 6,13 | 11,57 | 53,04 | 36,31 | 32,52 | 3,79 | 0,86 | 39,91 | 1,99 | 96,23 | 2,99 | 33,52 | 2,41 |
| | 25—35 | 5,65 | 11,87 | 56,03 | 38,77 | 26,53 | 7,19 | 0,96 | 3,89 | 1,62 | 96,28 | 3,59 | 20,80 | 3,06 |
| | 50—60 | 8,22 | 7,54 | 48,51 | 30,57 | 22,35 | 8,22 | 0,54 | 2,31 | — | — | 3,80 | 15,68 | 3,20 |
| | 65—75 | 7,90 | 7,44 | 56,93 | 35,60 | 26,45 | 9,15 | 0,62 | 0,83 | 4,88 | 93,36 | 3,76 | 18,80 | 3,13 |
| | 90—100 | 8,23 | 7,03 | 58,70 | 36,86 | 26,91 | 9,96 | 0,62 | 1,26 | 0,80 | 98,25 | 3,73 | 16,16 | 3,03 |
| | 120—130 | 8,70 | 5,07 | 56,75 | 37,90 | 29,40 | 8,50 | 0,46 | 2,31 | 1,27 | 98,60 | 3,35 | 18,80 | 2,84 |

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ მიკრონული ფრაქციის მინერალური ნივთიერებების უდიდესი ნაწილი მოდის SiO₂ და Al₂O₃. დანარჩენი კომპონენტებიდან აღსახიშნავია Fe₂O₃ (3—9 %) და MgO (3—4 %). SO₃ უდრის 1—4 % -ს, ხოლო CaO (მეტათე პროცენტებში) 0,96—0,46-ის ფარგლებში მერყეობს. გამოწვითი ნაშთი სილრმეში მცირდება, ხოლო ზედა ჰორიზონტების მიკრონულ ფრაქციაში მაღალია, რაც ორგანული კოლოიდების სიმდიდრით აიხსნება.

გახურებითი დანაკარგი მაღალია ზედა ჰორიზონტში, შემდეგ თანაბრაზ ნაწილება 50—60, 65—75, 90—100 სმ ფენებში და მცირდება ჭვედა ჰორიზონტში (120—130 სმ), რაც გამოშვეულია ვერტიკალურ პროფილში ჰუმუსის განაწილებით, მიკრონული ფრაქციის მინერალოგიური შედგენილობით და დისპერსიულობის ხარისხით.


SiO₂-ის პროცენტული რაოდენობა ნიაღაგის ვერტიკალურ პროფილში სხვადასხვა ელემენტებთან შედარებით თანაბრაზა განაწილებული, თუმცა

შეიმჩნევა ნაწილობრივ შემცირება 50—60 სმ სიღრმეზე. Al_2O_3 -ის შედარებით ჭარბადა წარმოდგენილი 0—10 სმ სიღრმეზე, ხოლო შემდეგ ფენებში თანაბრად ნაწილდება. Fe_2O_3 -ის პროცენტული რაოდენობა უმნიშვნელოდ იზრდება ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში ზემოდან ქვემოთ — 0—10 სმ სიღრმეზე 3,79%, 90—100 სმ-ზე 9,96%. MgO -ს შემცველობა მცირდება ქვედა ჰორიზონტებში, თუმცა ადგილი აქვს მატებასაც 120—130 სმ-ის სიღრმეზე (0,83—2,31% -მდე). ჰორიზონტების მიხედვით, ზედა ფენებში აღინიშნება CaO -ის დაგროვებისადმი მიღრექილება, რაც გაპირობებული უნდა იყოს ბოლოგიური პროცესებით.

$\frac{\text{SiO}_2}{\text{Al}_2\text{O}_3}$ თანაბრადა განაწილებული ნიადაგის მთელ პროფილში. $\frac{\text{SiO}_2}{\text{Fe}_2\text{O}_3}$ -ის მაჩვენებლის სიღრმეზე კლება მიუთითებს ამ ნიადაგების ზედა ფენაში რკინის ქანგის ჰიდრატის დაგროვებისადმი ტენდენციაზე. $\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$ შედარებით მცირება 0—10 სმ სიღრმეზე, შემდეგ მატულობს და თანაბრად ნაწილდება მთელ პროფილში, უმნიშვნელოდ, მაგრამ კვლავ მცირდება 120—130 სმ სიღრმეზე.

მიკრონული ფრაქტიის პედოლიტურ შედგენილობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი თერმოგრამა.

თერმიული ანალიზი ჩატარებულია, გახურებითი მრუდების ავტომატურად მწერ დანადგარზე. ღმენიშვილის ტემპერატურის იწევა ხდებოდა 20° -ით. ეტალონად აღებული იყო გაფარგარებული ალუმინის ქანგი. ანალიზშა მოგვცა შემდეგი.



თერმოგრამა 1. ჟრილი 1. ა—სიღრმე 0—10 სმ, ფრაქტია $<0,001$ მმ;
ბ—სიღრმე 65—75 სმ, ფრაქტია $<0,001$ მმ;
გ—სიღრმე 120—130 სმ, ფრაქტია $0,001$ მმ.

თერმოგრამა გვიჩვენებს, რომ იგი ხასიათდება ორი ენდოთერმული ეფექტით 200° — 250° და 500° — 700° ტემპერატურის ინტერვალში.

პირველი ენდოთერმული ეფექტი დაკავშირებულია ნიმუშში რკინის ჰიდროგანგის არსებობასთან, ხოლო მეორე გამოწვეულია ბიოტიტის ან ლიას-პორის არსებობით $\text{Al}_2\text{O}_3 \cdot \text{H}_2\text{O}$.

თერმოგრამიდან ჩანს, რომ მას ახასიათებს ძირითადად ერთი ენდოთერმული ეფექტი 200 — 250° ტემპერატურის ინტერვალში, რაც გამოწვეულია ნიმუშში ძირითადად რკინის ჰიდროგანგის (ჰიდროკემატიტი) არსებობით (თერმოგრამა 1, ბ).

ამ ნიმუშის თერმოგრამისათვის დამახასიათებელია სამი ენდოთერმული უფერტი: 200—250, 600—700 და 800—900° ტემპერატურის ინტერვალში, რაც დამახასიათებელია მონტმორილონიტისათვის. გარდა ამისა, პირველი მიუთითებს ამა თუ იმ რაოდენობით რეანის უანგის არსებობაზე (თერმოგრამა 1 გ).

როგორც თერმოგრამის ამოშიფრვიდან ირკვევა, პირველ ჰორიზონტში (0—10 სმ) გვხვდება რკინის ჰიდროფანგი, ბიომიტი და დიასპორი ($\text{Al}_2\text{O}_3 \cdot \text{H}_2\text{O}$), ხოლო მომდევნო ჰორიზონტებში (60—75 სმ) მხოლოდ ჰიდროპერმატიტი. მესამე ჰორიზონტში (120—130 სმ) კი ვხვდებით თიხა მინერალებს, მათ შორის მონტმორილონიტს და სხვ.

გდელოს ყავის ფარავანი ნიაღავების მთლიანი ძიგიური შედენილობა

ცნობილია, რომ ორგანულ-მინერალური ნაწილი დიდ გავლენას ახდენს ნიაღავის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ნაყოფიერებაზე და ნიაღავში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე.

ნიაღავის მინერალურ ნივთიერებათა ძირითად წყაროს, როგორც აღნიშნეთ, დედაქანი წარმოადგენს. ნიაღავის მთლიანი ქიმიური შედენილობის ცოდნას, ნიაღავთწარმოქმნის პროცესის გაცნობისა და ნიაღავის შემადგენელ ნივთიერებათა საერთო რაოდენობის გარკვევის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზედაც მიუთითებდნენ ბ. პოლინოვი, ნ. ანტიპოვ-კარატაევი, გ. პონომარევი, ი. გერასიმოვი და სხვ. [18, 7, 8].

ქანისა და ნიაღავის მთლიანი ქიმიური შედენილობის დაბირისპირებული განხილვა ნაცრის ელემენტების ანალიზის მონაცემებთან შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, მინერალების დაშლის ინტენსივობაზე ვიქონიოთ წარმოდგენა, ხოლო, მეორე მხრივ, გვარეულობა ნივთიერებათა პრუნვის ზოგიერთი საკითხი. ე. ი. ასეთი დაპირისპირებული შესწავლა შუქს ფენს მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს.

ც ტ რ ი ლ ი 4

მინერალურ ნაწილზე გადაანგარიშებული მუხრანის მდელოს ყავისფერი

ნიაღავების მთლიანი ქიმიური ანალიზის მონაცემები

| კრისტ. № | ნიაღავის ბის (სმ) | კიბრისებულ: | ჭყალი: | ჭყალი: | SiO_2 (%) | R_2O_3 (%) | Fe_2O_3 (%) | Al_2O_3 (%) | CaO'' (%) | MgO (%) | SO_3 (%) | კბილ: | SiO_2 | Fe_2O_3 | SiO_2 | Al_2O_3 | R_2O_3 |
|----------|-------------------|-------------|--------|--------|--------------------|----------------------------|-----------------------------|-----------------------------|--------------------|------------------|-------------------|-------|----------------|-------------------------|----------------|-------------------------|------------------------|
| 1 | 0—10 | 4,01 | 0,91 | 65,64 | 20,63 | 5,47 | 15,16 | 5,16 | 3,84 | 1,61 | 97,33 | 30,22 | 7,33 | 5,97 | | | |
| | 25—35 | 5,01 | 7,71 | 64,91 | 20,57 | 6,59 | 13,98 | 6,33 | 4,31 | 1,97 | 98,09 | 25,66 | 5,27 | 5,91 | | | |
| | 50—60 | 3,13 | 11,2 | 62,85 | 21,54 | 7,23 | 14,31 | 7,87 | 4,68 | 1,46 | 98,31 | 23,14 | 7,41 | 5,61 | | | |
| | 65—75 | 3,20 | 10,8 | 61,85 | 21,49 | 7,26 | 14,93 | 8,22 | 4,80 | 1,39 | 97,80 | 22,11 | 7,04 | 5,43 | | | |
| | 90—100 | 3,14 | 10,47 | 59,62 | 22,76 | 6,32 | 16,44 | 8,52 | 5,07 | 1,13 | 96,98 | 25,11 | 6,05 | 4,63 | | | |
| | 120—130 | 6,20 | 8,72 | 64,09 | 25,11 | 3,48 | 21,63 | 4,96 | 1,59 | 2,62 | 98,37 | 49,14 | 5,03 | 4,57 | | | |

მონაცემების მიხედვით, SiO_2 ნიაღავის ვერტიკალურ პროფილში თანაბრადა განაწილებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მდელოს ყავისფერი ნიაღავების წარმოქმნა ამ უანგეულის ელუვიაცია-აკუმულაციის პროცესზე არსებით გავლენას არ ახდენს. ამ ნივთიერების შემცველობა პროფილში

65—61% -ის ფარგლებში შერყეობს. მდელოს ყავისფერ ნიადაგებში რაოდენობრივად SiO_2 პირველ ადგილზეა, რის შემდეგ მოდის Al_2O_3 . ამ ჟანგეულს პირველი მეტრის ფენაში თანაბარი განაწილება ახასიათებს, ხოლო მეორე მ-ის დასაწყისში შეიმჩნევა მისი შესამჩნევად მატება, რაც ადგილობრივი ხასიათის მოვლენას უნდა წარმოადგენდეს (ამ სიღრმის ალუვიური ნაფენის Al_2O_3 მეტი რაოდენობის, შემცველობით უნდა იყოს გამოწვეული) Fa_2O_3 -ის მთლიანი რაოდენობა გარდამავალ ფენაში (50—75 სმ) მეტია, ვიდრე ზედა და ქვედა ფენებში. რაც მდელოს ყავისფერი ნიადაგების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. ყავისფერი ნიადაგებისათვის ერთნახევარი ჟანგეულებისა და კერძოდ, რკინის ჟანგის აღნიშნული კანონზომიერებით განაწილებაზე პროფილში მიუთითებენ ი. გრისიმოვი, ი. ანტიპოვ-კარატაევი, გ. ტალახაძე და სხვ. [7, 18, 20, 21] ამ ნიადაგების ვერტიკალურ პროფილში ერთნახევარი ჟანგეულების განაწილების აღნიშნულ კანონზომიერებაზე მიგვითითებს მოლეკულური შეფარდებები ($\text{SiO}_2 : \text{Fe}_2\text{O}_3$; $\text{SiO}_2 : \text{Al}_2\text{O}_3$). CaO მთლიანი ანალიზის მიხედვით 50—100 სმ სიღრმის ფენაში ახასიათებს დაგროვება (8—8,5%), ხოლო ზედა და უფრო ღრმა ფენაში მისი რაოდენობა შესამჩნევად არის შემცირებული. ამ ჟანგეულის ასეთი განაწილება ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში (HCO_3)₂ შემცველი ხსნარის ორმხრივ — ზემოდინა ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მოძრაობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. სილიკატური კალციუმი მის ასეთ განაწილებაში ნაკლებ როლს უნდა თამაშობდეს.

მთლიან Mg -ს მდელოს ყავისფერი ნიადაგები საკმაო დიდი რაოდენობით შეიცავენ (4—5%). როგორც ცნობილია, ეს ნიადაგები ხასიათდებან დაწილულობით რაც შესაძლოა სწორეთ ნატრიუმთან ერთად MgO -ის გადიდებული რაოდენობით იყოს გამოწვეული. Mg -ის ასეთი როლი ნიადაგის ფიზიკურ თვისებებში ლიტერატურაში ცნობილია (ნ. დიმო, ი. ანტიპოვ-კარატაევი და სხვ.).

SO_3 -ს შესამჩნევი რაოდენობით შეიცავენ ეს ნიადაგები. ამავე დროს იგი ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში თანაბრად არის განაწილებული. SO_3 120—130 სმ ფენაში კი ზედასთან შედარებით 1,5-ჯერ მეტია. ეს ნივთიერება, როგორც გ. ლატარიას [12] განსაზღვრებიდან ჩანს. აქ ძირითადად თაბაშირის მარილის სახითაც წარმოდგენილი.

მთლიანი ქიმიური ანალიზის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მდელოს ყავისფერ ნიადაგებს ძირითად ჟანგეულთა განაწილების მიხედვით პროფილში მცველობით დიფერენციალურად არ ახასიათებს.

დასკვნები

1. მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგები წარმოქმნილია მეოთხეულ-ტერიგენულ კარბონატულ ნაფენებზე. ეს ნიადაგები განვითარებულია აუმულაციურ გეომორფოლოგიურ ელემენტებზე და გენეზისურადაა დაკავშირებული დაბლობის მეზოფიტური ტყის ნიადაგების განვითარებასთან.

2. მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგები ფულვომეტავასთან შედარებით პუმინისმჟავას მეტი რაოდენობით შეიცავენ და მასში მეტი რაოდენობი

така фракция II фракция. Алюминиево-алюминатные фракции в почве, кроме алюминия, содержат и другие элементы, включая магний, кальций, калий, натрий, хлориды и т. д.

3. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и магния, включают в себя фракцию III, состоящую из алюминия и кальция.

4. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию IV, состоящую из алюминия и кальция.

5. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию V, состоящую из алюминия и кальция.

6. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию VI, состоящую из алюминия и кальция.

7. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию VII, состоящую из алюминия и кальция.

8. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию VIII, состоящую из алюминия и кальция.

9. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию IX, состоящую из алюминия и кальция.

10. Насыщенные гидроксидами алюминия фракции (1,16-доля 1,18-доли), состоящие из алюминия и кальция, включают в себя фракцию X, состоящую из алюминия и кальция.

МИНДЕЛИ К. В.

МАТЕРИАЛЫ ПО ИЗУЧЕНИЮ КОЛЛОИДНО-МИНЕРАЛОГИЧЕСКОГО СОСТАВА ЛУГОВО-КОРИЧНЕВЫХ ПОЧВ МУХРАНИ

Резюме

Лугово-коричневые почвы Мухрани развиты на аккумулятивных геоморфологических элементах на четвертичных-теригенных карбонатных отложениях. В этих почвах количественно преобладают фульвокислоты. В составе гумусной и фульвокислот этой почвы превалирует II фракция.

Отношения $\frac{C_e}{C_{\phi}}$ колеблется в пределах от 1,16 до 1,18%, чем они походят на лугово-степные почвы.

Согласно микроскопического анализа, в данной почве встречаем: кварц, плагиоклаз, моноклинный пироксен, раговую обманку, лимонитизированный биомит, обугленные растительные остатки, циркон и единичные зерна опала. Отношение в почвенном профиле — стабильное. Отношение в вертикальном профиле почвы уменьшается с глубиной, что указывает на соответственное уменьшение количества гидроокиси железа.

По термическим определениям вертикальный профиль лугово-коричневых почв характеризуется следующим распределением вторичных минералов:

В 0—10 см, слое в основном встречаем гидроокись железа, биомит и диаспор.

В 65—75 см слое только гидромагит.

В 120—130 см слое же монтморилонит и др.

ЛІТЕРАТУРА

1. Александрова Л. Н. — Гумус как система полимерных соединений. М.—Л., 1949.
2. Александрова Л. Н. — Современные представления о природе гумусовых веществ и их органо-минеральных производных. М., 1962.
3. Бельчикова Н. П. — Некоторые закономерности содержания, состава гумуса и свойств гуминовых кислот в главнейших группах почв Союза ССР. М., 1951.
4. Викулов М. Ф. — Методическое руководство по петрографо-минералогическому изучению глин. Государственное научно-техническое издательство литературы по геологии и охране недр. Москва, 1957.
5. С. С. Федорова, А. Т. Смирнова, А. В. Смирнова — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1964.
6. С. С. Федорова, А. Т. Смирнова — Биодеградация почв в Краснодарском крае. Краснодар, 1961.
7. Герасимов И. П. — Коричневые почвы сухих лесов и кустарниковых лугостепей. Материалы по географии и картографии почв СССР. Тр. почвенного инст-та им. В. В. Докучаева, т. XXX, 1948.
8. Герасимов И. П., Глазовская — Основы почвоведения и географии почв. М., 1960.
9. Горбунов Н. И. — Основы почвоведения и географии почв. М., 1960.
10. З. А. Задорожная — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1957.
11. Кононова М. М. — Органическое вещество почвы. М., 1963.
12. А. Т. Смирнова — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1963.
13. А. Т. Смирнова — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1963.
14. А. Т. Смирнова — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1963.
15. Б. К. Шишов — Многолетние наблюдения за гумусацией почв в Краснодарском крае. Краснодар, 1950.

16. ნაკაშიძე ლ.—აღმოსავლეთ საქართველოს ტყის ყომრალი ნიადაგების მეორადი მინერალების აგრონომიული მნიშვნელობისათვის. საქ. სას.-სამ. ინსტ. ჟრ. ტ. XXXV 1951.
 17. Парфенова Е. И., Ярилова Е. А. — Минералогические исследования в почвоведении. М., 1962.
 18. Понамарева Г. М., Антипов-Каратайев — Почвы степных типов почвообразования, развитые на изверженых кристаллических породах (опыт количественной обработки аналитических материалов). М.—Л., 1953.
 19. Сабашвили М. Н. — Почвы лесостепных районов Грузии. М., 1957.
 20. ტალახაძე გ.—საქართველოს ზემოწები. თბ., 1962.
 21. ტალახაძე გ.—საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპები. თბ., 1964.
 22. Тарасашвили Г. М., Латария В. Н.—Влияние полевых культур и травосмесей на изменение структуры орошаемых коричневых почв. Жур. «Почвоведение». № 7, 1957.
 23. Тюрин И. В. — Некоторые результаты работ по сравнительному изучению состава гумуса в почвах СССР. М., 1951.
 24. თორთლაძე დ.—მუხრანის მეურნეობის ნიადაგები (საკანდიდატო დისერტაცია), 1939.
 25. Фридланд В. М. — Опыт почвенно-географического разделения Кавказа. М., 1957.
 26. Шуригина А. — Минералогическая характеристика илистой фракции черноземов Каменной Степи. М., 1953.
 27. Ярилова Е. А. — Преобразование минералов сиенита на первых стадиях почвообразования. М.—Л., 1950.
-

შეკვეთის წილი და მიზანის მიზანის
სამსახურის სამსახური ინსტიტუტის გამოშვები, ტ. LXV, 1965 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, т. LXV. 1965 г.

დოც. ი. ნაკაბიძე

ზოგიერთი გამოკვლევა ვაჟას ქლოროზის გამომვავა მიზანის დაზღვისათვის

1. ვაჟის ქლოროზის გარეგნის ნიშნები

ქლოროზის შესწავლის პროცესში გადამწყვეტია მისი წარმოშობის
მიზეზების გამოკვლევა, რაზეც დამოკიდებულია ბრიოლის ლონისძიებების გა-
მომუშავება და პროცესის გატარება.

ქლოროზის გამომწყვევი მიზეზების გამოვლინების საფუძველს წარმოად-
გენს მასთან დაკავშირებით იმ ცვლილებების აღრიცხვა და ბუნების გაგება,
რომლებიც მიმდინარეობენ მცენარეში. ამიტომ ჩვენს გამოკვლევაშიც ძირი-
თადი ყურადღება მივაჭირეთ მათ შესწავლას. დღეისათვის დადგენილია ქლო-
როზის მიერ მცენარეში გამოწვეული მოოფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიო-
ქიმიური და ანატომიური ცვლილებები.

ქლოროზის საერთო გარეგნული ნიშნებია ფოთლების გაყვითლება, რაც
ხშირად იწყება ზრდის წერტილიდან და თანდათანობით ვრცელდება მცენა-
რის ქვედა იარუსის ფოთლებზე. ქლოროზით ძლიერი დაზანების შემთხვევაში
მცენარის მთელი ვარჯი ყვითლდება, თანაც ყვითელ შეფერვას იღებს არა
მარტო ფოთლის ფირფიტა, არამედ მისი ძარღვები, ახალგაზრდა ნაზარდე-
ბი და ყურძნის მტევნებიც კი.

ფოთლების ნათლად გამოხატული ყვითელი შეფერვა ვლინდება მსხმი-
არობის ასაკში ვაზის შესვლის შემდეგ. თუმცა გამორიცხული არა უფრო
ადრეც.

ვეგიტაციის პერიოდში ფოთლების გაყვითლება იწყება ფოთლებისა და
ყლორტების აქტიური ზრდის ფაზაში და თანდათანობით ძლიერდება ვარჯის მო-
ცულობის და ნაყოფის სიმსხოს ზრდასთან ერთად. ფოთლების ნათელი ყვითელი
შეფერვა განსაკუთრებით შენიშნულია ნაყოფის გაძლიერებული ზრდის ფაზაში,
შემდეგ კი ყლორტების ზრდის დამთავრებასთან ერთად, უფრო შეტად ნაყო-
ფის ზრდის დასასრულიდან იწყება გამწვანება და ნაყოფის დამწიფების და-
საწყისისათვის ისინი მთლიანად მწვანე შეფერვას ღებულობენ; გამწვანება იწ-
ყება ფოთლის ყუნწიდან და თანდათანობით ვრცელდება ნაპირებისაკენ.

ქლოროზით ძლიერი დაზანების შემთხვევაში ფოთლის ნაპირები ხმება
და ყავისფერ შეფერვას იღებს. მცენარის ზრდა თანდათანობით ნელდება და

გაზაფხულზე, ყლორტების უმნიშვნელო ზრდის შემდეგ, სრულიად წყდება, რის შედეგად მუხლთშორისები მოკლდება, ნაყოფმსხმოიარობა ეცემა და ნაყოფის სიმსხო მცირდება, თესლი ზრდადაუსრულებელია, ბუსუსა ფესვების წარმოქმნა ფერხდება. ფესვების დატოტვა მცირდება, ამასთან ხორცლიანი და ადვილად მტვრევადი (მყიფე) ხდება, ზოგჯერ ფესვის ბოლოები მთლიანად ხმება, ფესვების შეფერვა იცვლება ნათელი ნაცრისფერიდან მუქ შავამდე, თანაც ფესვების დაზიანების ყველა ამ ნიშნის გამოვლინება იწყება ვაზის ფოთლების გაყვითლებამდე ძევრად უფრო ადრე. ფესვების დაზიანების ხარისხსა და ქლოროზის ინტენსივობას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება — რაც უფრო ძლიერაა დაზიანებული ფესვები, მით უფრო ძლიერია ფოთლების გაყვითლება.

ქლოროზის გავლენით მცენარე თანდათან კნინდება, ვარჯის მოცულობა მცირდება, თანდათანობით კარგავს სასიცოცხლო ფუნქციებს და ბოლოს იღუპება. მცენარის ორგანიზმის ერთბაშად კვდომას ქლოროზის შემთხვევაში ადგილი არა აქვს, რაც მავნე ნივთიერებებით მოწამელის შემთხვევაში აღინიშნება.

ქლოროზის გარეგნული ნიშნების გამოვლინების ინტენსივობა უცვლელი არა — ზოგიერთ წელს ძლიერ მეღაენდება, ხოლო ზოგჯერ სუსტად, რაც წლების მიხედვით ნიადაგური პირობების ცვალებადობით უნდა აიხსნას.

გარეგნული ნიშნების გამოვლინების ვადები დამოკიდებულია მცენარის ვეგეტაციის დაწყებაზე და ისინი ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევიან. მაგალითად, ვაზის სააღრეო ჯიშებზე — პინო-შავსა და ალიგოტეზე გარეგანი ნიშნები 20—30 დღით ადრე ვლინდება, ვიდრე საგვიანო ჯიშ საფერავზე (ცხრ. 1).

ცხრილი 1

ქლოროზის გარეგანი ნიშნების გამოვლინების ვადები ვეგეტაციის დაწყებასთან დაკავშირებით

| ვაზის ჯიში | ვეგეტაციის დასაწყისი | | ქლოროზის გამოვლინების დასაწყისი | |
|--|----------------------|---------|---------------------------------|---------|
| | 1955 წ. | 1956 წ. | 1955 წ. | 1956 წ. |
| პინო-შავი — რიპარია X რუპესტრის 3309 . . . | 20.III | 10.III | 10.V | 20.V |
| ალიგოტე — რიპარია X რუპესტრის 3309 . . . | 27.III | 5.IV | 20.V | 5.VI |
| საფერავი — რიპარია X რუპესტრის 3309 . . . | 16.IV | 30.IV | 20.VI | 29.VI |

ქლოროზის გარეგანი ნიშნები, როგორც წესი, ვლინდება ვაზის დარგვიდან მეორე წელს, თანდათანობით ძლიერდება და მკვეთრად მეღაენდება მსხმოიარობაში შესვლის (3—4 წელი) შემდეგ და ნაყოფმსხმოიარობის დონის შესაბამისად, რაც მცენარის მიერ საკვები ნივთიერების ხარჯვის ინტენსივობით აიხსნება.

2. საკვები ნივთიერებების ნაკლებობის გარეშელი
ნივთიერების ვაზაზ

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს განსაზღვრავს არა მარტო წიაღაგში მცენარისათვის საჭირო საკვები ელემენტების ხსნადი ფორმების აბსოლუტური რაოდენობა, არამედ მასთან ერთად ფესვთა სისტემის განვითარების პირობები — წყლოვანი და აერობული რეჟიმი. ზოგჯერ ნიადაგში მცენარისათვის შესაფისებელი საკვები ნივთიერებები საკმაო რაოდენობითაა, მაგრამ ფესვთა სისტემის განვითარებისათვის ფიზიკური, წყლოვანი და აერობული რეჟიმი ცუდია, რის გამო ფესვები ზიანდება და მცენარეში მათი შესვლა ფერხდება, ე. ი. მცენარე განიცდის საკვები ნივთიერებების ნაკლებობას, რაც გარეგნული ნიშნებით შეღავნდება, მაგალითად, საქართველოს ზოგიერთ რაიონში მდელოს ყავისფერ, კარბონატულ, დაწიდულ ნიადაგებს ახასიათებს მაღალი მოცულობითი და ხვედრითი წონა, მცირე ფორმიანობა, ცუდი სტრუქტურა და დაბალი ფილტრაციის უნარი, ე. ი. არახელსაყრელი აერობული რეჟიმი. ამის გამო მასი წყალგამტარობის უნარი ძალზე შემცირდებულია. ამიტომ გაზაფხულზე ხშირი წვიმებისა და ძლიერი მორწყვის შედეგად, წყალი გროვდება მცენარის ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში, მცირდება ფანგბადის რაოდენობა ნიადაგში და პირველ რიგში ზიანდებიან ბუსუსა, ხოლო შეიძეგ საკვები ნივთიერებების შემწოდი ძირითადი ფესვები. ამით კი მცენარეში საკვები ნივთიერებების შესვლა ფერხდება. ასეთ ნიადაგებზე ვაზი სისტემატურად იჩავრება ქლოროზით და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დასუსტების შემდეგ იღუპება.

მცენარის მინერალური შედგენილობა ძალზე იცვლება ქვების რეჟიმის დარღვევისას. ქლოროზის გამოვლინების შემთხვევაში მცირდება ქლოროფილის შემცველობა და დიდდება ანტოციანური პიგმენტების რაოდენობა. ზოგჯერ კირის სიჭარით გამოწვეული ქლოროზი რკინის ნაკლებობის შედეგი არაა, მას თან ახლავს საკვებ ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევა.

ანალიზებით დადგენილია ქლოროზით დაზიანებულ მცენარეში რკინისა და სხვა საკვები ნივთიერებების მეტი რაოდენობა ჯანსაღთან შედარებით. მაგალითად, ა. დემელონის [10] მონაცემებით, ქლოროზიან პრასში მთელი რიგი საკვები ნივთიერებები უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჯანსაღში (ცხრ. 2).

ცხრილი 2

ქლოროზიანი და ჯანსაღი პრასის ანალიზის შედეგები

| | ელემენტების შემცველობა | | | | | F ₂ | Mn | Zn |
|------------------------------|------------------------|-------------------------------|-----|-----|------------------|----------------|----|------|
| | N | P ₂ O ₅ | CaO | MgO | K ₂ O | | | |
| ქლოროზიანი მცენარე | 3,7 | 0,96 | 2,7 | 0,5 | 5,3 | 230 | 9 | 110, |
| ჯანსაღი მცენარე | 8,7 | 0,43 | 2,3 | 0,4 | 2,6 | 210 | 12 | 45 |

მე-2 ცხრილიდან ირკვევა, რომ ქლოროზიანი პრასი უფრო მდიდარია აზოტით, ფოსფორით, კალიუმით, თუთიით, კალციუმით, რკინით და მაგნიუმით, ვიდრე ჯანსაღი.

ანალოგიური შედეგები მიიღეს ვაზის კულტურაზე ე. მაკარევსკაიამ, და ე. მიქელაძემ [13], ე. მაკარევსკაიამ, მ. ჭრელაშვილმა და ე. მიქელაძემ [14], მ. ჭრელაშვილმა და თ. ექველმა, [4], ე. კოდენკომ [11], ბ. გერასიმოვმა [7, 8, 9], გ. კრისტმა, ა. ულბრიხიშვილი (1960), თ. დევისონმა და პ. იუტკინსმა (1957), პ. თავაძემ [1923] და სხვ.

ჩვენი მონაცემებით, ქლოროზიანი ვაზების ფოთლები მეტი რაოდენობით შეიცავენ მთელ რიგ ელემენტებს (ცხრ. 3).

ქლოროზიან ვაზებში ზოგიერთი საკვები ელემენტის მეტი რაოდენობით არსებობის ასახსნელად ა. დემელონი აღნიშნავს: „ქლოროზის გავლენით რაღაც მცენარის განვითარება შეფერხებულია, ის მცირე რაოდენობით, მაგრამ ბაინც აგრძელებს საკვების შეთვისებას, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ეს საკვები ელემენტები შედიან დაავალებულ მცენარეებში უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ჯანსაღში“. ასეთივე აზრისაა გ. კრისტმი და ა. ულბრიხიშვილი: „ნიადაგში საკვები ნივთიერებების საკმაო რაოდენობით არსებობისას და ვაზის დაბალი ტემპით ზრდის შემთხვევაში, საკვები ნივთიერებების შემცველობა მცენარეში ჩვეულებრივ მაღალია“.

მაშასადამე, ქლოროზი იწვევს ნივთიერებათა ცვლის რეჟიმის დარღვევას და მცენარეში მცირე რაოდენობით შესული საკვები ნივთიერებები არ ხმარდება ახალი ორგანული შენაერთების წარმოქმნას. ამიტომ მათი რაოდენობა ქლოროზიან ფოთლებში იუცილებლად მეტი უნდა იყოს ჯანსაღთან შედარებით, ცნობილია ისიც, რომ, რაც უფრო ძლიერია მცენარის ზრდის ტემპი, მით ნაკლებია მის ორგანიზმის საკვები ნივთიერების შემცველობა, ესე იგი, რაკი ქლოროზიანი ვაზების ზრდა შეჩრებულია, ამიტომ საკვები ელემენტების შემცველობა მათში ბევრად მეტი უნდა იყოს.

ქლოროზიანი ვაზის ფოთლის ანალიზის შემთხვევაში საზღვრავენ საკვები ელემენტების საერთო რაოდენობას, მაგრამ იგი არ იძლევა წარმოდგენას მცენარის მიერ კვებისათვის მათი გამოყენების დონეზე. შესაძლოა ამ ელემენტებს უმეტესი ნაწილი მცენარის კვებისათვის გამოყენებელ ფორმებში იმყოფებოდეს. უჯრედის წვერის ტუტე რეაქციის გამო მცენარეში საკვები ნივთიერებები შეიძლება უხსნად ფორმებში და კვებისათვის გამოყენებელი იყოს ამიტომ ქლოროზიან ვაზებში საკვები ელემენტების ხსნადი ფორმების შესწავლა უთუოდ მოგვცემს წარმოდგენას მცენარის კვების დონეზე. თუ ვაზი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქლოროზით არის დაავადებული, მასში დარღვეულია ნივთიერებათა ცვლის პროცესი, რის გამოც ადგილი აქვს საკვები ნივთიერებების მეტი რაოდენობით დაგროვებას ჯანსაღ მცენარესთან შედარებით. სავარაუდებელია, რომ ქლოროზის საწყის ფაზაში ვაზის ფოთლებში უფრო მეტი საკვები ნივთიერებები აღმოჩნდება. ამდენად ქლოროზით საკმაო ხნის განმავლობაში დაავადებული ვაზის ფოთლის ანალიზი არ გამოდგება კვების დიაგნოსტიკის დასადგენად, მაშინ როდესაც ჯანსაღ მცენარეებში აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება კვების დონის შესაფასებლად.

ସାଙ୍ଗେଦି ଉଲ୍ଲମ୍ବିତ କ୍ଷେତ୍ରରେ ଉପରେଣେଣବା ସାଙ୍ଗ ଓ କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣ ପାଇଁ ଉତ୍ତରାଳେଖଣ

| ପାଇଁର ପାଇଁ | କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣ ଲାଶିବା- ନ୍ତିବା | ନାଇରୋ (%) | SiO ₂ (%) | ଲୋହରେଣେଣ ପାଇଁ (%) | P ₂ O ₅ (%) | ଲୋହରେଣେଣ ପାଇଁ (%) | K ₂ O (%) | SO ₄ (%) | ଲୋହରେଣେଣ ପାଇଁ (%) | କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣ ପାଇଁ (%) | ବିଜ୍ଞାନ ଓ ପତ୍ରିକା |
|--|--------------------------------|-----------|----------------------|----------------------|-----------------------------------|----------------------|----------------------|---------------------|----------------------|--------------------------|----------------------|
| ଶିଖି—ରିପାରିଂ X ରୁପ୍‌ସ୍ଟ୍ରାଇସ 3309 . . . | ବେଲୀ | 6,99 | 0,49 | 2,57 | 0,39 | 0,59 | 0,82 | 0,014 | 0,056 | 0,014 | 12,68 |
| " " * * * * | କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣି | 7,67 | 0,68 | 2,85 | 0,46 | 0,70 | 0,95 | 0,015 | 0,083 | 0,019 | 17,33 |
| ଅଲିଗ୍ଟରେ—ରିପାରିଂ X ରୁପ୍‌ସ୍ଟ୍ରାଇସ 3309 . . . | ବେଲୀ | 10,11 | 1,03 | 2,70 | 0,43 | 0,59 | 1,07 | 0,042 | 0,026 | 0,021 | 14,07 |
| " " * * * * | କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣି | 11,27 | 1,13 | 3,03 | 0,58 | 0,69 | 0,87 | 0,045 | 0,038 | 0,022 | 18,37 |
| ପଲ୍‌ଯୁର୍‌ରୁଗ୍ରୋ—ରିପାରିଂ X ରୁପ୍‌ସ୍ଟ୍ରାଇସ 3309 . . . | ବେଲୀ | 9,38 | 1,24 | 2,54 | 0,60 | 0,38 | 1,06 | 0,013 | 0,023 | 0,019 | 16,02 |
| " " * * * * | କ୍ଷେତ୍ରରେଣେଣି | 11,33 | 1,74 | 2,92 | 0,68 | 0,41 | 1,39 | 0,016 | 0,037 | 0,018 | 12,79 |

ამ შემთხვევაში უფრო საიმედო მეთოდია საკვები ნივთიერებების ნაკლებლობის გარევნული ნიშნების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზე უნდა გაირკვეს ის მიზეზები, როდებიც იწვევენ საკვების შესვლის შევერტებას მცენარეზი.

საკვები ნივთიერებების ნაკლებლობის ვიზუალური სიმპტომები იცვლება მცენარის სახეობისა და მისი განვითარების ფაზების მიხედვით. ზოგჯერ ეს სიმპტომები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით და ერთმანეთს ძალზე გვანან, რის გამოც ხშირია შეცდომები დაგნოსტიკაში. მაგალითად, წყლის ნაკლებობის სიმპტომები ძალზე წაგავს აზოტის, ხოლო ზოგჯერ მანგანუმის ნაკლებობის ნიშნებს. ამიტომ აუცილებელია ცალქეული საკვები ნივთიერებების ნაკლებლობის სიმპტომების გულდასმით შესწავლა. მცენარეში წყლის ნაკლებობას თან ახლავს აგრეთვე საკვების ნაკლებლობის ნიშნები, რადგან პირველის შემცირებული რაოდენობით შესვლისას მცირდება მეორეს შეფარისება. ვაზის ფოთლების გაყვითლება, რაც ქლოროფილის ჭარმოქმნისათვის საჭირო პირობების დარღვევის შედეგია, შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე საკვები ელემენტის ან ერთი რომელიმე მათგანის ნაკლებლობით მცენარეზი. აქ მთავარია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ელემენტის ნაკლებლობით გამოწვეული ფოთლების გაყვითლების სიმპტომები მცენარის განვითარების ერთსა და იმავე ფაზებსა და ფორმებში არ ვლინდება, ამიტომ ყველა ამ შომენტის დაწვრილებითი შესწავლა საშუალებას იძლევა დაგადგინოთ, თუ რომელი ელემენტის ნაკლებობით არის გამოწვეული ვაზის ქლოროზი და ამის საფუძველზე განვსაზღვროთ, ერთი მხრივ, მცენარეში მისი შესვლის შეფარისების მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ, ბრძოლის ღონისძიებები.

საკვები ნივთიერებების ნაკლებობის შედეგად პირველ რიგში იცვლება მცენარის ფოთლის შეფერვა და ფოთლის სიდიდე, ხოლო შემდეგ ვარჯის მოცულობა, ნაყოფის ხარისხი და ა. შ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემონებაც, რომ ფოთლის შეფერვის შეცვლა, გარდა საკვები ნივთიერებების ნაკლებლობისა, შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგისა და პარას დაბალი ტეპერატურით, წყლის ნაკლებობით ან სიჭარბით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებით. ავაღმყოფობით და სხვა მიზეზით. ამიტომ მთავარია საკვები ნივთიერებების ნაკლებობით გამოწვეული ნიშნების უშეცდომიდ გარჩევა სხვა მიზეზებისაგან, რადგან მასზეა დამოკიდებული ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხასიათი.

საკვები ნივთიერებების ნაკლებობის გარეგანი ნიშნების გამოვლინება დაკაცუნირებულია მცენარის მიერ მათი შეფარისების ინტენსივობაზე. კერძოდ, ამა თუ იმ საკვები ელემენტის ნაკლებობის გარეგანი ნიშნები მაშინ არის მკეთრად გამოხატული, როცა მას მცენარე ინტენსიურად ითვალისწინებს, ხოლო მისი შენელების შემდეგ საკვების ნაკლებლობის გარეგანი ნიშნები ფოთლებზე თანაბათანობით სუსტდება და ვაზის ქლოროზი ერთგვარად ინილებება. ამა თუ იმ საკვები ელემენტის ნაკლებობა მცენარის ფოთლებზე მეღავნდება სხვადასხვა ნიშნებით და ხშირად ისინი სხვა მცენარის ფოთლებზე არ მეორდებიან. ასე, მაგალითად, ნახშირბადის, წყალბადისა და ქანგბადის ნაკლებობის გარეგანი ნიშნები ვაზის ფოთლებზე ჯერ კიდევ არაა აღნიშნული, რაც აისსნება მცენარეზი ამ ელემენტების საქმაო რაოდენობით არსებობით.

ნახშირბადს მცენარე იღებს ატმოსფეროსა და ნიადაგიდან, სადაც მისი მარაგი საკმაო რაოდენობითაა და ამ მხრივ შეფერხებას არ აქვს ადგილი თუმცა მრავალრიცხვები ცდებით დადგენილია ატმოსფეროსა და ნიადაგში ნახშირორეგანგის გადიდებით ფოტოსინთეზის ინტენსივობის გაძლიერება და მოსავლის გადიდება.

მცენარე თავის კვებისათვის საჭირო რაოდენობის ფანგბადსა და წყალბადს იღებს წყლიდან და ნახშირორეგანგიდან. ამიტომ ნიადაგში წყლის ნაკლებობის დროს გაყვითლებას იწყებენ ქვედა იარუსის ფოთლები. რაც თანდათანობით გადაეცემა ზედა იარუსებს, ხოლო ქვედა ფოთლები ჰქონებიან და ხმებიან. წყლის ნაკლებობის ყველა ეს ნიშანი რასაკვირველია, კაშირშია არა მარტო წყალბადით, არამედ მასთან ერთად სხვა საკვები ელემენტებით მცენარის მომარაგებასთან, რომლებსაც იგი იღებს ნიადაგიდან ფესვების მეშვეობით. მაშასადამე, მცენარეში წყლის ნაკლებობისას ჟელავნდება მოელი რიგი საკვები ელემენტების ნაკლებობის გარეგანი ნიშნებიც, ამიტომ მცენარეში მისი სიმცირე უნდა განვიხილოთ აზოტისა და ნაცრის ელემენტების ნაკლებობასთან ერთად.

აზოტი, როგორც ცნობილია, შედის ცილების, ამინომჟავების, ფერმენტების, ძლკალოიდების, ვიტამინების და ზრდის ნივთიერებების შედგენილობაში. მას შეიცავს აგრეთვე ქლოროფილი ცილოვანი შენაერთის სახით. ამიტომ ქლოროფილის წარმოქმნაში აზოტი განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

აზოტის ნაკლებობის ნიშნები ვაზზე მელავნდება ინტენსიური ზრდის ფაზაში, ე. ი. ყლორტების წარმოქმნის, ყვავილობისა და ნაყოფის დამსხვილების პერიოდში. აზოტის ნაკლებობის საერთო ნიშანია მცენარის მთელი ფოთლების მომწვანო-მოყვითალო შეფერვა, ლერწზე ქვედა ფოთლების გაყვითლების ნიშნები იწყება უფრო ადრე და აზოტის ნაკლებობის გაძლიერებასთან ერთად იგი ზედა ფოთლებზეც გადალის, აზოტის უკიდურესი სიმცირის შემთხვევაში ფოთლები იღებს ნათელ ყვითელ შეფერვას (სურ. 1), ხოლო ქვედა ფოთლები იწყებენ ხმობას. აზოტის ნაკლებობისას ფოთლების ფართი მცირდება, ნაყოფმსხმოიარობა ეცემა, მტევნის სიდიდუ კლებულობს. ნაყოფში თესლი განუვითარებელია, მცენარის ზრდა სუსტდება და ადრე წყდება. მუხლოთშორისები მოკლდება.

აზოტის ნაკლებობის ნიშნები ძალზე წააგავს წყლის ნაკლებობისას.

ფოსფორის ნაკლებობის ნიშნები იწყება ყურძნის დამწიფების ფაზის დადგომასთან ერთად და თანდათანობით ცლიერდება. ფოსფორის ნაკლებობის დასაწყისის ფაზაში ფოთოლი იღებს არანორმალურ მუქ მწვანე შეფერვას, ხოლო უფრო გვიან ფაზაში წარმოიშვება წითელი ლაქები, რომებიც თანდათანობით ფართოვდებიან და ფარავნ ფოთოლს (სურ. 2).

ფოსფორის ნაკლებობის ნიშნები იწყება ყლორტის ბოლო ფოთლებიდან და თანდათანობით გადაეცემა ქვედა იარუსებს.

კალიუმის ნაკლებობის ნიშნები ვაზზე ვლინდება მცენარის გაძლიერებული ზრდისა და ყურძნის მარცვლების დამსხვილების ფაზაში. ნაკლებობის ნიშნები იწყება ყლორტის ქვედა იარუსის ფოთლებიდან და თან-

დათანობით გადადის ახალგაზრდა ფოთლებზე. ფოთლები ჯერ მოყვითალო შეფერილობას იღებენ, ხოლო შემდეგ მათ ნაპირებზე წარმოიშვება ნეკროზისებრი გამხმარი აღგილები, რომლებიც თანდათანობით ფართოვდებიან, რის გამოც ხმებიან და ცვივიან (სურ. 3).

გოგირდის ნაკლებობის სიმპტომები, როგორც ბოლტონი მიუთითებს, ძალიან წააგავს აზოტის ნაკლებობისას. ამ დროს მცენარის ზრდა ნელდება, ფოთლები იღებს ნათელ მწვანე ან ყვითელ შეფერვას. განსხვავებით აზოტის ნაკლებობის ნიშნებისა, გოგირდის სიმცირის დროს არ ხმება ქვედა ფოთლები.

რკინის ნაკლებობის ნიშნები ვლინდება მცენარის ინტენსიური ზრდის დაწყებიდან და თანდათანობით ძლიერდება ყურძნის სიმწიფის ფაზის დაწყებამდე. ნიშნები მეღამდება ყლორტის ბოლო ფოთლებზე და თანდათანობით გადადის ქვედაზე. ფოთლი მკვეთრად გამოხატული ყვითელი შეფერილობისაა. ამასთან პირველ ხანებში ყვითლება მისი ფირფიტა, ხოლო ძარღვები სიმპტომების გაძლიერებამდე ინარჩუნებენ მწვანე შეფერვას. ზოგჯერ ახალგაზრდა მტევანი იღებს ყვითელ შეფერვას (სურ. 4 და 5). ნაყოფის მომწიფების ფაზის დაგვომის შემდეგ ფოთლის ყურძნიდან იწყება მწვანე შეფერვა, ხოლო ყურძნის სრული სიმწიფის ფაზაში თითქმის სრულ მწვანე შეფერილობას ლებულობს (სურ. 6).

მაგნიუმის ნაკლებობის ნიშნები იწყება ვაზის გაძლიერებული ზრდის ფაზაში. იგი პირველად ვლინდება ველ ფოთლებზე და თანდათან გადადის ახალგაზრდა ზედა იარუსის ფოთლებზე. მაგნიუმის ნაკლებობის ნიშანია ფოთლების გაყვითლება, რითაც ძალზე წააგავს რკინის ნაკლებობისას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში იგი ვლინდება ძველ ფოთლებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ახალგაზრდაზე, გარდა ამისა, მაგნიუმის გაძლიერებული შიმშილის ფაზაში ფოთლებზე წარმოიშვება ნეკროზისებრი მჯგდარი ქსოვილების ლაქები.

ბორის ნაკლებობისას ზედა ფოთლები იჭმუჭნება, იღებს ყვითელ შეფერვას და იწყება ქსოვილების კვდომა, ზრდის წერტილი ადრე ხმება, მუხლთშორისები მოკლდება, მოსავლიანობა ეცემა.

მანგანუმის ნაკლებობის ნიშნები იწყება ყლორტის ბოლო ფოთლებიდან. დასაწყის ფაზაში ისინი იღებენ მკვეთრად გამოხატულ ყვითელ შეფერვას ისე, როგორც რკინის ნაკლებობისას, ოღონდ გვიან ფაზაში ფოთლებზე წარმოიშვება მუქი მწვანე ლაქები, რომლებიც თითქმის მთლიანად ფარავნ ყვითელ შეფერვას (სურ. 7).


კალციუმის ნაკლებობის ნიშნები გაზებზე არ შეგვინიშნავს. ხელოვნურ კულტურებში იგი აღწერილი აქვთ გ. კრისტს და ა. ულბრიხს (1960). მათი მონაცემებით, გაზებ კალციუმის ნაკლებობის შემთხვევაში ახალგაზრდა ფოთლების ნაპირებიდან წარმოიშვება ქლოროზის ნიშნებით, ე. ი. იწყება გაყვითლება, გვიან ფაზებში კი ჩნდება ძალზე პატარა სილიდის ნეკროზულ ლაქები. აღგილი აქვს ზრდის წერტილების ხმობას.

ნიაღაგიდან შესათვისებელი ისეთი საკვები ელემენტების ნაკლებობა,

1



2



3




4



5

6



7

როგორიცაა თუთია, მოლიბდენი და სპილენძი, ქლოროზიან ვაზებზე არ შეგვინიშვნავს.

საკვები ნივთიერებების ნაკლებობის გარეგანი ნიშნები ქლოროზის დაუდების კერებში აღვწერეთ ერთსა და იმავე ვაზზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მცენარეში მათი შესვლა ფერდება ფესვთა სისტემის დაზიანების გამო, მაშინ როდესაც ამ ელემენტებიდან ნიადაგში შესათვისებელ ფორმებში დიდი რაოდენობით იყო აზოტი, ფოსფორი, კალიუმი და მაგნიუმი, ხოლო მცირედ—ადგილად სნანდი რკინა, მანგანუმი და ბორი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაზის ფოთლების გაყვითლებას, ე. ი. ქლოროზის იწვევს არა მარტო რკინის, არამედ აზოტის, კალიუმის, მაგნიუმის, მანგანუმისა და კალციუმის ნაკლებობაც. ამატომ სავარაუდებელია, რომ ვაზის ქლოროზი შეპირობებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე საკვები ელემენტის შესვლის შეფერხებით მცენარეში, ფესვთა სისტემის დაზიანების გამო.

ნაკრო და მიკროელემენტების ნაკლებობის გარეგანი ნიშნების დადგნის შემდეგ ქლოროზის გაფრცელების კერებზი ავილეთ ნიადაგის მრავალრიცხვანი ნიმუში და ჩავატარეთ მათი ანალიზები. მიღებული შედეგებით ეს ნიადაგები ჭარბი რაოდენობით შეიცვენ ადგილსნად აზოტს, ფოსფორს და კალიუმს, ხოლო წყალსნადი ბორი, ადგილსნადი რკინა და შთანთქმადი მანგანუმი მცირეა. მაშასადამე, ქლოროზიან ვაზში აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის ნაკლებობა არ შეიძლება აიხსნას ნიადაგში მათი მისაწვდომი ფორმების ნაკლებობით. რაც შეეხება რკინისა და მიკროელემენტების ნაკლებობას მცენარეში, იგი ნაწილობრივ გამოწვეული უნდა იყოს მათი მოძრავი ფორმების სიმცირით ნიადაგში.

ჩვენი დაკვირვებით, ქლოროზი გავლენას ახდენს ვაზის თითქმის ყველა ორგანოს მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ანატომიურ შედეგების მიზანით ნიადაგში.

ქლოროზის გავლენით ფოთლის შეფერვისა და ფართის შეცვლა მიზრინარეობს ვაზის დაზიანების ხარისხის შესაბამისად.

ქლოროზის გავლენით სუსტდება აგრეთვე ფოთლებში ასიმილაციის ინტენსივობა ქლოროფილის შემცირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საღვაზის პინო შავის ფოთოლში ქლოროფილის შემცველობა 100 გ მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით უდრიდა 840,5 მგ-ს, ხოლო ქლოროზით საშუალოდ დაზიანებულ ფოთოლში 121,05 მგ-ს.

ქლოროზის გავლენით ფოთლის ანატომიურ აღნაგობაში არსებითი ცვლილება არ აღინიშნება, შენიშნულია მხოლოდ უჯრედების სიდიდის შემცირება.

ელოროზი ცვლის აგრეთვე ყლორტების აღნაგობას. კერძოდ, მცირდება მათი დიამეტრი, სიგრძე და მუხლთშორისის მანძილი.

ქლოროზის შედეგად მცირდება მტევნის და მარცვლის დაზღვევა — იგი იწვევს აგრეთვე ყურძნის სიმჭიდვის დაჩქარებას — მტევნები ახალგაზრდა ასაკში იღებენ მოყვითალო ფერს ქლოროფილის შემცირების გამო. ქლოროზი გავლენას ახდენს ყურძნის მექანიკურ შედგენილობაზეც (ცხრ. 4): მცირდება ორგორუ მტევნის, ისე მარცვლისა და ერთი წიპჭის საშუალო წონა, იზრდება კანისა და წიპჭის შეფარდება მარცვალთან. წიპჭი დაუსრულებელია, ხოლო მოცულობა — შემცირებული.

ვაზის ნაყოფმსხმიარობა ეცემა ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაბამისად. კერძოდ, სუსტად დაზიანების შემთხვევაში ოდნავ მცირდება მოსაცვლიანობა. ასეოთ ვაზის ყურძნის მტევნისა და მარცვლის მოცულობა თითქმის არ განსხვავდება ჯანსაღისაგან, ხოლო ქლოროზით საშუალოდ დაზიანებული ვაზების მტევნებისა მნიშვნელოვნად შემცირებულია. ამასთან ნაკლებია მტევნების რაოდენობა მცენარეზე, შესაბამისადაა შემცირებული წიპჭის მოცულობა, ორმელიც დაუსრულებელია და აღმოცენების უნარი არ გააჩნია.

ცხრილი 4

ქლოროზის გავლენა ყურძნის მექანიკურ შედგენილობაზე ალიგოტე—რიპარია X

× როპესტრის 3309

(1962 წ.)

| მექანიკური ანალიზის მაჩვენებლები | სალი ვაზის ყურძნები | ქლოროზიანი ვაზის ყურძნები |
|--|---------------------|---------------------------|
| ხელი მტევნის წონა (გ) | 461,90 | 151,59 |
| მარცვლის წონა (გ) | 446,69 | 149,19 |
| კლერტის წონა (გ) | 21,21 | 6,39 |
| 100 მარცვლის წონა (გ) | 105,71 | 69,64 |
| 100 მარცვლის კანის წონა (გ) | 16,15 | 11,13 |
| 100 მარცვლის წიპჭის წონა (გ) | 5,82 | 3,03 |
| ერთი წიპჭის საშუალო წონა (გ) | 0,0326 | 0,0171 |
| ერთი მარცვალში წიპჭების საშუალო წონა (გ) | 1,78 | 1,86 |
| კანის შეფარდება მარცვალთან (%) | 1,18 | 4,23 |
| ხორცისა და წვენის შეფარდება მარცვალთან (%) | 79,22 | 76,79 |
| წიპჭის შეფარდება მარცვალთან (%) | 4,87 | 6,39 |

ქლოროზით ძლიერ დაზიანებულ ვაზებზე მსხმიანობა მკვეთრადაა შე-
სუსტებული, ხოლო ზოგჯერ სრულებით არ იძლევიან ნაყოფს. ასეთ ვაზებზე
არსებული თითო-ოროლა მტევანი არანორმალური განვითარებისაა, ხოლო
მისი და მარცვლის მოცულობა მკვეთრადაა შემცირებული. მომაკვდავი ვაზე-
ბი კი, როგორც წესი, ნაყოფს არ იძლევიან.

ქლოროზი არსებით გავლენას არ ახდენს ყურძნისა და ღვინის ხარისხ-
ზე (ცხრ. 5).

ცხრილი 5

ქლოროზის გავლენა ყურძნისა და ღვინის ხარისხზე ალიგოტე—რიპარია X

× რუპესტრის 3309

(1962 წ.)

| შედგენილობა | საღ ვაზის ქლოროზის ყურძნის გაზის ყურძნი |
|--|---|
| ყურძნის საერთო მუავიანობა (%) | 6,5 5,3 |
| ყურძნის შექრიანობა (%) | 21,5 22,0 |
| ღვინის ნაცრიანობა (%) | 1,53 1,44 |
| ღვინის ექსტრაქტი (%) | 25,96 25,41 |
| ღვინის ტანინი (%) | 0,21 0,19 |
| ღვინის ხევდრითი წონა | 0,9913 0,9906 |
| ღვინის ტიტრული მუავიანობა (%) | 7,7 6,6 |
| ღვინის აქროლადი მუავიანობა (%) | 0,49 0,33 |
| ღვინის სიმაგრე (გრალუსობით) | 13,0 13,2 |

ქლოროზი მკვეთრად მოქმედებს ვაზის ფესვთა სისტემის განვითარება-
ზე—დაზიანების ხარისხის შესაბამისად მცირდება ფესვების საერთო წონა, მათი დატოტვა და ბუსუსა ფესვების წარმოქმნის ინტენსივობა— ფესვების განვითარება კლებულობს ნიადაგის სირლმის მიხედვით—ზედა ფენებში მცი-
რე რაოდენობით არსებული ფესვები ქლოროზით დაზიანების შემთხვევაშიც კი თითქმის ნორმალურად ვითარდებიან, ხოლო სიღრმეში დაზიანება ძლიერ-
დება. ნიადაგის ზედა ფენებში ფესვების შეფერვა ყვავისფერია, ხოლო სიღრ-
მეში თანდათან გადადის შავ ფერში. ამასთან მათი დატოტვა მცირდება და ბუსუსა ფესვების წარმოქმნა მინიშუმამდე ეცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფე-
სვების დაზიანება წინ უსწრებს ვაზის ფოთლებზე ქლოროზის ნიშნების გამო-
ვლინებას.

ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაბამისად მცირდება ვაზის ვარჯის
მოცულობა და ყლორტების ზრდის ტემპი. სუსტად დაზიანებულ ვაზებზე
ყლორტების ზრდა ოდნავ შენელებულია, საშუალოდ დაზიანებულზე— მნიშვ-
ნელოვნად, ხოლო ძლიერ დაზიანებულზე— მკვეთრად. მომაკვდავ ვაზებზე შე-
ნიშნულია ყლორტების უმნიშვნელო ზრდა ვაზაფესულზე, რაც ადრე წყდება.
10. შრომები, ტ. LXV, 1965.

მცენარეში მომხდარი ზემოთ აღნიშნული ცვლილებები მოწმობენ, რომ ქლოროზის გავლენით გაზი თანდათანობით კარგაցს სასიცოცხლო ფუნქციებს და ილუპება, რაც მცენარეში საკვები ნივთიერებების შესვლის თანდათანობით შემცირება აიხსნას.

3. ფესვთა სისტემის თავისებურობის გავლენა ძლიერობით ვაჭის დაზიანების წილის ვოგაზე

სათანადო გამოკვლევებით დავადგინეთ, რომ რაც უფრო ძლიერია საძირის ფესვთა სისტემა, მისი დატოტვა და ბუსუსა ფესვების წარმოქმნა, მით უფრო გამდლეა იგი ქლოროზისადმი, რადგან დიდი რაოდენობით საკვები ნივთიერებები შეითვისება საერთოდ და განსაკუთრებით ნიაღავის ზედა ფენიდან, სადაც ასე თუ ისე ნორმალური პირობებია.

დ. პრიანიშნიკოვისა [22] და მისი მოწაფეების გამოკვლევებით ძნელად ხსნადი შენაერთებიდან საკვები ნივთიერებების შეთვისების უნარი შეპირობებულია მცენარის ფესვების გამონაყოფის მუავიანობით. ამასთან დაკავშირებით ვაზბუკაიას მიხედვით [5] შევისწავლეთ რიპარია \times რუპესტრის 3309, რიპარია \times რუპესტრის 101, 14, ბერლანდიერი \times რიპარია 5 ბბ და რუპესტრის დიულოს ფესვების გამონაყოფის მუავიანობა, რასაც გამოვხატავდთ ლიმონის მუავაში (ცხრ. 6).

ბერლანდიერი \times რიპარია 5 ბბ-სა და რუპესტრის-დიულოს ფესვების გამონაყოფის მუავიანობა თითქმის 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე რიპარია \times რუპესტრის 3309-ისა და რიპარია \times რუპესტრის 101, 14-ისა.

ცხრილი 6

სხვადასხვა საძირის ფესვების გამონაყოფის მუავიანობა
(ლიმონის მუავა 100 გ ფესვზე)

| ს ა ძ ი რ ე | ფესვის გამონაყოფის მუავიანობა (g) | ქლოროზისადმი გამდლება (g) |
|--|-----------------------------------|---------------------------|
| ბერლანდიერი \times რიპარია 5 ბბ | 0,491 | გამდლება |
| რუპესტრის დიულო | 0,485 | " |
| რიპარია \times რუპესტრის 3309 | 0,236 | სუსტ. გამდლება |
| რიპარია \times რუპესტრის 101, 14 | 0,274 | " |

როგორც აღვნიშნეთ, ბერლანდიერი \times რიპარია 5 ბბ და რუპესტრის დიულო ქლოროზისადმი მაღალ გამდლეობას ამჟღავნებენ, ხოლო ორი უკანასკნელი ნაკლებად გამდლება.

მაშასადამე, ქლოროზისადმი გამდლეობა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ფესვის მუავე გამონაყოფით, რომელიც გამხსნელად მოქმედებს კარბონატულ

ნიადაგებში არსებული ძნელად ხსნადი რკინისა და მიკროელემენტების შენაერთებზე.

4. ვესვთა სისტემის აპტივობის შეფასება ვაჭის „ტირილის“ გათოლით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაზის ქლოროზის გამომწვევ ძირითად მიზეზად მიგვაჩინია მცენარის ფესვების დაზიანება, რაც ნიადაგის მთელი რიგი თვისებებით არის გამოწვეული. მათ შორის აღსანიშნავია ჭარბი წყლის დაგროვება ფესვების გაგრცელების ზონაში, აქტიური კირის დიდი რაოდენობით შემცველი ფენების სიახლოე ნიადაგის ზედაპირთან, მარილების მაღალი კონცენტრაცია, ჭარბი ტუტიანობა, ტენის სიმცირე ნიადაგში, ნიადაგის ტემპერატურული რეეიმი და სხვ. მრავალრიცხოვანი გათხრებით დავრწმუნდით ვაზის ქლოროზით და ფესვთა სისტემის დაზიანებას შორის გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში. ამიტომ. ვფიქრობთ, რაც უფრო მეტადაა დაზიანებული ფესვთა სისტემა, მით უფრო ნაკლებია საკვები ნივთიერებისა და წყლის შეფასება ნიადაგიდან. ამ ფაქტის დასადგენად საჭირო იყო საერთოდ ფესვთა სისტემის და კერძოდ, მისი ფიზიოლოგიური აქტივობის შესწავლა.

ფესვთა სისტემის სხველე გამოკვლევებიდან ცნობილია კაჩინსკისა და იუვერის მეთოდები. კაჩინსკის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მცენარის ირგვლივ ნიადაგის სხვადასხვა ფენებიდან გამოყოფილი ფესვები მიყავთ აბსოლუტურ მშრალ მდგომარეობამდე, ყოფენ ფრაქციებად და იგებენ მათ წონას. ამ მეთოდის ნაკლად ითვლება ის, რომ მიღებული მონაცემები მცირე წარმოდგენას იძლევა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიაზე, რადგან გამოყოფილ ფესვებში შეიძლება მოყვეს არააქტიური, მკვდარი ფესვებიც. მიუხედავად ამისა, კაჩინსკის მეთოდი ფართოდ გამოიყენება მცენარის ფესვითა სისტემის შესწავლის საქმეში.

იუვერის მეთოდის შემთხვევაში ჰორიზონტების მიხედვით აწარმოებენ ფესვთა სისტემის თანადათანობით გათხრას და გარკვეული მასშტაბით მისი პროექციის ჩახაზვას მიღიმეტრიან ჭალალდზე, რითაც მიიღება ფესვთა სისტემის მორფოლოგიური აგებულება, მაგრამ მისი ასახვა ციფრებში შეუძლებელია. ამ მეთოდის დადგენითი მხარეა ის, რომ წარმოდგენას იძლევა ნიადაგის გენეტურ ჰორიზონტებში ფესვთა სისტემის ზუსტ განლაგებაზე, თუმცა მით შეუძლებელია ფესვთა სისტემის აქტივობის, ე. ი. მისი ფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენა. გარდა ამისა, იუვერის მეთოდი მეტად შრომატევადია.

მათ ნაცვლად უკანასკნელ ხანებში ფართოდ იყენებენ „ტირილის“ მეთოდს, რომლითაც შესაძლებელია ფესვთა სისტემის მიერ მიწოდებული საკვები ნივთიერების რაოდენობისა და შედეგენილობის დადგენა. ცნობილია, რომ გაზაფხულზე, თბილი ამინდის დადგომის შემდევ და ნიადაგის ფენების გათბობისას, იღვიძებს ფესვთა სისტემა, იწყება ბუსუსა ფესვების მასობრივი წარმოქმნა და ძლიერდება წვენის მოძრაობა მცენარეში. ამ დროს მცენარეზე მიყენებული ჭრილობიდან დენას იწყებს წვენი, რასაც „ტირილს“ უწოდებენ, წვენის გაღმოდენა კარგად არის გამოხატული ვაზში.

დროის ერთეულში გადმოღვრილი წვენის რაოდენობის მიხედვით მსჯელობენ ფესვთა სისტემის განვითარებისა და მისი ცხოველმყოფელობის დონის შესახებ.

„ტირილის“ მეთოდით ფესვთა სისტემის შესწავლის საკითხებზე დღეისათვის დიდი მასალაა დაგროვილი. ბალახოვანი მცენარეების ფესვთა სისტემა ამ მეთოდით შეისწავლა ი. კრასნოვსკაიამ [12]. მას იყენებდნენ ვალტერი და ბოგაჩევა [6].

ვაზის ფესვთა სისტემას „ტირილის“ მეთოდით სტავლობდნენ შერქანიანი [15], ტ. ორლოვი [21] და პ. თაგაძე [24]. თ. ჭიჭასელმა [25] დააღინა ქლოროზის გავლენა ვაზის ფესვთა სისტემის ცხოველმყოფელობასა და გადმონადნი წვენის ქიმიურ შედეგნილობაზე. ამ მიზნით მან ცდები ჩაატარა ქლოროზით სუსტად, საშუალოდ და ძლიერ დაზიანებულ ვაზზე (ალიგოტე დამყნილი რიბარია \times რუპესტრის 3309). ავტორმა გამოიყენა წვენის გამოყოფის მერქანიანის მიერ შემუშავებული მეთოდი. თ. ჭიჭასელმა აღრიცხა გადმონადნი წვენის რაოდენობა და განსაზღვრა მასში მშრალი ნივთიერება და მისი ხელითი წონა არეომეტრით, pH მიხაილისის აპარატით, ტიტრული მჟავიანობა, ელექტროგამტარობა, შაქრები, აუქსინი და ბიოსი. მისი მონაცემებით, ტირილის ფაზის დაწყებას ვეგეტაციის დაწყებასთან კავშირი არა აქვს. ავტორი მცენარეში გაზაფხულზე წვენთა მოძრაობას ორ ფაზად ყოფს: 1. პირველ ფაზაში წვენთა მოძრაობა ძლიერ სუსტად მიმდინარეობს და უბრალო თვალით ინელი შესამჩნევა. მის დასაღენად საქმარისი არ არის მცენარეზე ჭრილობის მიყენება, საჭიროა მრავალწლიანი და ერთწლიანი ტოტების ტენის დინამიკის შესწავლა.

2. მეორე, ანუ „ტირილის“ ფაზაში ალიგოტეს ჯანსაღ და ქლოროზით სუსტად დაზიანებულ ვაზებში გაზაფხულზე წვენთა მოძრაობის ფაზების ხანგრძლივობა თანაბარია, ხოლო საშუალოდ და ძლიერ დავადებულ ვაზებში — შემოკლებული. ქლოროზით დაზიანების შესაბამისად მცირდება გადმონადნი წვენის რაოდენობაც. ავტორმა დააღინა ქლოროზის შედეგად გამოწვეული მშრალი ნივთიერებისა და მჟავიანობის შემცირება გამოდენილ წვენში, ელექტროგამტარობის შეფერხება, „ა“ და „ბ“ ჯგუფის ზრდის ნივთიერებით გაღარიბება, რაც, მისი აზრით, იწვევს ფუნქციის მოშლას.

ქლოროზით ვაზის დაზიანების გავლენის დასაღენად გადმონადნი წვენის ქიმიურ შედეგნილობაზე 1956 წელს ცდა დავაყენეთ ჯიშ პინო შავი \times რიბარია \times რუპესტრის 3309-ზე მუხრანის სასწავლო-საცული მეურნეობის ვაზიანის განყოფილებაში. ამ მიზნით წინასწარ შესწავლალი ვაზებიდან გამოვყავთ 6—6 ძირი საღი, სუსტად, საშუალოდ და ძლიერ დაზიანებული და მომაკვდავი მცენარეები. ცდაში ქლოროზით ერთნაირი ხარისხით დაზიანებული 6—6 ვაზის გადმონადნი წვენის რაოდენობას ვაგროვებდით ერთად მერქანიანის მეთოდის ჭიჭასელის მოდიფიკაციით [25] და მასში ესაზღვრული ნივთიერებას, pH ელექტრომეტრული მეთოდით, საერთო მჟავიანობას, საერთო P_2O_5 , საერთო აზოტს, Ca, Mg, Mn, Fe და ბორს. წვენის კონსერვირებისათვის ვიყენებდით ტოლუოლს,

გადმონადნ წვენში საერთო მჟავიანობას და ამონიაქს ვსაზღვრავდით

ჭოველგვარი დამუშავების გარეშე, ხოლო ოკინის, NO_3 , ბორის, P_2O_5 , Ca და Mn -ის დასად გენად 250 მლ გადმონადენი ხსნარი გადაგვქონდა ფაიფურის ჯამშე, რომელსაც ვაორთქლებდით წყლის აბაზანაზე და ვსაზღვრავდით მშრალ ნაშთს. ამ უკანასკნელში კი ზემოთალნიშნულ ელემენტებს. გადმონადენი წვენის რაოდენობის აღრიცხვას ვაწარმოებდით დღეში ერთხელ.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემებით, ქლოროზი იწვევს კალენდარულად ერთი მცენარიდან მიღებული წვენის რაოდენობისა და მისი გამოყოფის ხანგრძლივობის შემცირებას (ცხრ. 7). მომაკვდავი ვაზებიდან წვენის შეგროვება ვერ შევძლით, რადგან იგი იმდენად მცირე იყო, რომ მისი აღრიცხვა არ მოხრედა.

ცხრილი 7

ვაზის „ტირილის“ ინტენსივობის მიხედვით ქლოროზით დაზიანების
ხარისხის დადგენა

(პირ შავი რიპარია \times რუპესტრის 3309)

| წვენის შეგროვების თარიღი | საშუალოდ ერთი ვაზის მიერ გამოყოფილი წვენის რაოდენობა (მლ) | | | |
|-----------------------------|--|---------------------|-----------------------|----------------------|
| | სალი | სუსტელო- როზიანი | საშუალო ქლოროზიანი | ძლიერ- ქლოროზიანი |
| 10.III | 25,5 | 16,6 | — | — |
| 13.III | 32,4 | 25,4 | — | — |
| 16.III | 84,5 | 71,8 | 14,2 | — |
| 19.III | 140,2 | 104,0 | 26,0 | 12,0 |
| 22.III | 160,8 | 150,2 | 60,6 | 19,4 |
| 25.III | 185,4 | 170,4 | 75,4 | 27,8 |
| 28.III | 154,8 | 142,0 | 50,4 | 32,4 |
| 31.III | 74,2 | 70,6 | 22,8 | 18,2 |
| 3.IV | 55,6 | 41,4 | 18,0 | 14,0 |
| 6.IV | 29,4 | 24,0 | 8,4 | 7,0 |
| 9.IV | 12,8 | 10,2 | 3,0 | 2,0 |
| 12.IV | 10,4 | 5,6 | — | — |
| 15.IV | 2,8 | 2,0 | — | — |

ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაბამისად მცირდება ერთი ძირი ვაზიდან გადმოდენილი წვენის რაოდენობა და მისი დენადობის ხანგრძლივობა (ცხრ. 8). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქლოროზით დაზიანების ხარისხსა და ვაზის ფესვთა სისტემის ცხოველმყოფელობას შორის გარკვეული ურთიერთდამკადებულება არსებობს — რაც უფრო ძლიერია ქლოროზი, მით

შეტადაა დაზიანებული ფესვები და შემცარებულია მათ შექმ მიწოდებული წვენის რაოდენობა. მაშასადამე, ვაზის ქლოროზის იწვევს ფესვების დაზიანება—ფერხდება მცენარეში საკვები ნივთიერების შესვლის ინტენსივობა და გლიცერინის დისინიტაციის გარეგნული ნიშნები.

ცხრილი 8

ერთი ძირი ვაზიდან მიღებული წვენის რაოდენობა და მისი გამოყოფის
ხანგრძლივობა ქლოროზით დაზიანების ხარისხის მიხედვით

| ქლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხი | საშუალოდ ერთი ვაზიდან გამოყოფილი წვენი (მლ) | წვენის გამოყოფის ხანგრძლივობა (დღე) |
|-----------------------------------|---|-------------------------------------|
| საღვა | 972,8 | 37 |
| სუსტქლოროზიანი | 835,2 | 27 |
| საშუალოდქლოროზიანი | 278,8 | 26 |
| ძლიერქლოროზიანი | 132,8 | 23 |

ცხრილი 9

ქლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხის გავლენა გადმონადენი წვენის
ქიმიურ შედეგების დაზიანების ხარისხი

| ანალიზის დასახელება | ქლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხი | სალი | სუსტქლოროზიანი | საშუალოდქლოროზიანი | ძლიერქლოროზიანი |
|--|-----------------------------------|---------|----------------|--------------------|-----------------|
| pH | 5,8 | 7,0 | 7,3 | 7,5 | |
| მჟავიანობა 1 ლ ხსნარში (მლ/ეგ) | 17,25 | 4,96 | 2,64 | 1,72 | |
| მშრალი ნივთიერება 1 ლ ხსნარში (გ) | 1,425 | 1,315 | 0,786 | 0,596 | |
| საერთო აზოტი 1 ლ ხსნარში (მგ) | 90,0 | 85,0 | 71,0 | 65,0 | |
| P ₂ O ₅ 1 ლ ხსნარში (მგ) | 56,0 | 51,0 | 15,0 | 12,0 | |
| CaO 1 ლ ხსნარში (მგ) | 290,0 | 219,0 | 184,0 | 183,0 | |
| Mg 1 ლ ხსნარში (მგ) | 47,0 | 33,0 | 33,0 | 24,0 | |
| Mn 1 ლ ხსნარში (მგ) | ძლიერი | ნიშნები | — | — | |
| Fe 1 ლ ხსნარში (მგ) | ნიშნები | ” | — | — | |
| B 1 ლ ხსნარში (მგ) | — | — | — | — | |

გადმონადენი წვენის არეს რეაქცია ქლოროზით დაზიანების ხარისხის მიხედვით მკვეთრად იცვლება, კერძოდ, სალი ვაზის წვენის გადმონადენი

pH-ის მაჩვენებელი 5,8-ს უდრის, სუსტად დაზიანებული ვაზისა—7,0-ს, საშუალოდ დაზიანებულისა—7,3, ხოლო ძლიერად დაზიანებულისა—7,5-ს. ამავე კანონზომიერებით მნიშვნელოვნად მცირდება ხსნარის საერთო მუსკიანობა, წერი—ისა და კალიუმის შემცველობა. ხსნარში მანგანუმის, რეინისა და ბორის რაოდენობა საერთოდ უმნიშვნელო აღმოჩნდა, რაც ქლოროზიანი ვაზის წვენში კიდევ უფრო შემცირებული (ცხრ. 9).

მაშასადამე, ვაზის „ტირილის“ შესწავლით ირკვევა, რომ ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაბამისად მცირდება წვენთა დენის ხანგრძლივობა, მისი რაოდენობა, მასში მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებების შემცველობა და საერთო მუსკიანობა, იზრდება ყH-ის მაჩვენებელი. ამიტომ ვაზის „ტირილის“ ინტენსივობის მაჩვენებლის გამოყენება შეიძლება ფესვთა სისტემის ცხოველმყოფულობისა და ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაფასებლად.

ვაზის „ტირილის“ შესწავლის მონაცემები მოწმობენ, რომ ქლოროზის გამომწვევი მიზეზები უნდა ვეძიოთ ფესვთა სისტემის დაზიანებაში, ხოლო მცენარეში შესული მცირე საკვები ნივთიერებების შემდგომი გამოყენება უთუოდ ფერხდება მათი დაბალი მუსკიანობისა და ყH-ის მაღალი მაჩვენებლების გამო—ზოგიერთი ელემენტი უჯრედის წვენში შეიძლება გამოლექოს და ნაკლებ იქნეს გამოყენებული მცენარეში მიმღინარე ორგანული ნივთიერებების შექმნის პროცესში.

5. ნიაღაგის სიმკვრივის გავლენა ქლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხზე

ნიაღაგის ბმულობას გამოხატავს მისი სიმკვრივის ხარისხი—რაც უფრო ბმულია ნიაღაგი, მით მეტად მკრიივია ის. ნიაღაგის სიმკვრივეს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ წყლოვანი თვისებებისა და, კერძოდ, წყალგამტარობისათვის.

შუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვენახების მდელოს ყავისფერი ნიაღაგების დაბალი ფილტრაციის უნარის ახსნის მიზნით ჩავატარეთ სიმკვრივის გაზომვა კაჩინსკის ხელსაწყოთი. სიმკვრივეს ვზომავდით ერთდროულად როგორც ქლოროზიანი, ისე ჯანსაღი ვენახების რიგთშორისებსა და მწკრივთშორისებში.

მიღებული მონაცემებით, ჩვეულებრივ მდელოს ყავისფერ, კარბონატულ ნიაღაგებში სიმკვრივე 27 სმ სიღრმეზე რიგთშორისებში უდრის 17-ს, ხოლო მწკრივში—14,5-ს. მეორე ნაკვეთის ანალოგიურ ნიაღაგზე იმავე სიგრძეზე კი შესაბამისად 15,0 და 11-ს. აღნიშნული ტიპის ნიაღაგებზე ქლოროზი არ ყოფილა შენიშნული.

ყავისფერ, მძიმე თიხნარ, დაწიდულ, კარბონატულფენიან ნიაღაგზე გაშენებული ვენახის რიგთშორისებში 27 სმ სიღრმეზე სიმკვრივე აღწევდა 23,9-ს, ხოლო მწკრივებში—18,8-ს. აღნიშნულ ნიაღაგზე ქლოროზი მუსკ-დება გაზაფხულზე ხანგრძლივი წვიმების ან დატბორებით მორწყვის შემდეგ (ცხრ. 10).

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვენახების მდელოს ყავისფერი
ნიაღაგების სიმკვრივის გაზომვის შედეგები

| ნიაღაგის ტიპი | სტატუსი ზოგადი | წინააღმდეგობა (P) ქბ | დაზიანების ხარისხი |
|---|-------------------|-------------------------|--|
| მდელოს ყავისფერი, კარბონატული | | | |
| რიგთშორისებში | 27 | 17,0 | |
| მწყრივთშორისებში | 27 | 14,5 | ქლოროზი შემჩნეული არ იყო |
| იგივე ნიაღაგი | | | |
| რიგთშორისებში | 27 | 15,0 | |
| მწყრივთშორისებში | 27 | 11,0 | " |
| ყავისფერი, მძიმე თიხნარი, დაწილული, კარბონატული: | | | |
| რიგთშორისებში | 26,2 | 23,9 | ქლოროზი ვლინდება გაზაფხულზე |
| მწყრივთშორისებში | 27,2 | 18,8 | ხანგრძლივი წეინიების, ან დატბორებით მორჩილი შემდეგ |
| ყავისფერი, მძიმე თიხნარი, მცირე სისქის კარბონატული კონგლომერატების ნაფენით: | | | |
| რიგთშორისებში | 16,7 | 16 | |
| მწყრივთშორისებში | 18,5 | 11 | " |

კონგლომერატებზე წარმოქმნილი ყავისფერი, მძიმე თიხნარი, მცირე სისქის კარბონატული ნიაღაგის სიმკვრივის გაზომვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 16,7 სმ სიღრმეზე და იგი რიგთშორისებში 16-ს, ხოლო მწყრივში 11-ს უდრის (ცხრ. 10). საერთოდ კი რიგთშორისებში ნიაღაგის სიმკვრივე ყოველთვის მეტია მწყრივთშორისებთან შედარებით, რაც დამუშავებისას მანქანების მოქმედებას უნდა ჩიეწეროს. ამიტომ, რიგთშორისების ნიაღაგის სიმკვრივის შემცირებასა და ღრმა ფენებში ფილტრაციის უნარის გადიდების მიზნით აუცილებელია პერიოდულად მათი ღრმა დამუშავება.

6. გაზის გადაჭიდვის გავლენა ქლოროფით დაზიანებაზე

საქართველოს მეცნახეობის პრაქტიკაში დიდი ხანია ცნობილია გადაწიდვა, რომლის მიზანია ვაზის ფესვთა სისტემის განახლება და ამით კვების გაძლიერება.

ხირსის მეცნახეობის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომ ჭ. კვირიკაშვილმა გადაწიდვით მიაღწია ქლოროზით ვაზის დაზიანების შემცირებას. ამ ღონისძიების შემოწმების მიზნით 1951 წ. მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა-

შის მდელოს ყავისფერ ნიაღაგზე ჩავატარეთ ცდა. საცდელად შევარჩიოთ პინო-შავი დამყნილი რიბარია \times რუპესტრის 33093 ქლოროზით ძლიერ და-ზიანებული 6 ძირი ვაზი. გადაწილენა ჩავატარეთ 1951 წლის შემოდგომაზე, დაკვირვებას ვაწარმოებდით ქლოროზით ვაზების დაზიანების ხარისხზე. ვა-ტარებით მოსავლის აღრიცხვას, ხოლო პერიოდული გათხრებით ესწავლობ-დით ფესვთა სისტემის განვითარების ხასიათს (ცხრ. 11).

გადაწილენა 2—3 წლის განმავლობაში თითქმის სრულიად აჯანსაღებს ქლოროზით ძლიერ დაავადებულ ვაზებს, მაგრამ მესამე წელს კვლავ ვლინ-დება მისი ნიშნები, რაც თანდათანობით ძლიერდება.

ცხრილი 11

გადაწილენა ქლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხზე

| ვაზის რიგითი № | ცდის დაყენე- ბამდე ქლო- როზით დაზი- ანების ხარი- სხი | ქლოროზით დაზიანების ხარისხი | | | | | |
|-------------------|--|-----------------------------|---------|---------|---------|---------|---------|
| | | 1952 წ. | 1953 წ. | 1954 წ. | 1955 წ. | 1956 წ. | 1957 წ. |
| 1 | ძლიერი | ძლიერი | სუსტი | განსაღი | სუსტი | საშუალო | ძლიერი |
| 2 | " | საშუალო | განსაღი | " | " | " | " |
| 3 | " | " | " | " | განსაღი | " | " |
| 4 | " | " | " | " | " | " | " |
| 5 | " | ძლიერი | საშუალო | 4 | სუსტი | " | " |
| 6 | " | საშუალო | სუსტი | " | " | " | " |

გადაწილენის გავლენა მეღავნდება ვაზის მოსავლიანობაზეც. იგი იცვლე-ბა ქლოროზის ინტენსივობის შესაბამისად. გადაწილენიდან 2—3 წლის გან-შავლობაში ვაზების გაჯანსაღების შედევად მკვეთრად იზრდება ყურძნის მო-სავალი, ხოლო შემდგომში ქლოროზის გაძლიერებასთან ერთად მცირდება იგი (ცხრ. 12).

ცხრილი 12

გადაწილენის გავლენა ვაზის მოსავლიანობაზე

(მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა)

| ვაზის რიგითი № | 1 ძირი ვაზის მოსავალი (კგ) | | | | | | |
|-------------------|----------------------------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| | 1951 წ. | 1952 წ. | 1953 წ. | 1854 წ. | 1955 წ. | 1956 წ. | 1957 წ. |
| 1 | 0,15 | 0,25 | 0,90 | 1,1 | 1,20 | 0,70 | 0,30 |
| 2 | 0,20 | 0,45 | 1,10 | 1,6 | 1,50 | 0,40 | 0,35 |
| 3 | 0,30 | 0,55 | 1,20 | 1,4 | 1,20 | 0,60 | 0,20 |
| 4 | 0,15 | 0,30 | 0,80 | 1,20 | 1,00 | 0,55 | 0,25 |
| 5 | 0,10 | 0,25 | 1,30 | 1,50 | 1,20 | 0,50 | 0,20 |
| 6 | 0,2 | 0,35 | 1,00 | 1,3 | 1,00 | 0,55 | 0,35 |

გადაწიდნული ვაზების გათხრებმა დაადასტურეს გაჯანსალებას ჰერიოლ—ში ძლიერი ფესვთა სისტემის წარმოქმნა, რაც 3—4 წლიდან ზიანდება ნიადაგის ცუდი ფიზიკური თვისებების გავლენით და ვლინდება ქლოროზი.

ამრიგად, ჩატარებული ცდით მიღებულმა შედეგებმა ერთხელ ჭიდევნაოლებეს მცენარის ფესვების დაზიანებით ვაზის ქლოროზის გამოვლინების ფაქტი.

7. გაზაფხულზე მოსული ნალექების რაოდენობის გავლენა ძლიოროზით ვაზის დაზიანების ინტენსივობაზე

როგორც აღვნიშნეთ, მსხმიარე ვაზის ქლოროზის გარეგანი ნიშნები არაერთნაირი ხარისხით გლინდება ცალკეულ წელს. ამ მოვლენის მიზეზი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გამოწვეულია ნიადაგიდან მცენარეში საკვები ნივთიერების შესვლის სხვადასხვა ინტენსივობით, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დამოკიდებულია მცენარის ფესვთა სისტემის ზრდის პირობებზე, რაც ყოველწლიურად იცვლება ნიადაგში. თუ ვენახების ნიადაგის ფიზიკური, წყლოვანი და აერობული რეჟიმი მოცემული წლისათვის არახელსაყრელია ფესვთა სისტემის განვითარებისთვის, მაშინ ნიადაგის ქვედა გამკვრივებულ ფენებამდე ჩარჩოებული ფესვები ზიანდებიან, რის გამოც საკვები ნივთიერებების შესვლა მცენარეში მცვეთრად მცირდება და ვლინდება მათი ნაკლებობის გარეგანი ნიშნები, ხოლო თუ მოცემული წლის წყლის რეჟიმი ხელსაყრელია ფესვთა სისტემისა და ბუსუსა ფესვების განვითარებისათვის, საკვები ნივთიერებების შესვლა მცენარეში მიმდინარეობს თითქოს ნორმალურად და ქლოროზის გარეგანი ნიშნები ან არა, ანდა ვლინდება სუსტად.


ჩვენი დაკვირვებებით დადგენილია, რომ გაზაფხულზე მცენარის ფესვების ზრდის განახლების ფაზაში დიდი რაოდენობის ნალექები აძლიერებს ქლოროზით დაზიანების ინტენსივობას. ასევე უარყოფითად მოქმედებს ზამთარში ნალექების ჭარბი რაოდენობა მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებაზე, რადგან მისი გავრცელების ზონაში გროვდება წყლის დიდი რაოდენობა, რაც ამცირებს ჭარბის, კერძოდ კი უანგბადის შემცველობას ნიადაგში და გაზაფხულზე ფესვების ზრდა ფერხდება, ე. ი. ნორმალურად არ შეიწოვება საკვები ნივთიერებები და ძლიერდება ქლოროზი.

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვენახებში ქლოროზის ინტენსივობაზე ჩატარებული დაკვირვებები და ამავე მეურნეობის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ დაზიანების ხარისხი იცვლება გაზაფხულზე მოსული ნალექების ჯამის შესაბამისად (ცბრ. 13). მაშასადამე, მათ შორის არსებობს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება (გრაფიკი 1).

დატბორებით ვენახების მორწყვა, რაც ძალზე გავრცელებულია ჭართლის მევენახეობის რაიონებში ვაზის რიგთაშორისებში ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვის გამო, მცვეთრად აძლიერებს ქლოროზს. ასეთ პირობებში თუ ნიადაგის ქვედა ფენები წყალგაუმტარია, ვაზის ფესვების ზონაში დგება წყალი და ძლიერდება ქლოროზი. ამიტომ ვენახების რიგთაშორისებში სხვა

ნალექები (მმ) და კლიმატური ვანის დაზიანება (მხერალის გეგ საღარის მონაცემები)

ცალის მუნიციპალიტეტი
აბაშის მუნიციპალიტეტი



ქლოროზით ვაზის დაზიანების ინტენსივობა და გაზიფულებები მოსული ნალექების ურთიერთდამოკიდებულება
(მუხრანის სახწავლო-საცდლო მეურნეობა)

| წელი | III | IV | V | კლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხი |
|------|---------|-----------|-----------|-----------------------------------|
| | მდგრადი | დანარჩენი | დანარჩენი | კლოროზით ვაზის დაზიანების ხარისხი |
| 1954 | | | | |
| III | 24,0 | | | |
| IV | 60,0 | 130,2 | | სუსტი |
| V | 46,2 | | | |
| 1955 | | | | |
| III | 59,6 | | | ძლიერი |
| IV | 80,7 | 283,4 | | |
| V | 143,1 | | | |
| 1956 | | | | |
| III | 41,2 | | | სუსტი |
| IV | 31,7 | 151,5 | | |
| V | 78,6 | | | |
| 1957 | | | | |
| III | 46,9 | | | " |
| IV | 2,7 | 145,8 | | |
| V | 96,2 | | | |
| 1958 | | | | |
| III | 135,4 | | | |
| IV | 80,6 | 300,5 | | ძლიერი |
| V | 84,5 | | | |
| 1959 | | | | |
| III | 41,5 | | | " |
| IV | 35,3 | 218,2 | | |
| V | 141,9 | | | |
| 1960 | | | | |
| III | 25,8 | | | სუსტი |
| IV | 77,7 | 137,1 | | |
| V | 33,6 | | | |
| 1961 | | | | |
| III | 51,5 | | | " |
| IV | 40,4 | 148,1 | | |
| V | 56,2 | | | |
| 1962 | | | | |
| III | 22,5 | | | სუსტი |
| IV | 48,1 | 104,4 | | |
| V | 34,8 | | | |
| 1963 | | | | |
| III | 51,5 | | | " |
| IV | 40,4 | 148,1 | | |
| V | 56,2 | | | |

მეთოდი და სპეციალური აპარატურა, რომლებიც შეიძლება 6. დობრიაკოვ-

კულტურების თესვა-რგვის აკრძალვა აუცილებელი მიგვაჩნია, ხოლო ჩატყებულდა ჩატარდეს რიგის ორივე მხარეზე გატარებულ კვლებში წყლის მიშვებით.

ვენახში ერთი ვაზი აღრე ზანდება ქლოროზით, ვიდრე მეორე, რაც უნდა აიხსნას მცენარის საწყისი განვითარების ტებპისაგან დამკიდებული ფესვთა სისტემის განვითარების ინტენსივობით. მცენარის ძლიერი განვითარება პირველ ფაზაში შეპირობებულია ინდივიდუუმის ზოოლოგიური თავისებურებით და ამ დროს იქმნება მძლავრი ფესვთა სისტემა რაც როგორც ხსნადი, ისე ინელად ხსნად შენაერთებიდან მეტი საკვები ნივთიერებების შთანთქმის შესაძლებლობას იძლევა.

მცენარის ინდივიდუალურ ბიოლოგიურ თავისებურებასთან ერთად, კონკრეტულ ადგილობრივ მიკრორელიეფურ პირობებს შეუძლია დააჩქაროს ან შეასუსტოს მცენარის ზრდა, კერძოდ კი მისი ფესვთა სისტემის განვითარება, რაც თავისთვალი განსაზღვრავს საკვები ნივთიერების შთანთქმის ინტენსივობას ნიადაგიდან.

8. მუხრანის გდალოს ჩავისური, დაჭიდული ნიადაგის ამარცის პირობების შესრულება

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მდელოს ყავისფერი დაწილული კარბონატული ნიადაგები, როგორც ალვინიშვილ, ხასიათდებიან ცუდი სტრუქტურით და წყალგამტარობით, რის გამოც ზოგჯერ ვაზის ფესვთა სისტემის გვრცელების ზონაში ადგილი აქვს წყლის ჭარბი რაოდენობით დაგროვებას და ჰაერის შემცირებას. ეს კი იწვევს ვაზის ფესვთა სისტემის ქანგბადით მომარაგების შეფერხებას. ამ მოსაზრების სინამდვილის დასაღვენალ შევამოწმეთ აღნიშნული ნიადაგების ჰაერგამტარობა. არსებობს ნიადაგის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების კომპლექსური საველე-

მა. მეოთხდი აგებულია ნიადაგის პარკინგამტარობის განსაზღვრის საფუძვლებზე. ტექნიკური მაზეზების გამო ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული აპარატით მუხრანის ნიადაგების პარკინგამტარობის განსაზღვრა. ამიტომ შევისწავლეთ აერობული და ანაერობული ბაქტერიების გავრცელება ნიადაგის სხვადასხვა ფენაში. პირველიდან აღვრიცხეთ აზოტობაქტერი და ნიტრიფიკატორი, ხოლო მეორედან—ცელულოზის ანაერობული დამშლელი ბაქტერიები. ნიადაგის ნიმუშები ავილეთ 0—20, 20—40, 40—60 და 60—80 სმ, ფენებიდან მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩავატარეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე დოც. გ. მეგრელიძის ხელმძღვანელობით (ცხრ. 14).

ჩატარებული ანალიზებით გამოირკვა, რომ მუხრანის მდელოს ყავისფერ, დაწილულ, კარბონატულ ნიადაგებში სილრმის მიხედვით მკვეთრად მცირდება აერობული ბაქტერიების გავრცელება, იგი განსაკუთრებით რელიეფურადა გამოხატული ნიტრიფიკატორების მიმართ, რომელთა რაოდენობა 1 გ მშრალი ნიადაგის 0.20 სმ ფენაში აღწევს 20000-ს, 20—40 სმ ფენაში—2000-ს,

ცხრილი 14

მუხრანის მდელოს ყავისფერ, დაწილულ, კარბონატულ ნიადაგში აერობული და ანაერობული ბაქტერიების გავრცელება სილრმის მიხედვით

| საჭირო სადაცვა (სმ) | 1 კომოდული გრძელება | 2 კომოდული გრძელება | 3 კომოდული გრძელება |
|---------------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 0—20 | 2.000000 | 20.000 | 20000 |
| 20—40 | 1.000000 | 2.000 | 200000 |
| 40—60 | 190000 | 20 | 2000000 |
| 60—80 | 10000 | 10 | 2000000 |

40—60 სმ ფენაში—20, ხოლო 60—84 სმ ფენაში—10-ს, მაშინ როდესაც ცელულოზის ანაერობული (დამშლელი) ბაქტერიების გავრცელება პირიქით ნიადაგის სილრმის მიხედვით მკვეთრად მატულობს (ცხრ. 14).

მაშასადამე, მუხრანის ყავისფერი, დაწილული, კარბონატული ნიადაგის ღრმა ფენებში იქმნება ანაერობული პირობები, რაც აპირობებს გაზის ფესვთა სისტემის დაზიანებას ჟანგბადის სიმცირის გამო.

ამგვარად, აერობული და ანაერობული ბაქტერიების აღრიცხვის წესით თავისუფლად შეიძლება ნიადაგის აერაციის პირობების შეფასაბა.

9. ნიშანდებული აკირის მცხოვრები შესვლის გავლენა ძლიერობით ვაჭის დაზიანებაზე

ქლოროზის გამომწვევ მიზეზებში რკინის როლის დადგენის მიზნით 1956 წელს კდა დაგაყენეთ პინო შავი რიპარია დამყნილი X რუპესტრის 3309 ვაზზის ჯიშზე, რომელიც ქლოროზით საშუალოდ დაზიანებული იყო. ანალოგიურად დაკვირვებას ვაწარმოებდით საღ ვაზზე. საცდელად გამოვიყენეთ ნიშანების შეფასაბა.

დებული რკინა Fe^{+2} FeCl_3 -ის სახით. ნიშანდებული და ჩვეულებრივი რკინის სსიარს ვურევდით 5 კგ ნიადაგს და ისე შეგვეონდა ფესვთა სისტემის ზონაში. ნიშანდებულ რკინას ვიღებდით სამ დოზად — ყოველ 5 კგ ნიადაგზე 225, 250 და 900 მილიმიკროკილის რაოდენობით. ცდა ტარდებოდა 3 განმეორებად.

გამოირკვა, რომ ნიადაგში შეტანილი ნიშანდებული რკინა არ შევიდა მცენარეში. მეორე ცდაში ნიშანდებული რკინა Fe^{+2} 1-ელ ხსნარზე 225, 450 900 მიკროკილის რაოდენობით 15 აგვისტოს შევუდგით წინასწარ გაში შელებულ ვაზის ფესვებს, ე. ი. შემწოდი ფესვები ვაზის ორი მხრიდან ჩამოვარდული იყო ნიშანდებული რკინის ხსნარში. ერთ მცენარეზე ავიღეთ 1,5 ლ-იანი ორი უოთლი, ე. ი. სულ 3 ლ ხსნარი. 5 დღის შემდეგ რკინა აღმოვაჩინეთ როგორც საღ, ისე ქლოროზიანი ვაზის ფოთლებში, მაგრამ დაზიანების ხარისხი არ შეცვლილა (ცხრ. 15).

ნიშანდებული რკინა არ ცვლის ქლოროზით დაზიანების ხარისხს, თუ მზედველობაში არ მივიღებთ 28 ოქტომბრის დაკვირვების შედეგებს, სადაც ქლოროზი შეინიბა, ე. ი. ფოთლებმა იწყეს გამწვანება. მიღებული მონაცემები აშკარად მიუთითებენ მასზე, რომ მუხრანის მდელოს ყავისფერი ნიადაგის პირობებში ვაზის ქლოროზი გამოწვეული არაა მცენარეში მარტო რკინის შესვლის შეფერხებით.

10. ატმოსფეროს ტემპერატურის დაცვა ვეგეტაციის პრიორიზაცია და გენერაციის ცოთლების გაზითლების მიზანები

ვაზის ქლოროზი შეიძლება გამოწვეული იყოს ვეგეტაციის პერიოდში ატმოსფეროს ტემპერატურის მკვეთრი დაცემით, რომლის დროს ფერხდება მცენარეში ქლოროფილის წარმოქმნა.

ქლოროფილი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს რთულ ნაერ თს, რომლის სინთეზს მცენარე ახდენს მარტივი შენართობის ხარჯზე. მკენარეებში არჩევინ „ა“ და „ბ“ სახის ქლოროფილს, რომელთა შედეგენილობაში შედის: ნახშირბადი, წყალბადი, ჟანგბადი, აზოტი და მაგნიუმი. ამ ელემენტების ხსნადი ფორმების არსებობა ნიადაგში და მცენარეში მათი შესვლა ქლოროფილის წარმოქმნის პირველი პირობაა. თვით ქლოროფილის მოლექულის წარმოქმნა მიმდინარეობს გარემო პირობების გარკვეული თანაფარდობის დროს. მათ მიეკუთვნება: სინათლე, სითბო, მცენარის გარემო ჰაერში ნახშირორეანგის და ნიადაგში შესათვისებელი რკინის არსებობა. ქლოროფილის წარმოქმნელი ფაქტორების შესწავლა ჯერ კიდევ რა დამთავრებული და ამიტომ უცნობია ბევრი მათვანის როლი მის წარმოქმნაში.

სინათლე ქლოროფილის წარმოქმნაში გადამწყვეტი პირობაა. დადგენილია, რომ ღივის უჯრედში ქლოროფილი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ სინათლეზე. მაგალითად, ღივის ის ნაწილი მწვანდება, რომელიც ნიადაგის ზედაპირზეა ამოსული და განათებულია. სიბნელეში კი იგი არ მწვანდება, რადგან არ წარმოიქმნება ქლოროფილი. ამ მხრივ გამონაკლის წარმოადგენს წიწვოვანების თესლები, რომელთა ღივი სიბნელეშიც იღებს მწვანე შეფერვას, თუმცა სინათლეზე უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ქლოროფილის წარ-

ცხილი 15

158

მცუნარეში ნიშანდებული რეინის შესვლის გავლენა ქლოროზით ვაშის დაზიანების
ხარისხსა და მისავალზე
(პინო შავი დამჭნილი რიპარია X რუპესტრის 3309)

| ც ლ ი ს ს ქ ე მ ა | ქლოროზით დაზიანების ხარისხის ცდის დაუწერებაშე 1954 წ. | ქლოროზით დაზიანების ხარისხი 1955 წ. | | | | ყურძნის სა- შუალო მოსა- ვალი (კგ) 1 ძირ ვაზზე |
|----------------------------------|---|-------------------------------------|---------|---------|---------|--|
| | | 20.VII | 20.VIII | 12.IX | 28.XI | |
| სალი ვაშები | | | | | | |
| Fe ⁵⁹ 225 მიკროკრიური | სალი | სალი | სალი | სალი | სალი | 2,45 |
| Fe ⁵⁹ 450 მიკროკრიური | " | " | " | " | " | 2,75 |
| Fe ⁵⁹ 900 მიკროკრიური | " | " | " | " | " | 2,40 |
| ქლოროზიანი ვაზები | | | | | | |
| Fe ⁹ 250 მიკროკრიური | საშუალო | საშუალო | საშუალო | საშუალო | საშუალო | 1,00 |
| Fe ⁵⁹ 450 მიკროკრიური | " | " | " | " | " | 0,90 |
| Fe ⁵⁹ 900 მიკროკრიური | " | " | " | " | " | |
| საკონტროლო* | " | — | — | — | — | 0,85 |

* ქლოროზით დაზიანების ხარისხის დადგენის მისწით აღრიცხვას ვატარებდეთ აგრეთვე
სამ ვაზზე, რომელშიც ნიშანდებული რეინა არ შევეიტანია.

შოქმნა, მაგალითად, სინათლეზე ფიჭვის ღივრი ქლოროფილის რაოდენობაზე და უკარის მეტია, ნაძეში 3-ჯერ მეტი და 0. შ.

ატმოსფეროს ტემპერატურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქლოროფილის წარმოქმნის პროცესში. ზოგჯერ, ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის და-საწყისში მცენარეს გააჩნია ნორმალური მწვანე შეფერვა, მაგრამ შემდგომში ტემპერატურის დაცემისას მცენარის მზარდი ფოთლები ყვითლდებიან. ასეთი ფაქტი ყველაზე მეტად აღინიშნება სითბოს მოყვარულ მცენარეებზე. ფოთლების გაყვითლების ხარისხს განსაზღვრავს ტემპერატურის დაცემის ხასიათი—რაც უფრო მკვეთრად ეცემა ტემპერატურა, მით უფრო მეტად ყვითლდება ფოთოლი, ხოლო ზოგჯერ მთელი ფოთოლი ერთიან ყვითელ შეფერვას ღებულობს: მზარდი ფოთლების ყვითელი შეფერვა უფრო ძლიერია. ვეგეტაციის ფაზაში ფოთლების ასეთი გაყვითლების ხასიათი ძალზე წააგავს შემოდგომისას. თუ შემოდგომით თბილი ამინდებია, ნაყოფმომცემლობის დამთავრების მიუხედავად, მცენარეების ფოთლები მკვეთრ მწვანე შეფერვას ინარჩუნებენ, მაგრამ საქმარისია ტემპერატურის დაცემა და ისინი გაყვითლებას იწყებენ. ტემპერატურის დაცემის შესაბამისად ფოთლების სიყვითლე მატულობს და ბოლოს იწყებენ ცვენას. მაგრამ თუ ტემპერატურის დაცემა ფოთლების მკვეთრად გაყვითლებამდე შეწყდა და ისევე თბილი ამინდები დაიწყო, ისინი კვლავ აღიღენენ მწვანე შეფერვას. ისევე როგორც შემოდგომით, ადრე გაზაფხულზე ფოთლების გაყვითლების მიზანია ის, რომ ატმოსფეროს ტემპერატურის რეჟიმი ვერ უზრუნველყოფს ქლოროფილის წარმოქმნას. აღსანიშნავია ისიც, რომ ტემპერატურის დაცემას თან ახლავს განათების შემცირება, ღრუბლიანი დღები, რაც თავისთვის ანელებს ქლოროფილის წარმოქმნას.

ცნობილია, რომ ქლოროფილის წარმოქმნის საწყისი ტემპერატურა იცვლება ყინვაგამძლეობისა და სითბოსადმი დამოკიდებულების მიხედვით. ყინვაგამძლე მცენარეებში ქლოროფილის წარმოქმნის საწყისი ტემპერატურა უფრო დაბალია, ხოლო სითბოს მოყვარულ მცენარეებში—მაღალი. ქლოროფილის წარმოქმნის პროცესი მინიმალურია $20^{\circ}\text{--}3^{\circ}$, ოპტიმალურია $26\text{--}30^{\circ}\text{--}3^{\circ}$ და უცემა $43\text{--}45^{\circ}$ ტემპერატურაზე. მაშასადამე, ატმოსფეროს ტემპერატურას გადატყვეტი მნიშვნელობა აქვს ქლოროფილის წარმოქმნისათვის.

ამით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ გაზაფხულზე ტემპერატურის დროებითი დაცემა იწვევს ვაზის ფოთლების გაყვითლებას, ე. ი. ქლოროზის გამოვლინებას, რაც დაკავშირებული არ არის ნიაღავის თვისებებთან და საკვები ნივთიერების მცენარეში შესვლის შეფერხებასთან. ასეთ შემთხვევაში ფოთლების გაყვითლება გრძელდება მანამ, სანამ არ შეიქმნება ნორმალური ტემპერატურული რეჟიმი ქლოროფილის წარმოქმნისათვის, რის შემდეგ საკმარისია $2\text{--}3$ დღე, ხოლო ზოგჯერ 5 დღე, რათა ფოთლებმა კვლავ მწვანე შეფერვა მიიღონ და ნორმალურად განვითარდნენ, თუ არ განმეორდა ტემპერატურის დაცემა.

ნიაღავის პირობებით გამოწვეული ვაზის ქლოროზი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ ხანს გრძელდება, რადგან ის ამ შემთხვევაში ფესვების დაზინებითა გამოწვეული.

გარკვეულ ფარგლებში ატმოსფეროს ტემპერატურის დაცემით გამოწვეული ქლოროზი არ იწვევს ზარალს, რადგან მცენარის განვითარება დროე-

ბით ფერხდება და მან შეიძლება მხოლოდ ვეგეტაცია გახანგრძლივოს. ასეთი სახის ქლოროზი განსაკუთრებით იმ წლებში მეღანდება, როცა ზამთარი მშრალია და თბილი, რის შედეგად გაზაფხულზე ამინდი ძალზე მერყევია. მსგავს ფაქტებს აღვილი ჰქონდა 1962 წლის გაზაფხულზე. მუხრანის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით 1961—1962 წლებს ზამთარი მშრალი და თბილი იყო. მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ზამთრის დღეებში ტემპერატურა 20—25°-ს აღწევდა, რის გამოც ვეგეტაცია გაზაფხულზე აღრე დაიწყო. აპრილის დასაწყისში კი, გაძლიერებული ვეგეტაციის პერიოდში უცილი ციკლონების ცივი დინების შემოჭრის შედეგად, ატმოსფეროს ტემპერატურა დაეცა. იგი ფაქტიურად დაიწყო 24 მარტიდან და გაგრძელდა 5 აპრილამდე. შემდეგ 16 აპრილმდე კვლავ ნორმალური ტემპერატურა იყო მაგრამ ამ დღეს ისევ დაეცა ტემპერატურა, რამაც 29 აპრილამდე გასტანა. შემდგომ დათბა და ნორმალურად წარიმართა ვეგეტაცია (ცხრ. 16). ტემპერატურის ანალოგიურ ცვალებადობას აღვილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც.

ალსანიშნავია, რომ ნიაღავის ტემპერატურა ატმოსფეროს ტემპერატურის დაცემით არსებითად არ იცვლება. ამიტომ ამ წლს გამოვლინებული ქლოროზი ირითადად უნდა ისხნას ატმოსფერული პირობებით, თუმცა გამორიცხული არ არის ნიაღავის ტემპერატურის დაცემით მცენარის მზარდი ფევთა სისტემის დაზიანებაც. ტემპერატურის დაცემის პერიოდში პირველ რიგში გაყვითლება სითბოს მოყვარული ისეთი მცენარეების ფოთლები, როგორიცაა კიტრი, ნესვი, საზამთრო, ლობიო, პომიდორი, ხურმა, თუთა, აკაცია, ტუნგო, ჩაი, ციტრუსები, ვაზი, კაკალი, ცაცვი, გარგარი, ატამი და სხვ. ამ მცენარეებზე უპირველეს ყოვლისა გაყვითლება იწყეს აქტიური ზრდის ფაზაში მყოფმა ფოთლებმა. ტემპერატურის დაცემით მცენარეების გაყვითლება ალინიშნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და, რაც მთავარია, ყველა ნიაღავურ პირობებში. მაშასადამე, მცენარეების გაყვითლების მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ ატმოსფეროს ტემპერატურის დაცემა.

ამ ფაქტებიდან ჩანს ფოთლების გაყვითლებასა და ყინვაგამძლეობას შოშორის გარკვეული დამოკიდებულება. მაგალითად, ჩინური ჩაის პოსულაციაზე მზარდი ფოთლები და ყლორტები გაყვითლდა, ხოლო ჩაის იაპონური პოპულაციის ფოთლები და ყლორტები არა. ცნობილია, რომ ჩინური ჩაი ნაკლებად ყინვაგამძლეა იაპონურთან შედარებით. ასევე არ გაყვითლდა დაწნის, მუშმულას და წყავის მზარდი ფოთლები მათი შედარებით მაღალი ყინვაგამძლეობის გამო.

აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის დაცემით ზრდის აქტიურ ფაზაში მყოფი გაშლისა და მსხლის ფოთლები არ გაყვითლებულა.

ქლოროზის ასეთი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებაა აღრე გაზაფხულზე ვეგეტაციის შექრება, რაც ხორციელდება მცენარის მზარდ კვირტებზე პერძიციდების დაბალი კონცენტრაციის ხსნარების მოსხურების გზით—ამ ხერხით ვეგეტაციის დასაწყისი იგვიანებს 15—20 დღით მაინც.

1962 წლის მარტ-აპრილის თვეების ატმოსფეროსა და ნიაღავის ტემპერატურის
ყოველდღიური მერყეობა
(მუზრანის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით)

| გ ა რ ტ ი | | | გ ა რ ი ლ ი | | | | | | | | |
|------------------------|-------------|------|----------------------|-------------|------|------------------------|-------------|------|----------------------|-------------|------|
| ატმოსფეროს ტემპერატურა | | | ნიაღავის ტემპერატურა | | | ატმოსფეროს ტემპერატურა | | | ნიაღავის ტემპერატურა | | |
| მინიმალური | გასიმილაციი | დ | მინიმალური | გასიმილაციი | დ | მინიმალური | გასიმილაციი | დ | მინიმალური | გასიმილაციი | დ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 0,5 | 7,6 | 3,2 | 0 | 18 | 9,0 | 0,2 | 19,1 | 9,5 | -1 | 37 | 18,0 |
| 4,0 | 12,2 | 3,4 | -6 | 22 | 8,0 | 4,5 | 18,2 | 11,9 | 2 | 29 | 15,5 |
| 3,5 | 16,2 | 4,9 | -4 | 26 | 11,0 | 5,2 | 14,3 | 8,6 | 6 | 21 | 13,5 |
| 1,0 | 13,5 | 5,7 | -2 | 24 | 10,0 | 1,6 | 8,7 | 4,4 | 3 | 14 | 8,5 |
| 3,7 | 16,9 | 8,8 | 2 | 28 | 15,0 | 1,6 | 10,5 | 5,9 | 2 | 19 | 10,5 |
| 3,5 | 20,7 | 10,6 | 1 | 32 | 16,1 | -1,6 | 2,4 | 9,4 | -2 | 37 | 17,5 |
| 0,9 | 20,6 | 10,4 | 0 | 34 | 17,0 | 2,3 | 27,2 | 13,8 | 1 | 40 | 20,5 |
| 2,5 | 22,2 | 10,6 | 0 | 33 | 16,5 | 8,9 | 26,4 | 17,7 | 4 | 40 | 22,0 |
| 2,2 | 21,1 | 10,3 | 1 | 35 | 18,0 | 11,7 | 21,6 | 16,7 | 9 | 39 | 24,0 |
| 2,5 | 11,7 | 5,0 | 1 | 16 | 8,5 | 3,2 | 17,9 | 10,0 | 8 | 22 | 15,0 |
| -2,7 | 4,1 | 0,2 | -4 | 20 | 8,0 | 3,2 | 10,1 | 5,8 | 3 | 18 | 10,5 |
| -3,8 | 19,3 | 2,2 | -6 | 25 | 9,5 | 3,6 | 17,6 | 10,2 | 5 | 32 | 18,5 |
| -7,5 | 13,7 | 3,2 | -8 | 33 | 12,5 | 0,1 | 22,6 | 11,1 | -2 | 39 | 18,5 |
| -0,5 | 21,7 | 9,0 | 0 | 36 | 18,0 | 5,5 | 20,0 | 13,2 | 3 | 37 | 20,0 |
| -1,6 | 21,7 | 9,8 | -3 | 38 | 17,5 | 9,4 | 18,0 | 13,0 | 8 | 38 | 23,0 |
| 4,0 | 19,5 | 11,9 | 2 | 34 | 18,0 | 2,2 | 13,8 | 8,3 | 1 | 22 | 11,5 |
| 6,0 | 23,4 | 13,6 | 4 | 44 | 24,0 | 5,6 | 15,6 | 10,2 | 5 | 25 | 15,0 |
| 5,6 | 22,0 | 13,8 | 4 | 39 | 21,5 | 6,5 | 15,6 | 9,3 | 6 | 29 | 17,5 |
| 6,1 | 22,6 | 14,2 | 5 | 39 | 22,0 | 5,4 | 12,1 | 8,9 | 6 | 24 | 15,0 |
| 3,9 | 17,1 | 10,6 | 5 | 24 | 14,5 | 4,5 | 13,1 | 8,6 | 5 | 26 | 15,5 |
| 3,4 | 12,3 | 7,1 | 2 | 30 | 16,0 | 3,5 | 14,1 | 9,0 | 2 | 33 | 17,5 |
| -0,9 | 12,1 | 5,0 | -2 | 22 | 10,0 | 5,1 | 13,3 | 9,2 | 6 | 25 | 15,5 |
| 4,5 | 22,7 | 11,7 | 3 | 32 | 17,5 | 6,5 | 17,1 | 11,6 | 6 | 35 | 20,5 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|------|------|------|----|----|------|-----|------|------|----|----|------|
| 7,4 | 15,3 | 11,6 | 6 | 19 | 12,5 | 8,2 | 16,1 | 11,4 | 9 | 30 | 19,5 |
| 7,9 | 14,1 | 10,0 | 6 | 27 | 16,5 | 4,9 | 17,0 | 12,0 | 4 | 38 | 21,0 |
| -0,5 | 14,7 | 8,4 | -1 | 32 | 15,5 | 6,2 | 17,0 | 11,9 | 7 | 40 | 23,5 |
| 3,7 | 18,1 | 10,8 | 2 | 35 | 18,5 | 7,5 | 16,3 | 11,0 | 7 | 38 | 22,5 |
| 3,1 | 13,4 | 4,5 | 3 | 11 | 7,0 | 7,3 | 11,6 | 9,9 | 8 | 16 | 12,0 |
| 1,9 | 14,7 | 7,3 | 0 | 25 | 12,5 | 8,5 | 18,6 | 12,6 | 9 | 36 | 22,5 |
| 0,3 | 10,3 | 5,5 | 0 | 18 | 9,0 | 2,6 | 23,6 | 14,6 | 2 | 47 | 24,5 |
| -2,6 | 15,7 | 7,4 | -3 | 38 | 17,5 | - | - | - | - | - | - |

დასკვნები

1. ქლოროზით ვაჭის ძლიერი დაზიანების შემთხვევაში მთელი ვარჯი ყვითლდება, თანაც სიყვითლე ედება არა მარტო ფოთლის ფირფარის არამედ ძარღვებსაც, ახალგაზრდა ნაჟარდებს და ახლად წარმოქმნილ ყურძნის მტევნებს. ფოთლების ნათლად გამოხატული ყვითელი შეფერვა იწყება მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ, თუმცა გამორიცხული არაა უფრო ადრეულ ასაქშიც.

2. ვეგტაციის პერიოდში ყვითელი შეფერვა ვლინდება ფოთლებისა და ყლორტების აქტიური ზრდის ფაზაში და თანდათან ძლიერდება ვარჯისა და ნაყოფის სიმსხოს ზრდასთან ერთად. ყლორტების ზრდის დამთავრებასთან ერთად, განსაკუთრებით კი ნაყოფის ზრდის დასრულების შემდეგ, ფოთლები ყუჩიდან იწყებენ გამწვანებას, რაც თანდათანობით ვრცელდება ნაპირებისაკენ.

3. ვაჭის განვითარების გვიან ფაზებში და ქლოროზით ძლიერ დაზიანებისას ფოთლის ნაპირები ხმება და ყველისფერ შეფერვას იღებს, მცენარის ზრდა ნელდება, ხოლო ზოგჯერ სრულიად წყდება, რის შედეგად მუხლოშორისები მოკლდება, მსხმოიარობა ეცემა, ნაყოფის სიმსხო კლებულობს, ბუსუსა ფესვების წარმოქმნა ფერხდება, ფესვების დატოტვა მცირდება და ისინი ხორკლიანი და მტკრევადი ხდებიან. მათი შეფერვა იცვლება ნათელი ყავის-ფერიდან მუქ შავამდე. ზოგჯერ ფესვების ბოლოები სრულიად ხმება. ფესვების დაზიანების აღნიშნული ნიშნები იწყება ვაჭის ფოთლების გაყვითლებამდე ბევრად ადრე.

ქლოროზის გავლენით მცენარე თანდათან კნინდება, ვარჯის მოცულობა მცირდება, თანდათან კარგავს სასიცოცხლო ფუნქციებს და ბოლოს იღუპება. მცენარის ორგანიზმის ერთბაშად კვდომას ქლოროზის შემთხვევაში აღილი არა აქვს, როგორც ეს აღნიშნება მავნე ნივთიერებით მოწამვლის შემთხვევაში.

4. ქლოროზის გარეგანი ნიშნების გამოვლინების ვადები დამოკიდებულია ვეგეტაციის დაწყებაზე და სხვადასხვა წელს კალენდარულად იცვლება. ვაზის სააღრეო ჯიშებზე, საგვიანოსთან შედარებით გარეგანი ნიშნები ვლინდება უფრო ადრე.

5. ქლოროზის გარეგანი ნიშნები, როგორც წესი, ვლინდება ვაზის დარგვიდან მეორე წელს, მაგრამ ყველაზე ნათლად მელავნდება მსხმიარობის ასაკში შესვლის შემდეგ და თანდათანობით ძლიერდება ნაყოფმომცემობის მატებას შესაბამისად.

6. ქლოროზიან ვაზებში აღნიშნული მთელი რიგი საკვები ელემენტების ნაკლებობის ნიშნები ვლინდება არაერთდროულად: პირველად მელავნდება აზოტისა და რკინის, შემდეგ კალიუმის, მანგანუმის და გოგირდის ნაკლებობა, ხოლო ბოლოს ნაყოფის დამწიფების ფაზაში ფოსფორის სიმცირე იჩენს თავს.

7. ქლოროზისაღმი გამძლე საძირების ფესვები ხასიათდებიან უფრო მჟავე გამონაყოფით, ვიდრე ნაკლებად გამძლე საძირების. ამიტომ ქლოროზისაღმი სხვადასხვა საძიროს გამძლეობა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ფესვის მჟავე გამონაყოფით, რომელიც გამხსნელად მოქმედებს კარბონატულ ნიადაგებში არსებულ ძნელად ხსნადი რკინისა და მიკროელემენტების შენაერთებზე.

8. ქლოროზის გარეგანი ნიშნების ცვალებაღობა წლების მიხედვით დამკიდებულია მცენარეში საკვები ნივთიერების შესვლის ინტენსივობაზე, რაც თავის მხრივ იცვლება ფესვთა სისტემის ზრდის პირობების შესაბამისად.

9. ვაზის გადაწიდვნა იწვევს ფესვთა სისტემის ცხოველმყოფელობის გადიდებას და 2—3 წლით ქლოროზით დაზიანების შენელებას, რის შემდეგ კვლავ ვლინდება და თანდათანობით ძლიერდება დაავალება, რაც შეესაბამება ვაზის ფესვთა სისტემის დაზიანების ხარისხს.

10. ვაზის ქლოროზი დაკავშირებული არ არის მარტო რკინის ნაკლებობასთან. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა საკვები ელემენტების შესვლის შეფერხებითაც მცენარეში.

11. ქლოროზით დაზიანების ხარისხის მიხედვით მცირდება ვაზის წვენთა დენის ხანგრძლივობა და მისი რაოდენობა, მასში მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები და საერთო მჟავიანობა, იზრდება pH-ის მაჩვენებელი. მაშასადამე, ქლოროზიან ვაზში ფესვთა სისტემის ცხოველმყოფელობა შემცირებულია, რაც მისი დაზიანების შედეგია.

ვაზის „ტირილის“ ინტენსივობის გამოყენება შეიძლება ფესვთა სისტემის ცხოველმყოფელობისა და ქლოროზით დაზიანების ხარისხის შესაფასებლად.

12. მუხრანის ყავისფერ, კარბონატულ, დაწიდულ ნიადაგებში აერობული ბაქტერიების რაოდენობა სილრმის მიხედვით მკვეთრად მცირდება, ხოლო ანაერობული ბაქტერიებისა იზრდება. მაშასადამე, ნიადაგის ღრმა ფენებში იქმნება ანაერობული ბარობები, რაც აპირობებს ვაზის ფესვთა სისტემის დაზიანებას უანგბადის სიმცირის გამო. ე. ი. აერობული და ანაერობული

ბაქტერიების აღრიცხვის წესით შეიძლება ნიადაგის აერაციის პირობების შეფასება.

13. მუხრანის მდელოს ყავისფერ, კარბონატულ დაწილულ ნიადაგებზე ქლოროზის გავრცელების ქრებში მცენარისათვის შესათვისებელი აზოტი, ფოსფორი და კალიუმი დიდი რაოდენობითაა დაგროვილი. ამიტომ ქლოროზიან ვაზებში მათი ნაკლებობის აშკარად გამოხატული გარეგანი ნიშნები არ შეიძლება. აისნას ნიადაგში ამ ელემენტების სიმცირით. მაშასადამე, ნიადაგში შესათვისებელი ფორმის საკეთი ნივთიერებების დიდი რაოდენობით არსებობა არ განსაზღვრავს მცენარის უზრუნველყოფას ამ ელემენტებით, საჭიროა ფესვთა სისტემის მდგომარეობისა და მის მიერ საკეთი შეთვისების ინტენსივობის ცოდნა.

14. ერთსა და იმავე ნაკვეთზე ერთნაირი ვაზის ჯიშის შემთხვევაში გარკვეულ პერიოდში ქლოროზით დაზიანების სიჭრელე აღინიშნება—ერთი ვაზის ქლოროზით უფრო აღრე და ძლიერ ზიანდება ქლოროზით, ვიდრე შეორე. ხანგრძლივი მსხმიარობის პერიოდის გავლის შემდეგ ყველა ვაზი ზიანდება ქლოროზით, თუმცა დაზიანების ხარისხში აქაც აღინიშნება განსხვავება, რაც აისნება ცალკეული ვაზის ინდივიდუალური ბიოლოგიური თავისებურებით და მიკრორელიეფური სიჭრელით. ვაზის ინდივიდუალური ბიოლოგიური თავისებურების მიზეზი უნდა ვეძიოთ მცენარის ონტოგენეზში. მის მიხედვით ერთი ვაზი უფრო ძლიერ ფესვთა სისტემას ივითარებს, ვიდრე გვერდით მდგომი მეორე მცენარე. ვაზის ცალკეული ინდივიდუუმის ფესვთა სისტემის განვითარების სიძლიერეს ის მნიშვნელობა აქვს, რომ რაც მძლავრია იგი და მისი შემწოვე ნაწილი, მით უფრო მეტი საკეთი ნივთიერება შედის მცენარეში ნიადაგის ზედა ფენებში განლაგებული ფესვებიდან.

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ქლოროზგამდებრის თავისებურება ნაწილობრივ აისნება არახელსაყრელი ნიადაგური პირობებისადმი ფესვთა სისტემის ამტანობის სხვადასხვაობით.

ნაკვეთის მიკრორელიეფურმა სიჭარებმ შეიძლება ცალკეული ვაზისათვის შექმნას წყლოვანი და აერაციის გარკვეული თავისებური პირობები, რაც გამოხატულებას პოულობს ქლოროზით დაზიანების ხარისხში. ამ მხრივ ნიადაგის ერთნაულ მოვლენას შეუძლია შექმნას გარკვეული მიკრონიადაგური სიჭრელე, რაც თავისთვად აპირობებს ქლოროზით დაზიანების სხვადასხვა ხარისხს.

